

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2009, # 10

ზოგადი და კერძო ნაწილი

1. ზოგადი ნაწილი

- არაერთგზისი დანაშაული
- განგრძობადი დანაშაული
- დამატებითი სასჯელის ამორიცხვა
- დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება
- დანაშაულის მცდელობა
- თანაამსრულებლისათვის სასჯელის შემსუბუქება
- მიზეზობრივი კავშირი
- სასჯელის დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობის დროს
- სასჯელის დანიშვნა შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას
- სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები
- სასჯელის შემსუბუქება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გამო
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო
- ქონების ჩამორთმევა

2. მკვლელობა

- განზრახ მკვლელობა
- განზრახ მკვლელობის მცდელობა

1. ზოგადი ნაწილი

დანაშაულის მცდელობა

განჩინება

#1049-აპ

9 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემლაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. ბ-ლის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 17 აპრილის განაჩენით ზ. ბ-ლი გამართლდა საქართველოს სსკ-ის მე-19,137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19,137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა გაუპატიურების მცდელობა, ე.ი. სქესობრივი კავშირის დამყარების მცდელობა ძალადობითა და ძალადობის მუქარით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 9 ივნისს, დაახლოებით 16.³⁰ საათზე, დუშეთის რაიონის სოფელ ... მცხოვრები ზ. ბ-ლი მივიდა სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ წყაროსთან, სადაც წყლის ასაცვებად მისული დახვდა თავისივე თანასოფლელი ი. რ-ძე. მისი დამყარება დანახვისას ზ. ბ-ლმა განიზრახა სქესობრივი კავშირის ძალადობით.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ზ. ბ-ლი მივარდა ი. რ-ძეს, წააქცია და დაუწყო შარვლის გახდა. წინააღმდეგობის გაწევისას ი. რ-ძე ხელით მისწვდა მიწაზე დაგდებულ რკინის ნაჭერს და ზ. ბ-ლს ჩაართვა კისრის არეში, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა მისგან განთავისუფლება. ზ. ბ-ლი კვლავ განაგრძობდა მასზე ძალადობას და ცდილობდა მისთვის ტანსაცმლის გახდას. ამის შემდეგ ი. რ-ძემ შარვლის ჯიბიდან ამოიღო პატარა ზომის დასაკეცი დანა და ზ. ბ-ლს გაუჭრა მარჯვენა ხელის ზედაპირი, თუმცა ის კვლავ განაგრძობდა ძალადობას - ი. რ-ძეს ნახევრად გახადა შარვალი და ქვედა საცვალი, მაგრამ მისი დანაშაულებრივი ქმედება ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, ვინაიდან შემოესმა ი. რ-ძის დედის - ტ. რ-ძის ხმა, რომელიც ეძახდა თავის შვილს. იმის შიშით, რომ მომხდარი არ გამჟღავნებულიყო, ზ. ბ-ლმა მიატოვა შემთხვევის ადგილი და მიიმალა.

აღნიშნული ქმედებისათვის ზ. ბ-ლს მიესაჯა 6 წლით თავისუფლების ადკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 30 ოქტომბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა ლ. მ-შვილმა. მან ითხოვა განაჩენის გაუქმება და ზ. ბ-ლის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულის ადვოკატი ლ. მ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, ამიტომ იგი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის საქმეში ზ. ბ-ლის ბრალდების დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება არ მოიპოვება, გარდა დაზარალებულ ი. რ-ძის ჩვენებისა, რომელიც საეჭვოა და არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან, ამიტომ არ არის საკმარისი საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად; ზ. ბ-ლის განმარტებით, მას დაზარალებულის მიმართ ძალადობა არ უხმარია, მან შესთავაზა ი. რ-ძეს სქესობრივი კავშირის დამყარება, რაზეც იგი დასთანხმდა; მოფერებისას მათ გაიგეს დაზარალებულის დედის ხმა, ამიტომ ზ. ბ-ლი გაიქცა, ხოლო ი. რ-ძე დედამ ნახა საეჭვო ვითარებაში, რის გამოც მას მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა; შემთხვევის ადგილი წყაროსაგან საკმაოდ შორს არის, ამიტომ ძალის გამოყენებით დაზარალებულს იქ ვერავინ მიიყვანდა; სიცრუეა ი. რ-ძის ჩვენება, რომ მან დანით ხელზე დაზიანება მიაყენა მსჯავრდებულს, რადგან ზ. ბ-ლს ხელზე არანაირი დაზიანება არ ჰქონია და არც დანაზე აღმოჩნდა სისხლის ლაქები, რასაც ადასტურებს ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა; საქმეში უამრავი პასუხგაუცემელი კითხვაა; განაჩენი ეყ-

რდნობა საეჭვო მტკიცებულებებს, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება და არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან.

გარდა ამისა, ადვოკატის აზრით, დადასტურებულადაც რომ ჩაითვალოს ზ. ბ-ლის მიერ საქართველოს სსკ-ის მე-19,137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, განაჩენი უსამართლოა, რადგან დანიშნული სასჯელის ზომა აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას; ზ. ბ-ლი არ არის ნასამართლევნი, კმაყოფაზე ჰყავს მოხუცი, ავადმყოფი მშობლები და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში არ არის მიღებული დანაშაულის მცდელობისათვის კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელის გამოყენება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ლ. მ-შვილი ითხოვს განაჩენის გაუქმებას და ზ. ბ-ლის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ან მსჯავრდებულისათვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორის მითითება მსჯავრდებულის მამხილებელ უტყუარ მტკიცებულებათა არ არსებობის შესახებ უსაფუძვლოა. დაზარალებულის თანმიმდევრული და დამაჯერებელი ჩვენებების ობიექტურობაზე მეტყველებს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაც, რომლის მიხედვით, დაზარალებულს ორივე მხრის არეში, გულმკერდის უკანა და მარჯვენა ბარძაყის შიდა ზედაპირზე, მენჯ-ბარძაყის სახსრის და წელის არეში აღენიშნებოდა მრავლობითი სისხლნაჟღერებები და ნაჭდევიები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალებით უდავოდ დადგენილია და ეჭვს არ იწვევს, რომ ზ. ბ-ლმა ჩაიდინა გაუპატიურების მცდელობა და გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია.

სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ზ. ბ-ლს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია, ხასიათდება დადებითად და ჰყავს ავადმყოფი მამა.

აღნიშნულის და იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა დაუმთავრებელი დანაშაული, ზ. ბ-ლისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის ზომის მაქსიმუმის დანიშვნა აშკარად უსამართლოა და დანიშნული სასჯელი, როგორც მეტისმეტად მკაცრი, უნდა შემსუბუქდეს.

გარდა ამისა, არასწორად გადაწყდა დაზარალებულის კუთვნილი ნივთმტკიცებების - ტანსაცმლისა და საკეცი დანის საკითხი, რომლებიც სსკ-ის 124-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნაცვლად განადგურებისა, უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ზ. ბ-ლის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივნისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: ზ. ბ-ლს სსკ-ის მე-19,137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 1 წლით და საბოლოოდ განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყოს 2007 წლის 30 ოქტომბრიდან;

ნივთმტკიცებები - დაზარალებულ ი. რ-მის ტანსაცმელი და საკეცი დანა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასჯელის დანიშვნა განაჩენთა
ერთობლიობის დროს**

განჩინება

#955-აპ

9 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის განაჩენზე გ. ქ-შვილისა და ო. მ-შვილის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 თებერვლის განაჩენით გ. ქ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 273-ე მუხლით იმაში, რომ ჯგუფურად ჩადინა ყაჩაღობა, ასევე – ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ;

ამავე განაჩენით ო. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით იმაში, რომ ჯგუფურად და არაერთგზის ჩადინა ყაჩაღობა, ასევე – ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

გ. ქ-შვილისა და ო. მ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ო. მ-შვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვლის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. ამავე სასამართლოს 2007 წლის 11 ივლისის განაჩენით გ. ქ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩათვალა პირობით, ამავე ვადით.

2007 წლის 9 აგვისტოს, დაახლოებით 1 საათზე, გ. ქ-შვილი და ო. მ-შვილი დაუკავშირდნენ დაუდგენელ ორ პირს. მათ განიზრახეს ყაჩაღობის ჩადენა, რა მიზნითაც გაემართნენ თბილისში მდებარე პოკერ-კლუბში, სადაც გ. ქ-შვილი და ო. მ-შვილი სიტუაციის შესასწავლად დასხდნენ სათამაშო აპარატებთან, ნახეს, რომ, მომსახურე პერსონალის გარდა, არავინ იყო და გავიდნენ გარეთ, საიდანაც რამდენიმე წუთში პირთა ჯგუფთან ერთად დაბრუნდნენ. მათ ცეცხლსასროლი იარაღისა და დანის გამოყენების მუქარით, ძალადობით, პლასტმასის ზონრებით შეკრეს დაცვის თანამშრომლები – გ. ო-შვილი და ლ. ხ-შვილი, ოპერატორი ნ. კ-ძე და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ სეიფში შენახულ ფულს – 2800 ლარს, 300 აშშ დოლარად ღირებულ, ნ. კ-ძის კუთვნილ „სამსუნგის“ ფირმის მობილურ ტელეფონს და 700 ევროდ ღირებულ, გ. ო-შვილის კუთვნილ „სონი-ერიქსონის“ ფირმის მობილურ ტელეფონს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2007 წლის 15 მარტის დადგენილებით გ. ქ-შვილი ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისათვის დაჯარიმდა 500 ლარით.

მიუხედავად ამისა, გ. ქ-შვილმა განაგრძო ანალოგიური ხასიათის ქმედება და 2007 წლის 12 სექტემბერს პოლიციის მუშაკებმა იგი გადაიყვანეს შესამოწმებლად, რა დროსაც დაუდგინდა „მარიხუანას“ მოხმარების ფაქტი.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16 აგვისტოს დადგენილებით ო. მ-შვილს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისათვის დაედო ადმინისტრაციული სახდელი – პატიმრობა 10 დღე-ღამით. მიუხედავად ამისა, მან განაგრძო ანალოგიური ხასიათის ქმედება და 2007 წლის 13 სექტემბერს იგი პოლიციის მუშაკებმა შესამოწმებლად გადაიყვანეს, რა დროსაც დაუდგინდა „მარიხუანას“ მოხმარება.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. ქ-შვილს დანაშაულთა ერთობლიობით მიესაჯა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი – 3 წელი

და საბოლოოდ განესაზღვრა 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ო. მ-შვილს - დანაშაულთა ერთობლიობით მიესაჯა 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი - 5 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 წლისა და 6 თვის ვადით.

მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდა დაეწყოთ 2007 წლის 15 სექტემბრიდან, ხოლო სასჯელის ვადაში მოხდილად ჩათვალით დაკავების დრო - იმავე წლის 13 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. ქ-შვილმა და მისმა ადვოკატმა ვ. ა-ძემ, ასევე - მსჯავრდებულმა ო. მ-შვილმა. მათ ითხოვეს განაჩენის გაუქმება და საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილში გამართლება, ხოლო სსკ-ის 273-ე მუხლით - სასჯელის სახედ ჯარიმის განსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული გ. ქ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, რამდენადაც იგი არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან; სასამართლომ არ გაითვალისწინა მთელი რიგი გარემოებებისა, რომლებიც გ. ქ-შვილის უდანაშაულობაზე მიუთითებდნენ; დაზარალებულ ლ. ხ-შვილის განცხადებით, ყაჩაღობის დროს გ. ქ-შვილი არ ყოფილა; „მაგთიდან“ და „ჯეოსელიდან“ ამოღებული დეტალური მონაცემებიდან ჩანს, რომ პოკერ-კლუბიდან გატაცებული ტელეფონი გააქტიურდა შემთხვევიდან 2 კვირის შემდეგ, მაგრამ ეს არ ამტკიცებს მსჯავრდებულის ბრალეულობას, რადგან შეიძლებოდა ამ ტელეფონის შეძენა ან ვინმესგან თხოვება; გარდა ამისა, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული თითის ანაბეჭდებიდან, რომლებიც ყველა იდენტიფიკაციისათვის ვარგისი იყო, არც ერთი არ აღმოჩნდა გ. ქ-შვილის თითის ანაბეჭდის იდენტური; რაც შეეხება ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა კინოლოგმა ბ. ი-ძემ განაცხადა, რომ, თუ სკამზე რამდენიმე პირი იჯდა, გარკვეული დროის მანძილზე ძაღლს შეეძლო ნებისმიერი მათგანის სუნის კვალის აღება და არა - მაინცდამაინც თავდამსხმელის; გარდა ამისა, ექსპერტიზის დასკვნასა და განაჩენის სამოტივაციო ნაწილში ნათქვამია, რომ სუნის კვალი აიღეს #7 სათამაშო აპარატიდან, თუმცა დაზარალებულების ჩვენებით, თავდამსხმელთაგან არც ერთი არ მჯდარა #7 აპარატთან, ამიტომ ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნა დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იყოს ცნობილი.

რაც შეეხება ამოცნობას, დაზარალებულებმა - ლ. ხ-შვილმა და გ. ო-შვილმა განაცხადეს, რომ შეეძლოთ თავდამსხმელების ამოცნობა, თუმცა ლ. ხ-შვილმა კატეგორიულად განაცხადა, რომ თავდამსხმელებს შორის გ. ქ-შვილი არ ყოფილა, ხოლო გ. ო-შვილმა განსასჯელებიდან ვერც ერთი ვერ ამოიცნო; ეს მხოლოდ ნ. კ-ძემ შეძლო, თუმცა მის მიერ აღწერილი პირის გარეგნობა რადიკალურად განსხვავდება გ. ქ-შვილის გარეგნობისაგან; ყველა დაზარალებულის მიერ გამოძიებისათვის მიცემული თავდამსხმელთა აღწერილობა ერთმანეთს ემთხვევა; რადგან ორმა მათგანმა ვერ ამოიცნო გ. ქ-შვილი, გამოდის, რომ ის არ ყოფილა ერთ-ერთი თავდამსხმელი და ნ. კ-ძემ იცრუა, ხოლო ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულს ზუსტად არ ახსოვდა, კონკრეტულ დღეს კონკრეტულად სად იყო, არ შეიძლება, გამოყენებულ იქნეს, როგორც დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულება.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. ქ-შვილს დანაშაული არ ჩაუდენია, ამიტომ კასატორი ითხოვს უდანაშაულოდ ცნობას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო სსკ-ის 273-ე მუხლით - ჯარიმის სახით 2 ათასი ლარის დაკისრებას.

სამოტივაციო ნაწილი:

სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის, დაზარალებულთა ჩვენებებით, მათი ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უდავოდ დადასტურებულია და ეჭვს არ იწვევს, რომ გ. ქ-შვილმა და ო. მ-შვილმა ჩაიდინეს მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. გასაჩივრებული განაჩენი გამოტანილია სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით და დასაბუთებულია.

ამასთან დადგენილია, რომ წინა დანაშაულისათვის გ. ქ-შვილი ეჭვმიტანილის სახით დააკავეს 2007 წლის 28 იანვარს და იმავე წლის 30 იანვარს იგი პროკურორის დადგენილებით გათავისუფ-

ლდა, ამდენად, გ. ქ-შვილისათვის ბოლო სასამართლო გადაწყვეტილებით დანიშნულ სასჯელს მთლიანად უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი, 11 თვე და 28 დღე. წინა განაჩენით დანიშნული სასჯელიდან ო. მ-შვილს მოხდელი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 12 დღის ვადით, რადგან იგი დააკავეს 2006 წლის 6 ივლისს და გაათავისუფლეს იმავე წლის 18 ივლისს.

საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა, რომ სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად უნდა დაემატოს არა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი, არამედ მისი მოუხდელი ნაწილი, რომლის სახე და ზომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ზუსტად უნდა დადგინდეს.

სააპელაციო პალატის განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერია, ხოლო სასჯელების დანიშვნის ნაწილში - სამართლიანი და იგი უნდა შეიცვალოს მხოლოდ "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულებს უნდა გაუნახევრდეთ სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

პალატამ იხელმძღვანელა "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით, სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის განაჩენი შეიცვალოს: "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გ. ქ-შვილსა და ო. მ-შვილს გაუნახევრდეთ სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ამ მუხლით განესაზღვროთ 3-3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გ. ქ-შვილს მიესაჯოს 8 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი, 11 თვე და 28 დღე და გ. ქ-შვილს საბოლოოდ განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 11 წლით, 2 თვითა და 28 დღით;

ო. მ-შვილს მიესაჯოს 10 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 4 წელი, 11 თვე, 18 დღე და ო. მ-შვილს საბოლოოდ განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 15 წლით, 2 თვითა და 18 დღით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა განაჩენითა ერთობლიობის დროს

განჩინება

#203-აპ

20 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ჩ-უას ინტერესების დამცველის, ადვოკატ პ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 25 სექტემბრის განაჩენით მ. ჩ-უა ცნობილ იქნა დანაშაუდვად საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

მ. ჩ-უამ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა საბრძოლო მასალა, კერძოდ, 4 ცალი 7,62 მმ კალიბრის, ქარხნული წესით დამზადებული, „ტოკარევის“ კონსტრუქციის პისტოლეტებისათვის განკუთვნილი ვაზნა და 2 ცალი, 9 მმ კალიბრის, 1908 წლის ნიმუშის „ბორხარტ-ლუგერის“ პისტოლეტის ვაზნა, რომლებიც მან ასევე მართლსაწინააღმდეგოდ შეინახა თავის საცხოვრებელ ბინაში. აღნიშნული ვაზნები 2007 წლის 3 მარტს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული ჩხრეკის დროს ამოიღეს მისი საცხოვრებელი ბინიდან. ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ვაზნები მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად.

აღნიშნული ქმედებისათვის მ. ჩ-უას მიესაჯა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი - 3 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 3 მარტიდან. მასვე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 2 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა პ. ბ-მემ. მან ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მ. ჩ-უას გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 დეკემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 25 სექტემბრის განაჩენი შეიცვალა: მ. ჩ-უას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მას დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 1 წლით, 10 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლით, 10 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა; მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 2 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი პ. ბ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია; წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებები არ ადასტურებენ, რომ მ. ჩ-უამ ჩაიდინა დანაშაული; მსჯავრდებულმა აღიარა, რომ მისი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ვაზნები მას ეკუთვნოდა, მაგრამ ზუსტად ვერ დაასახელა მათი პოვნის ადგილი; აღიარება კი იმით იყო გამოწვეული, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით შერჩეოდა არასაპატიმრო ღონისძიება; ამ ვაზნების გაზის პისტოლეტის მჭიდში მოთავსება შეუძლებელია; მსჯავრდებულმა ვერ დაასახელა ვაზნების რაოდენობა და მათი შენახვის ადგილად მიუთითა აივანი, თუმცა პოლიციელებმა ვაზნები ამოიღეს მისაღებ ოთახში მდგარი კარადის თავზე არსებული ლარნაკიდან; აღსანიშნავია, რომ პოლიციელები იმ ოთახში რამდენიმე წუთით მარტო დარჩნენ, საიდანაც შემდეგ ვაზნები ამოიღეს; მათ უხეშად დაარღვიეს საქართველოს სსკ-ის 321-ე მუხლის მოთხოვნები; აღნიშნული ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ ასეთი ჩხრეკის შედეგად ამოღებული ვაზნები არ შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებად იმისა, რომ ისინი ეკუთვნოდა მ. ჩ-უას და არა - პოლიციელებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი პ. ბ-მე ითხოვს განაჩენის გაუქმებას და მ. ჩ-უას გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მ. ჩ-უას მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის მოწმეების - დ. ც-ძისა და ტ. ვ-ძის ჩვენებებით, ჩხრეკის ოქმითა და ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით. ბინის ჩხრეკა ჩატარდა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მას ესწრებოდა მ. ჩ-უას დედა, რომელმაც დამსწრეთა მოწვევაზე უარი განაცხადა, ხოლო ჩხრეკასთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამს.

ამასთან, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, მ. ჩ-უა წინა დანაშაულის ჩადენისათვის დააკავეს 2005 წლის 13 მარტს და იგი გათავისუფლდა იმავე წლის 6 ოქტომბერს, წინა განაჩენის

გამოტანის დღეს, რის გამოც მ. ჩ-უას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელიდან მოხდელი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 6 თვისა და 23 დღის ვადით.

საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა, რომ განაჩენთა ერთობლიობისას ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს უნდა დაემატოს არა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი, არამედ მისი მოუხდელი ნაწილი, მოცემულ შემთხვევაში - 2 წელი, 5 თვე და 7 დღე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და უნდა დარჩეს უცვლელად.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ მ. ჩ-უას ინტერესების დამცველის, ადვოკატ პ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: მ. ჩ-უასათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულ სასჯელს - 1 წლით, 10 თვით და 15 დღით თავისუფლების აღკვეთას მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი, 5 თვე, 7 დღე და მ. ჩ-უას საბოლოოდ განესაზღვროს 4 წლით, 3 თვით და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობის დროს

განჩინება

#27¹

20 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ჯ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ვ. წ-იას კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 27 ივლისის განაჩენით კ. ჯ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის VI ნაწილის თანახმად, კ. ჯ-შვილს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, დანარჩენი 3 წელი - ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 15 მარტიდან.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. ბ-შვილმა, მსჯავრდებულ კ. ჯ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ბ. ლ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 26 დეკემბრის განაჩენით კ. ჯ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი) გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე (საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი) და სასჯე-

ლად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის VI ნაწილის (ძვ. რედაქცია) თანახმად, კ. ჯ-შვილს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 3 წელი - ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 ოქტომბრის განაჩენით კ. ჯ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის VI ნაწილის (ძვ. რედაქცია) თანახმად, 3 წელი და 3 დღე განესაზღვრა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი ნაწილი - 1 წელი, 11 თვე და 25 დღე ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო დაკავების მომენტიდან - 2006 წლის 15 მარტიდან. სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავების დრო - 2006 წლის 23 იანვრიდან 26 იანვრამდე - 3 დღე.

თბილისის საქალაქო სასამართლოში 2008 წლის 12 მარტს შევიდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების დირექტორის - რ. კ-ძის მიმართვა განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის განსაზღვრის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის დადგენილებით ზემოაღნიშნული განაჩენებით დანიშნული სასჯელები შეიკრიბა საქართველოს სსკ-ის მე-60-61-ე მუხლების საფუძველზე და კ. ჯ-შვილს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელიდან 6 წლითა და 3 დღით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილის - 4 წლით, 11 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა მის მიმართ პირობით არ იქნა გამოყენებულ და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 6 წელი. მას სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო ფაქტობრივად დაკავების მომენტიდან - 2006 წლის 15 მარტიდან, სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავების დრო 2006 წლის 23 იანვრიდან 26 იანვრამდე - 3 დღე.

აღნიშნული დადგენილება კერძო სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა კ. ჯ-შვილმა, მისი ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. წ-იამ და მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა ნ. ა-ურმა. ისინი აღნიშნავენ, რომ დაირღვა სსსკ-ის 614-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, განაჩენები უკვე კანონიერ ძალაში იყო შესული, ამასთან, ბოლო განაჩენის გამომტანი სასამართლოსათვის ცნობილი იყო წინა განაჩენის არსებობა. სსსკ-ის 614-ე მუხლი კი მაშინ გამოიყენება, როცა განაჩენები სისრულეში არ არის მოყვანილი და ბოლო განაჩენის გამომტანმა სასამართლომ არ იცის წინა განაჩენის არსებობის შესახებ; დაირღვა სსკ-ის 88-ე მუხლის III ნაწილის მოთხოვნები; სასამართლომ სასჯელები შეკრიბა განაჩენების სისრულეში მოყვანიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ, რაც ასევე დარღვევაა; დაუსაბუთებელია, რატომ შეკრიბა სასამართლომ სასჯელები, როცა დანაშაულის ჩადენის დროს ეს წესი არ მოქმედებდა; გაუგებარია, რატომ გამოიყენა სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის ნაცვლად სსკ-ის მე-60 მუხლი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 მაისის დადგენილებაში შევიდა ცვლილება შემდეგი მიმართებით:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 ოქტომბრისა და 2006 წლის 26 დეკემბრის განაჩენებით დანიშნული სასჯელები საქართველოს სსკ-ის მე-60-61-ე-88-ე მუხლების საფუძველზე შეიკრიბა და კ. ჯ-შვილს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 5 წლით, 6 თვითა და 3 დღით თავისუფლების აღკვეთა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილი - 4 წლით, 5 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა მის მიმართ პირობით არ იქნა გამოყენებული და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 6 წელი.

კ. ჯ-შვილს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან - 2006 წლის 15 მარტიდან, სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავების დრო, 2006 წლის 23 იანვრიდან 26 იანვრამდე - 3 დღე.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივლისის განჩინების თაობაზე მსჯავრდებულ კ. ჯ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. წ-იამ კერძო საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

ადვოკატი აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 მაისის დადგენილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის

სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განჩინება არის აშკარად უკანონო, დაუსაბუთებელი და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ორივე ინსტანციის სასამართლოებმა არასრულწლოვან მსჯავრდებულ კ. ჯ-შვილის მიმართ საქმე განიხილეს უკანონოდ, საქართველოს სსსკ-ის 614-ე მუხლის მოთხოვნათა არსებითი დარღვევებით, კერძოდ: განაჩენთა ერთობლიობის წესით დანიშნული სასჯელები სასამართლოებმა შეკრიბეს განაჩენთა სისრულში მოყვანის შემდეგ, არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების დირექტორ რ. კ-ძის 2008 წლის 12 მარტის შუამდგომლობის საფუძველზე, მაშინ, როდესაც ბოლო განაჩენის გამომტანი სასამართლოსათვის ცნობილი იყო წინა განაჩენის შესახებ და ეს განაჩენები კანონიერ ძალაში იყო შესული, მაგრამ ბოლო განაჩენის გამომტანი სასამართლოს მიერ განზრახ არ მოხდა განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნა პროკურატურასთან შეთანხმებით. სასამართლოებსა და პროკურატურას შორის არსებული უკანონო გარიგების ფაქტზე აშკარად მიანიშნებს ის გარემოებაც, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულ კ. ჯ-შვილის მიმართ არც წინასწარ გამოძიებაში და არც სასამართლოში საქმეები არ გააერთიანეს და აშკარად უკანონოდ, ცალ-ცალკე განიხილეს, რის გამოც არასწორი კვალიფიკაცია მიეცა კ. ჯ-შვილის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს.

დაწესებულების დირექტორი რ. კ-ძე 2008 წლის 12 მარტის მიმართვით ითხოვს, რომ სასამართლომ საქართველოს სსსკ-ის 614-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად გამოიტანოს განჩინება (დადგენილება) განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის განსაზღვრის შესახებ, ე.ი. ფაქტობრივად ითხოვს, მსჯავრდებულისათვის სასჯელის დამძიმებას, რაც სასამართლოებმა შეასრულეს კიდეც. სასამართლოებმა პროკურორისა და დაცვის მხარის მონაწილეობის გარეშე განიხილეს და დააკმაყოფილეს რ. კ-ძის შუამდგომლობა, რითაც არსებითად დაარღვიეს საქართველოს სსსკ-ის 601-ე მუხლის II ნაწილის მოთხოვნები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს, კ. ჯ-შვილის მიმართ განაჩენთა ერთობლიობის წესით სასჯელის დანიშვნის თაობაზე გამოტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის დადგენილებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განჩინების გაუქმებას და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 ოქტომბრის განაჩენის ძალაში დატოვებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა კერძო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ კერძო საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

პალატას მიაჩნია, რომ მიუხედავად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 623-ე მუხლის შინაარსისა, რომელიც არ ითვალისწინებს, ამავე კოდექსის 614-ე მუხლის თანახმად, მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას და წესს (სსსკ-ის 614-ე მუხლი მოქცეულია საქართველოს სსსკ-ის LXI თავში - განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილ საკითხთა გადაწყვეტა), აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ საკითხზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არ არსებობს, პირიქით, სსსკ-ის 623-ე მუხლისაგან განსხვავებით, რომელიც განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილ საკითხთაგან ამ კოდექსის 606¹-611-ე, 618-ე-619-ე და 622-ე მუხლებით გათვალისწინებულთ უდგენს გასაჩივრების სპეციალურ ჩარჩოებს, კერძოდ, ერთჯერადად გასაჩივრების საშუალებას, სსსკ-ის 614-ე მუხლის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება, რომელიც მიეკუთვნება კერძო ხასიათის გასაჩივრების საგანს, უზრუნველყოფილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 525-ე და 553-ე მუხლებით, სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრებისათვის დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად. ამასთან, არ არსებობს ნორმა, რომელიც კრძალავდეს სსსკ-ის LXI თავით გათვალისწინებულ სხვა (606¹-611-ე, 618-ე-619-ე და 622-ე მუხლებით გათვალისწინებულთა გარდა) საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრებას, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ამდენად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, განიხილოს სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივლისის განჩინების თაობაზე მსჯავრდებულ კ. ჯ-შვილის ინტერესების დამცველის, ვ. წ-იას კერძო საკასაციო საჩივარი.

პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებას მისი დაცვის ქვეშ მყოფი კ. ჯ-შვილის მიმართ დადგენილი განაჩენების აღსრულებისას წამოჭრილ საკითხზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების არაუფლებამოსილებასა და უკანონობაზე, ვინაიდან საქართველოს სსსკ-ის 614-ე მუხლის თანახმად, თუ მსჯავრდებულის მიმართ არსებობს სისრულეში მოყვანელი რამდენიმე განაჩენი, რაც ცნობილი არ იყო ბოლო განაჩენის გამომტანი სასამართლოსათვის, ამ სასამართლოს

ან განაჩენის აღსრულების ადგილზე იმავე დონის სასამართლოს გამოაქვს განჩინება (დადგენილება) მსჯავრდებულისათვის სასჯელის ყველა აღნიშნული განაჩენის მიხედვით განსაზღვრის შესახებ.

პალატა განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში ბოლო განაჩენის გამომტანი სასამართლოდ მოიაზრება სისრულეში მოუყვანელ განაჩენებს შორის ყველაზე გვიან გამოტანილი განაჩენის მიმღები პირველი ინსტანციის სასამართლო და არა ზოგადად ყველაზე გვიან მიღებული განაჩენის გამომტანი სასამართლო, რომელიც შეიძლება იყოს სააპელაციო სასამართლოც. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ სსკ-ის 59-ე მუხლით დადგენილი მსგავსი პროცედურა - განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნა და სასჯელთა შეჯამება - ფაქტობრივად ხორციელდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

კონკრეტულ შემთხვევაში "ბოლო განაჩენი" მსჯავრდებულ კ. ჯ-შვილის მიმართ გამოტანილი იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ 2006 წლის 25 ოქტომბერს. რადგან მსჯავრდებული კ. ჯ-შვილი სასჯელს იხდიდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა აღზრდელით დაწესებულებაში, რომელიც განთავსებულია ქ. თბილისის ტერიტორიაზე და იმავე დონის სასამართლოს ამ თვალსაზრისითაც თბილისის საქალაქო სასამართლო წარმოადგენდა, ამ უკანასკნელმა, როგორც უფლებამოსილმა და განსჯადმა, სწორად განიხილა სადავო საკითხი. რაც შეეხება სსკ-ის 614-ე მუხლით გადასაწყვეტ საკითხზე სასამართლოსადმი სასჯელაღსრულების დაწესებულების მხრიდან მიმართვის კანონიერების საკითხს, რაც ასევე დასმული იქნა კერძო საკასაციო საჩივარში, პალატა თვლის, რომ აღნიშნულ ასპექტშიც საპროცესო კანონის დარღვევას ადგილი არ აქვს, ვინაიდან სსკ-ის 614-ე მუხლი არ ადგენს, თუ კონკრეტულად ვის ენიჭება აღნიშნული საკითხის სასამართლოსადმი დასმის უფლებამოსილება, შესაბამისად, სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული საკითხის განხილვის წინაპირობა აბსტრაქტულია. სასამართლო არ არის ვალდებული, მსჯავრდებულის მიმართ სისრულეში მოუყვანელი რამდენიმე განაჩენის არსებობის შესახებ იყოს ინფორმირებული. ამდენად, სასჯელაღსრულების დაწესებულების მხრიდან ამგვარი საკითხის დასმა ლოგიკური და კანონიერია.

პალატა ასევე ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ კ. ჯ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის აპელირებას თბილისის სააპელაციო სასამართლოს მხრიდან განაჩენთა შეკრებისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით. საქართველოს სსკ-ის 614-ე მუხლის თანახმად, ასეთი შეკრება უნდა განხორციელდეს სსკ-ის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, რომლებიც აწესრიგებდნენ განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისა და სასჯელთა შეჯამების საკითხებს. მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 29 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებებით სსკ-ის მე-60 მუხლი ამოღებულ იქნა, მაგრამ მისი დებულებები არ გაუქმებულა და მათ თავი მოიყარეს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლში, რომლითაც აღნიშნული ცვლილებების განხორციელებამდე მოწესრიგებული იყო დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის წესები. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ განაჩენთა შეკრებისას სწორად გამოიყენა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის დებულებები. გარდა ამისა, მსჯავრდებულ კ. ჯ-შვილის მიმართ დანიშნული სასჯელების შეკრებისას გამოყენებული ნორმა - მთლიანი შეკრება, არ შეიძლება აღქმული იქნეს მსჯავრდებულის მდგომარეობის დამძიმებად, ვინაიდან თავად სსკ-ის მე-60 მუხლიც ითვალისწინებდა ამგვარი შეკრების შესაძლებლობას. ამდენად, საბოლოოდ დანიშნული სასჯელი ამ მიმართებითაც კანონიერი და სამართლიანია.

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებას და მოთხოვნას იმასთან დაკავშირებით, რომ მსჯავრდებული კ. ჯ-შვილი თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოების მიერ სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეებზე დანიშნულ სასჯელებს იხდიდა ერთდროულად, ვინაიდან ამ მოსაზრების გასამყარებლად არავითარი სამართლებრივი არგუმენტი და საფუძველი არ არსებობს, კერძოდ: თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2006 წლის 25 ოქტომბერს კ. ჯ-შვილის სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით მსჯავრდებისას, მას დაენიშნა სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით და ვინაიდან იგი 2006 წლის 15 მარტიდან იმყოფებოდა პატიმრობაში, სასჯელის მოხდის ვადის ათვლა სასამართლომ დაუწყო სწორედ ამ დროიდან. ასევე მოიქცა თბილისის სააპელაციო სასამართლო, როდესაც 2006 წლის 26 დეკემბრის განაჩენით, ვინაიდან მისთვის უცნობი იყო მსჯავრდებულ კ. ჯ-შვილის მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის (თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2006 წლის 25 ოქტომბრის განაჩენის) არსებობის შესახებ, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაუწყო ასევე 2006 წლის 15 მარტიდან. ამდენად, შეუძლებელია გავაიგივოთ აღნიშნული განაჩენები და, შესაბამისად, ის სასჯელებიც, რომლებიც გამოყენებულ იქნა მსჯავრდებულ კ. ჯ-შვილის მიმართ სხვადასხვა დანაშაულთა გამო მსჯავრდებისას. ამასთან, პალატა თვლის, რომ დანიშნული სასჯელების შეჯამება განხორციელდა კანონიერად - სსკ-ის 59-ე და 61-ე მუხ-

ლებით დადგენილი წესით, როგორც თავისუფლების ადკვეთის ერთ დღეს დამატებული თავისუფლების ადკვეთის ერთი დღე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალსახაა, რომ მსჯავრდებული კ. ჯ-შვილი ერთ-ერთი ჩადენილი დანაშაულისათვის დაუსჯელი დარჩებოდა, ამ დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის მიუხედავად.

პალატა ნაწილობრივ იზიარებს დაცვის მხარის არგუმენტაციას განაჩენთა შეკრებისას დაშვებული შეცდომის შესახებ, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი წესისაგან გადახვევასთან დაკავშირებით. კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2008 წლის 18 ივლისის განჩინებით განხორციელდა მსჯავრდებულისათვის ორი სხვადასხვა განაჩენით დანიშნული სასჯელების მთლიანი შეკრება, ხოლო ვადის ათვლა დაიწყო მისი დაკავებიდან, მაშინ, როდესაც სსკ-ის 59-ე მუხლი ადგენს განსხვავებულ წესს - განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად მიუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს. ასეთ შემთხვევაში ერთიანი სასჯელი აითვლება ბოლო განაჩენის გამოტანის დღიდან. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენთა შეკრებისას დაშვებული შეცდომა ვერ გახდება ამ განჩინების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან სასამართლოს მიერ სსკ-ის 59-ე მუხლით დადგენილი წესით სასჯელთა შეკრების შემთხვევაშიც, მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული საბოლოო სასჯელი ადეკვატური იქნებოდა მის მიერ მოსახდელ სასჯელთან და აღნიშნული მსჯავრდებულის სამართლებრივ მდგომარეობას არ შეამსუბუქებდა. შესაბამისად, პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული შეუსაბამობა არ უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის კანონის არსებით დარღვევად, რადგან მას გავლენა არ მოუხდენია კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაზე.

ამასთან, საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განჩინების გაუქმებას.

ამდენად, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განჩინება კ. ჯ-შვილის მიმართ კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ. ჯ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ვ. წ-იას კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განჩინება კ. ჯ-შვილის მიმართ დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობის დროს

განჩინება

#996აკ-08

23 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ზ. მეიშვილი,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ფ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ფ-შვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 თებერვლის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტისა და იმავე კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა: ყაჩაღობის ნაწილში - თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ბრალდების ნაწილში - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გ. ფ-შვილის მიმართ დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით, რასაც სასამართლომ დაუმატა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 17 ოქტომბრის განაჩენით მის მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის, 3 თვისა და 21 დღის ვადით, რის შედეგადაც საბოლოოდ მსჯავრდებულ გ. ფ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 14 წლის, 3 თვისა და 21 დღის ვადით. გ. ფ-შვილს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2008 წლის 29 თებერვლიდან - განაჩენის გამოტანის დღიდან, ამასთან, მას სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო - 2007 წლის 26 მარტიდან 2008 წლის 29 თებერვლამდე.

განაჩენით გ. ფ-შვილს მსჯავრი დაედო ისეთ დანაშაულთა ჩადენაში, როგორცაა თავისუფლების უკანონო აღკვეთა, აგრეთვე ყაჩაღობა, ჩადენილი არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. ფ-შვილმა განიზრახა, არაერთგზის ჩადენა თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. აღნიშნული განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2006 წლის 8 ოქტომბერს, დაახლოებით 19.30 საათზე, ის მივიდა თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სასტუმრო "ამბასადორის" მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით თავს დაესხა ქუჩაში ფეხით მიმავალ გ. ნ-ძეს. ყელის არეში ლითონის ბასრი საგნის მიბჯენით იგი აიძულა, ჩაჰყოლოდა იქვე არსებულ, გაუქმებულ მიწისქვეშა გადასასვლელში. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში დაემუქრა რა მას სიცოცხლის მოსპობით, გ. ფ-შვილი მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა გ. ნ-ძის კუთვნილ, 750 ლარად ღირებულ "ნოკიას" ფირმის მობილურ ტელეფონსა და 20 ლარად ღირებულ დასაკეც დანას. მიწისქვეშა გადასასვლელში ყაჩაღობის ჩადენის შემდეგ გ. ფ-შვილმა გ. ნ-ძეს ხელებითა და ფეხებით დაუწყო ცემა გულმკერდის არეში მისი გათიშვის მიზნით, რათა დაუბრკოლებლად გასცლოდა იქაურობას. რადგან ეს ვერ შეძლო, მან აიძულა გ. ნ-ძე, შეეხსნა შარვლის ქამარი, რითაც მას შეუკრა ხელ-ფეხი და ამ გზით მოუსპო გადაადგილების შესაძლებლობა. ამის შემდეგ გ. ფ-შვილმა თავისუფლება აღკვეთილი გ. ნ-ძე დატოვა მიწისქვეშა გადასასვლელში, ხოლო თვითონ შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. ფ-შვილმა. მან მოითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა. აპელანტი თვლიდა, რომ მის საქმეზე წინასწარი და სასამართლო გამოძიება ჩატარდა ტენდენციურად და მხედველობაში არ იქნა მიღებული არც ერთი ის გარემოება, რომელიც ადასტურებდა მის უდანაშაულობას წარდგენილ ბრალდებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2008 წლის 6 ივნისის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 თებერვლის განაჩენი მსჯავრდებულ გ. ფ-შვილის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. ფ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში, ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. ფ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ გ. ფ-შვილის მიერ წარმოდგენილ ვერსიას მისი უდანაშაულობის თაობაზე, რადგან მის მიერ განაჩენით შერაცხული ქმედებების ჩადენა დადასტურებულია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით - დაზარალებულ გ. ნ-ძის

მიერ წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიებზე მიცემული თანმიმდევრული ჩვენებებით, გ. ფ-შვილის ამოცნობის ოქმებით, მოწმეთა ჩვენებებით, ნივთმტკიცებებითა და სხვა მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით. აღნიშნული მტკიცებულებები მსჯავრდებულმა გ. ფ-შვილმა ვერ გააბათილა, ხოლო მის მიერ თავის მართლების მიზნით წარმოდგენილი არგუმენტები მოკლებულია საფუძვლიანობასა და დამაჯერებლობას, რის გამოც ისინი ვერ იქნება გაზიარებული.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათ მისცა მართებული სამართლებრივი კვალიფიკაცია. საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სწორად განსაზღვრა ის სასჯელის ზომები, რომლებიც გ. ფ-შვილს დაენიშნა მის მიერ ჩადენილი ყაჩაღობისა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისათვის, მსჯავრდებულ გ. ფ-შვილის წარსულის, მისი პიროვნების საშიშროების, ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, რის გამოც არ არსებობს საფუძველი გასაჩივრებული განაჩენის შეცვლისათვის გ. ფ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციისა და ამ ქმედებისათვის განსაზღვრული სასჯელის ზომების ნაწილში.

ამავე დროს საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განაჩენს იმ ნაწილში, რომლითაც გ. ფ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელს - თავისუფლების აღკვეთას 13 წლის ვადით - დაემატა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 17 ოქტომბრის განაჩენით მისთვის დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის, 3 თვისა და 21 დღის ვადით, რადგან სააპელაციო პალატის ხსენებული განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი ერთხელ უკვე დაემატა მსჯავრდებულ გ. ფ-შვილის მიმართ გამოტანილი სხვა განაჩენით, კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტისა და 363-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დანიშნულ სასჯელს, რაც ძალაში დატოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2008 წლის 13 თებერვლის განჩინებით.

აღნიშნულის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან უნდა ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულ გ. ფ-შვილის მიმართ მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელზე თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის - 1 წლით, 3 თვითა და 21 დღით თავისუფლების აღკვეთის - დამატების თაობაზე, ხოლო გ. ფ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ გ. ფ-შვილის მიმართ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ფ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულ გ. ფ-შვილის მიმართ მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნულ სასჯელზე თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის - 1 წლით, 3 თვითა და 21 დღით თავისუფლების აღკვეთის - დამატების თაობაზე და მსჯავრდებულ გ. ფ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თანამსრულებლისათვის სასჯელის შემსუბუქება

განჩინება

#109-აპ

30 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- პ. სილაგაძე,
- ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. რ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ზ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 21 აგვისტოს განაჩენით ა. რ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, „თ“ ქვეპუნქტებით, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფთან ერთად, ორის პირის მიმართ თავისუფლების აღკვეთა, სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით; ასევე - ძარცვა წინასწარი შეთანხმებით, პირთა ჯგუფთან ერთად, ძალადობის გამოყენებით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის; ასევე - გამოძალვა პირთა ჯგუფთან ერთად, დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით, რასაც თან ერთვოდა დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენება.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ბორჯომის დეპუტატ თ. გ-შვილის გატაცებისა და მისგან თანხის გამოძალვის მიზნით, ა. რ-შვილი 2004 წლის იანვარში დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის მეგობრებს - გ. ხ-ძეს, თ. შ-ძესა და გამოძიებით დაუდგენელ ორ პირს. 31 იანვარს, დაახლოებით 3 საათზე, ისინი ქუთაისიდან ბორჯომში ჩავიდნენ „ოპელ-ვექტრასა“ და „ვოლგო-460“ მარკის ავტომანქანებით. გათენებამდე გაჩერდნენ სს „ბორჯომის ტურბაზა-პალატოს“ #- კორპუსის -ე ოთახში, ხოლო დილით, დაახლოებით 11 საათზე, აღნიშნული მანქანებით დახვდნენ ბორჯომის რაიონის სოფედ ჭობისხევის საავტომობილო ხიდთან, „ჩითახევ-ჰესში“ მიმავალ, ბორჯომის მაშინდელ დეპუტატ თ. გ-შვილს, რომელიც მუქარით ჩამოსვეს პირადი საკუთრების, „უაზ-469“ მოდელის მანქანიდან მძღოლ თ. თ-შვილთან ერთად, ჩასვეს თავიანთ ავტომანქანაში, აუკრეს თვალები და მიიყვანეს ზემოაღნიშნული ტურბაზის განცალკევებით, ტყეში მდგარ კოტეჯში, რითიც მათ უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარით თ. გ-შვილს წაართვეს „სამსუნგის“ მოდელის მობილური ტელეფონი, ოქროს ყელსაბამი (ჯაჭვი) თავისი ოქროს ხატი და 95 ლარი, ხოლო თ. თ-შვილს - 150 ლარი. აღნიშნულის შემდეგ ბოროტმოქმედებმა თ. გ-შვილს მოსთხოვეს 300 000 აშშ დოლარი და, მიიღეს რა მისგან თანხმობა, სადამოს, დაახლოებით 18.00 საათზე, ის და თ. თ-შვილი თავისი ავტომანქანით მიიყვანეს პანსიონატ „პლატოდან“ დაახლოებით 400-500 მეტრის მოშორებით, ტყეში და თვალეზაბიჯეულები დატოვეს ეკლესიის ნანგრევებთან, თვითონ კი მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან.

აღნიშნული ქმედებისათვის ა. რ-შვილს საბოლოოდ მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 11 თებერვლიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. ზ-შვილმა. მან ითხოვა ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენის გაუქმება, ა. რ-შვილის დამნაშავედ ცნობა მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით და მისთვის სასჯელის ზომად 1 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი ა. რ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ ა. რ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ზ. ზ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ორივე ინსტანციის სასამართლო უკლებლივ ერთსა და იმავე მტკიცებულებებს იშველიებს ა. რ-შვილის ბრალის დასადასტურებლად, რომლებიც განაჩენებში გადმოტანილია საბრალდებო დასკვნიდან; დაზარალებულ თ. გ-შვილის ჩვენებებში არსად არ არის მინიშნება კი ამ დანაშაულში ა. რ-შვილის რაიმე სახით მონაწილეობაზე; დაზარალებულებს არც

ერთ შემთხვევაში არც აღნაგობითა და იერ-სახით, არც - ხმით ან სხვა მახასიათებლებით ა. რ-შვილის მსგავსი მონაცემების მქონე პირი არ ახსოვთ; არც ერთი მოწმის მიერ ჩამოთვლილი დანაშაუთა აღწერილობა არ შეესაბამება ა. რ-შვილის მონაცემებს; თავად ა. რ-შვილმა კატეგორიულად უარყო დანაშაულის ჩადენისას შემთხვევის ადგილზე ყოფნის ფაქტი და ახსნა, თუ სად იყო იმ დროს და რას აკეთებდა; რაც შეეხება შპს „მაგთიკომიდან“ ამოღებულ ინფორმაციას, ამასთან დაკავშირებით მსჯავრდებულმა განმარტა, რომ მობილური ტელეფონი მას საერთოდ არ ჰქონია, ხოლო ტურბაზის დირექტორ ს. ს-ძეს, რომელიც მისი ნათესავია, დაურეკა გ. ხ-ძის მიერ მიცემული ტელეფონით, რათა მისთვის ეთხოვა, დახმარებოდა გ. ხ-ძესა და მის მეგობრებს ტურბაზაში ერთი ღამის გათევამი; ა. რ-შვილის ეს ჩვენება დაადასტურა გ. ხ-ძემაც; მობილური ტელეფონი არ ამოუღიათ არც ა. რ-შვილის პირადი ჩხრეკისას და არც მისი ბინის ჩხრეკის დროს; ამრიგად, მტკიცება, რომ მას ჰქონდა მობილური ტელეფონი ნომრით..... არის ბრალდების მოსაზრება და უსაფუძვლო ვარაუდი.

ადვოკატის აზრით, სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ უარყო ერთი და გაიზიარა სხვა მტკიცებულება, კერძოდ, სასამართლომ განაჩენით სრულიად უმართებულოდ მიიჩნია დადგენილად, რომ ა. რ-შვილმა ტურბაზიდან გამოსვლისას გააფრთხილა მოწმე ა. ბ-ძე, არ გაემხილა ტურბაზაში მათი მისვლის ფაქტი; ორივე ინსტანციის სასამართლოებში მიცემულ ჩვენებებში ა. ბ-ძე არ მიუთითებდა ასეთ ფაქტზე, მეტიც, მან კატეგორიულად უარყო ა. რ-შვილის მხრიდან მისთვის ზემოაღნიშნულის თქმა. გარდა ამისა, დარღვეულია სამართლიანობის პრინციპი ა. რ-შვილის მიმართ აღნიშნულ დანაშაულში მონაწილე სხვა პირებისათვის შეფარდებული სასჯელის თანაბრობის თვალსაზრისით (რომც უდასტურდებოდეს მას წარდგენილი ბრალი); გ. ხ-ძესა და თ. შ-ძეს შეუფარდეს 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა, როდესაც ორივე მათგანის აქტიური მონაწილეობა დანაშაულში უდავოა და დასტურებული უტყუარი მტკიცებულებებით; ასეთ პირობებში, როდესაც სასამართლოს ხელთ ჰქონდა პრეიუდიციები, ერთი და იმავე დანაშაულში სავარაუდოდ მონაწილე ა. რ-შვილისათვის თითქმის ორმაგად უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდება ხელყოფს კანონისადმი პირთა თანასწორობის საერთაშორისო პრინციპს; დანაშაულის დამფარავი ა. რ-შვილი ბევრად უფრო მკაცრად დაისაჯა, ვიდრე დანაშაულის უშუალოდ ჩამდენი პირები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი ზ. ზ-შვილი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 1 ნოემბრის განაჩენის გაუქმებას, ა. რ-შვილისათვის საქართველოს სსკ-ის 143-ე, 178-ე, 181-ე მუხლებით წარდგენილი ბრალდების მოხსნასა და მის გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის, დაზარალებულების - თ. გ-შვილისა და თ. თ-შვილის, მოწმე ა. ბ-ძის ჩვენებებით, მათი ურთიერთშეჯერებითა და განაღობებით უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს, რომ ა. რ-შვილმა ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები.

გასაჩივრებული განაჩენი დადგენილია სსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით, იგი დასაბუთებულია, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა.

ამასთან, საქმეში არსებული მასალებით ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 30 ივნისის განაჩენითა და უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 3 მაისის განჩინებით თ. შ-ძესა და გ. ხ-ძეს, ადრე მოქმედი სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების წესის გამოყენებით საბოლოოდ განესაზღვრათ 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატა ითვალისწინებს თანამსრულებლობისას დანაშაულში ა. რ-შვილის ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათსა და ხარისხს, სხვა თანამსრულებლებისათვის საბოლოოდ დანიშნული სასჯელის ზომას და აღნიშნავს, რომ ა. რ-შვილს უნდა შეუმსუბუქდეს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "გ", "თ" ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) დანიშნული სასჯელი, მისი პიროვნებისა და ჩადენილი ქმედებების სიმძიმის გათვალისწინებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ა. რ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ზ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს: ა. რ-შვილის სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "გ" და "თ" ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) დანიშნული სასჯელი - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 3 წლით და განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ ა. რ-შვილს განესაზღვროს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასჯელის დანიშვნა განაჩენთა
ერთობლიობის დროს**

განჩინება

#315-აპ-08

19 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. ქ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ხ. ს-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 დეკემბრის განაჩენზე ლ. ქ-შვილისა და ბ. ი-ძის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 8 აგვისტოს განაჩენით, ლ. ქ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით 6 წლით, 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით - 3 წლით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 6 თვით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 6 თვით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით - 1 წლით, ხოლო 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სსკ-ის 240-ე მუხლის მე-3 ნაწილით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. ლ. ქ-შვილს განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 10 წელი, 5 თვე, 25 დღე და 2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საბოლოოდ ლ. ქ-შვილს მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2000 წლის 3 თებერვლიდან;

ამავე განაჩენით გარდაცვლილი ბ. ი-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 184-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით სასჯელის დაუნიშნავად.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. ქ-შვილმა ჯგუფურად და არაერთგზის ჩაიდინა ყაჩაღობა; მანვე ჩაიდინა ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით ჯგუფურად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის მუქარით; ცეცხლსასროლი იარაღის გატაცება ყაჩაღური თავდასხმის გზით; პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გატაცება, ასევე - ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა და ტარება.

ბ. ი-ძემ ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად და ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის მუქარით, ასევე - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გატაცება.

ყოველივე ზემოაღნიშნული კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

1999 წლის 26 ნოემბერს ლ. ქ-შვილი დაუკავშირდა ბ. ი-ძეს და დაუდგენელ პირებს. მათ განიზრახეს ქ. თბილისში, მდებარე სს "ბ-ზე" ყაჩაღური თავდასხმა, რისთვისაც აღიჭურვნენ ავ-

ტომატებით და პისტოლეტებით. იმავე დღეს, დაახლოებით 13 საათზე დამნაშავეთა ჯგუფი, ლ. ქ-შვილის ხელმძღვანელობით, შევიდა სააქციო საზოგადოების ტერიტორიაზე, სადაც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები - დ. კ-შვილი, გ. მ-შვილი და ნ. ხ-ძე, რომლებსაც სს "ბ-ის" თანამშრომლებმა აცნობეს მათ ტერიტორიაზე საექვო პირების ყოფნის შესახებ. უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა შეაჩერეს ლ. ქ-შვილი, ბ. ი-ძე და დაუდგენელი პირები, რომლებმაც წარუდგინეს თავი და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობები. ამ დროს ბოროტმოქმედთა ჯგუფი თავს დაესხა დ. კ-შვილსა და მის თანამშრომლებს. ლ. ქ-შვილმა ცეცხლსასროლი იარაღის ტარი ჩაარტყა ნ. ხ-ძეს თავისა და ბეჭის არეში და მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. მეორე ბოროტმოქმედმა "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტიდან ორჯერ გასროლით დ. კ-შვილს მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანება, რის შემდეგ წართვეს მობილური ტელეფონი. დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა გ. მ-შვილს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანება და გასტაცეს 200 აშშ დოლარად ღირებული ტყავის ქურთუკი, ორი მობილური ტელეფონი, თითოეული ღირებული 600 და 200 ლარად, ასევე - უშიშროების თანამშრომლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რის შემდეგ თავდამსხმელები ჩასხდნენ დ. კ-შვილის ავტომანქანაში და გაიტაცეს დროებითი გამოყენების მიზნით. აღნიშნული ავტომანქანა მეორე დღეს აღმოაჩინეს საბურთალოს რაიონის ტერიტორიაზე.

იმავე წლის 18 დეკემბერს, დაახლოებით 16 საათზე ლ. ქ-შვილი დაუდგენელ პირებთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა გარდაბნის რაიონში მდებარე ბენზინგასამართ სადგურს, რა დროსაც სადგურის ოპერატორ ზ. ჩ-ძეს წართვეს 150 ლარი, რ. გ-ძეს 40 ლარი, ხოლო ი. ვ-შვილს - 10 ლარი და 360 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი. ბოროტმოქმედები თავს დაესხნენ ასევე იქვე მყოფ პოლიციელ ზ. რ-შვილს და ჯ. ჯ-ვას, რა დროსაც გაიტაცეს ზ. რ-შვილის ტაბელური "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი მჭიდით და 8 ვაზნით, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, 65 ლარი და 100 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი. ამის შემდეგ თავდამსხმელებმა იქ მყოფი პირები შეიყვანეს საოპერატორო ოთახში და ცეცხლსასროლი იარაღებიდან გასროლით დაცხრილეს სადგურის ფასადი. მინების მსხვერვის შედეგად სხეულის მსუბუქი დაზიანებები მიიღეს რ. გ-ძემ და ზ. ჩ-ძემ. თავდამსხმელები ჩასხდნენ ზ. რ-შვილის ავტომანქანაში და გაიტაცეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ლ. ქ-შვილმა და მისმა ადვოკატმა ხ. ს-ძემ. მათ მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 სექტემბრის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: ლ. ქ-შვილს ბრალდებიდან ამოერიცხა სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტი. მისი და ბ. ი-ძის ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტზე. "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის შესაბამისად, ლ. ქ-შვილს გაუნახვერდა სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ლ. ქ-შვილს მიესაჯა 16 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 10 წელი, 5 თვე, 25 დღე და საბოლოოდ განესაზღვრა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2000 წლის 3 თებერვლიდან.

კასატორი - მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ხ. ს-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო, დაუსაბუთებელი და უსამართლოა, გამოტანილია სისხლის სამართლისა და საპროცესო ნორმების უხეში დარღვევებით; 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სსკ-ის მე-40 მუხლის შესაბამისად, წარდგენილი ბრალდების დადასტურების შემთხვევაშიც ლ. ქ-შვილს სასჯელად არ უნდა დანიშნოდა თავისუფლების აღკვეთა 20 წელზე მეტი ვადით; პირველი ინსტანციის სასამართლომ სასჯელის დანიშნისას იხელმძღვანელა 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილით მაშინ, როცა ქმედებები, რაც ბრალად ერაცხება ლ. ქ-შვილს, ჩადენილია 1999 წლის ნოემბერ-დეკემბერში; კანონის მოთხოვნათა დარღვევით, სასჯელი დაინიშნა განაჩენთა ერთობლიობით; საქმის წინასწარი გამოძიებისას არ შესრულდა უზენაესი სასამართლოს მითითებები; 2005 წლის 28 თებერვლისათვის, როცა სისხლის სამართლის საქმე მესამედ წარიმართა სასამართლოში, დიდი ხნის გასული იყო ლ. ქ-შვილის ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში ყოფნის ორწლიანი ვადა. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ თავის განაჩენში ქრონოლოგიურად აღწერა საქმის მოძრაობას, მაგრამ ვერ აბათილებს ადვოკატის მიერ მოყვანილ არგუმენტებს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და ლ. ქ-შვილის მიმართ საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ გასაჩივრებული განაჩენით დადგენილი ქმედებებისათვის ლ. ქ-შვილი ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემულია 2000 წლის 13 ივლისს. ამის შემდეგ საქმე სასამართლოში განსახილველად შევიდა 2000 წლის 22 სექტემბერს. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 5 დეკემბრის განჩინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გაუქმდა ლ. ქ-შვილის და ბ. ი-ძის სსკ-ის 224-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილში და ამ ნაწილში დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნდა გენერალურ პროკურატურას. ამასთან, ლ. ქ-შვილს სსკ-ის 109-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტით განესაზღვრა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქმე გენერალურ პროკურატურას გადაეცა 2002 წლის 25 იანვარს. 2002 წლის 19 ივნისს საქმე განსახილველად შევიდა სასამართლოში, შემდეგ კვლავ დაბრუნდა დამატებითი გამოძიებისათვის და პროკურატურას გადაეცა 2004 წლის 26 აპრილს. საბოლოოდ, საქმე სასამართლოში განსახილველად შევიდა 2005 წლის 28 თებერვალს. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენით დადგენილი ქმედებებისათვის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის დღიდან საქმე წინასწარ გამოძიებაში იმყოფებოდა სულ 17 თვისა და 6 დღის განმავლობაში და უსაფუძვლოა კასატორის მითითება, თითქოს დანაშაულის ერთი და იმავე შემთხვევის გამო ლ. ქ-შვილი ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იყო 2 წელზე მეტი ვადით.

დაზარალებულ ზ. რ-შვილის ჩვენებით ირკვევა, რომ ერთ-ერთმა თავდამსხმელმა წაართვა ტაბელური იარაღი. იქვე მივიდა მეორე ბოროტმოქმედი, რომელმაც გასტაცა 65 ლარი. დაზარალებულმა მიუთითა, რომ თავდამსხმელთა ამოცნობა არ შეეძლო.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალებით არ არის უტყუარად დადასტურებული ლ. ქ-შვილის მიერ ადრე მოქმედი სსკ-ის 240-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, რადგან ვერ დადგინდა პირი, ვინც უშუალოდ გასტაცა დაზარალებულს ცეცხლსასროლი იარაღი და გაურკვეველია, ხომ არ აქვს ადგილი ამსრულებლის ექსცესს.

გარდა ამისა, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ლ. ქ-შვილის მიერ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და მუქარით ავტომანქანის გატაცებას მოიცავს სსკ-ის 179-ე მუხლი, რომლითაც იგი მსჯავრდებულია.

აღნიშნულის გამო, გასაჩივრებული განაჩენიდან ლ. ქ-შვილისა და ბ. ი-ძის მიმართ უნდა ამოირიგხოს სსკ-ის 240-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციით) და 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდებში შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოტივს, რომ მოცემულ შემთხვევაში ლ. ქ-შვილს საბოლოო სასჯელი არ უნდა დანიშნონა განაჩენთა ერთობლიობით, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულისათვის საბოლოო სასჯელის მხოლოდ დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნვა არსებითად აუარესებს მის მდგომარეობს, ამ ნაწილში სააპელაციო პალატის განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დასაბუთებულია, რადგან ეყრდნობა უტყუარ მტკიცებულებებს, რაც საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ლ. ქ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ხ. ს-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიგხოს სსკ-ის 240-ე მუხლის მე-3 ნაწილითა (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციით) და 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდებში ლ. ქ-შვილისა და ბ. ი-ძის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით), სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2

ნაწილებითა და 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ლ. ქ-შვილს განესაზღვროს 7 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და ლ. ქ-შვილს საბოლოოდ მიესაჯოს 18 წლით, 2 თვით და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2000 წლის 3 თებერვლიდან.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დანაშაულის მცდელობა; დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

განჩინება

#1284-აპ-08

4 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. მ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ხ-შვილისა და მსჯავრდებულ მ. პ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. კ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის განაჩენით:

მ. პ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით - 6 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, მე-19,137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - ჯარიმა 1000 ლარი, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მ. პ-იანს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლითა და 3 თვით და ჯარიმა 1000 ლარი. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 8 სექტემბრის 00.45 საათიდან;

მ. მ-იანი - ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით 6 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, მე-19,137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მ. მ-იანს სასჯელად განესაზღვრა 15 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 8 სექტემბრის 3.15 საათიდან;

რ. ო-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლითა და 3 თვით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 8 სექტემბრის 1.30 საათიდან;

რ. ხ-იანი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლითა და 3 თვით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 8 სექტემბრის 2.10 საათიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი: თვითნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღი და ოთხი საბრძოლო ვაზნა ჩამოერთვა და გადაიგზავნა საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შტაბის შეიარაღების განყოფილებაში; ბრალდებულის ჩვენების ვიდეოჩანაწერი, ამოცნობის, ფულადი თანხის გადაცემისა და ხელწერილების ჩამორთმევის ვიდეოჩანაწერი უნდა შეინახოს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად, სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით; შავი ფერის „ადიდასის“ მარკის სპორტული შარვალი და შავი ფერი შალის ჟაკეტი უნდა დაუბრუნდეს მ. პ-იანის ოჯახს; შავი ფერის „ადიდასის“ ფირმის ქურთუკი უნდა დაუბრუნდეს რ. ო-იანის ოჯახს.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების - მ. პ-იანის, მ. მ-იანის, რ. ო-იანისა და რ. ხ-იანის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 6 სექტემბერს მ. პ-იანი, მ. მ-იანი, რ. ო-იანი და რ. ხ-იანი წინასწარი შეთანხმებით, შეიარაღდნენ მ. პ-იანის მიერ უკანონოდ, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეძენილი თვითნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღით, რომელსაც იგი ასევე უკანონოდ ინახავდა და ატარებდა. ღამის 22 საათზე ისინი მივიდნენ ბორჯომის რაიონში მიმდებარე ტყის პირას, სადაც იმყოფებოდნენ ისრაელის სახელმწიფოდან ჩამოსული სტუდენტები: ნ. ჰ-ერი, ნ. ო-ერი, ზ. შ-მანი და ი. კ-ერი, რომლებსაც გაშლილი ჰქონდათ 2 კარავი, ერთით კოცონი და ისვენებდნენ. მ. პ-იანმა ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით თანამზრახველებთან ერთად თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის - ყაჩაღობის სისრულეში მოყვანის მიზნით, მიწაზე დააწვინეს დაზარალებულები და უბრძანეს, მიეცათ ფული. შემდეგ კი ცალ-ცალკე შეიყვანეს კარავში, სადაც ი. კ-ერს წაართვეს 200 ლარი და ფანარი, ღირებული 20 აშშ დოლარად, ნ. ო-მერს - 100 ლარი, ნ. ჰ-ერს - 40 ლარი, რის შემდეგაც იქაურობას გაეცალნენ. აღნიშნულის შემდეგ მ. პ-იანმა მ. მ-იანთან ერთად გადაწყვიტა ნ. ჰ-ერის გაუპატიურება და თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დაახლოებით 5 წუთის შემდეგ დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე, იარაღი მიაბჯინა ზ. შ-მანს, ნ. ჰ-ერი კი მ. მ-იანის დახმარებით იძულებით გამოიყვანა 4-5 მეტრის მოცილებით, ტყის მასივისკენ, წააქცია მიწაზე და დაუწყო შარვლის გახდა და შეეცადა გაუპატიურებას. ნ. ჰ-ერმა გაუწია წინააღმდეგობა, ატეხა ყვირილი, რის შემდეგაც მ. პ-იანმა და მ. მ-იანმა მიატოვეს შემთხვევის ადგილი და რ. ო-იანთან და რ. ხ-იანთან ერთად მიიმალნენ.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განაჩენით შევიდა შემდეგი ცვლილება:

მ. პ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით - 6 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, მე-19,137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - ჯარიმა 1000 ლარი, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მ. პ-იანს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლითა და 3 თვით და ჯარიმა 1000 ლარი. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 8 სექტემბრის 00.40 საათიდან;

მ. მ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით - 6 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, მე-19,137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მ. მ-იანს სასჯელად განესაზღვრა 15 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 8 სექტემბრის 3.10 საათიდან;

რ. ო-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლითა და 3 თვით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 8 სექტემბრის 1.25 საათიდან;

რ. ხ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლითა და 3 თვით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 8 სექტემბრის 2.05 საათიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი: თვითნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღი და ოთხი საბრძოლო ვაზნა ჩამოერთვა და გადაიგზავნა საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შტაბის შეიარაღების განყოფილებაში; ბრალდებულის ჩვენების ვიდეოჩანაწერი, ამოცნობის, თანხის გადაცემისა და ხელწერილების ჩამორთმევის ვიდეოჩანაწერი უნდა შეინახოს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად, სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით; შავი ფერის „ადიდასის“ მარკის სპორტული შარვალი და შავი ფერი შალის ჟაკეტი უნდა დაუბრუნდეს მ. პ-იანის ოჯახს; შავი ფერის „ადიდასის“ ფირმის ქურთუკი უნდა დაუბრუნდეს რ. ო-იანის ოჯახს.

მსჯავრდებულ მ. მ-იანის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ზ. ხ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას და მ. მ-იანის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას გაუპატიურების მცდელობით მსჯავრდების ნაწილში. კასატორის მოსაზრებით, მოსამართლემ სასამართლოს განაჩენში მტკიცებულებად გამოიყენა წინასწარ გამოძიებაში მიცემული დაზარალებულების ჩვენებები, რომელთა გამოკვლევაში ბრალდებულის მხარეს მონაწილეობა არ მიუღია; სასამართლომ ისე გამოაქვეყნა დაზარალებულთა ჩვენებები, რომ არ გამოურკვევია, იყო თუ არა სასამართლო სხდომაზე მათი წარმოდგენის შესაძლებლობა; სასამართლომ დაარღვია თანასწორობის პრინციპი, რადგან მან არ უზრუნველყო მხარეები ისეთი პირობებით, რომ არც ერთ მათგანს არ ჰქონოდა აშკარა უპირატესობა; სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის დროს შემოიფარგლა მხოლოდ დაზარალებულთა ჩვენებებით; იგი არ დაინტერესდა, თუ რატომ იყო დაზარალებულთა ჩვენებებში აშკარა წინააღმდეგობები; სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ ასახა განაჩენში დაც-

ვის მხარის მიერ სააპელაციო საჩივარში მოყვანილი გარემოებები და არ გასცა პასუხი დაცვის არანაირ არგუმენტაციას, თუ რატომ იყო დაცვის მხარის მოსაზრება დაუსაბუთებელი; თუ მსჯავრდებულს ჰქონდათ ნ. 3-ერის გაუპატიურების მცდელობის განზრახვა, მაშინ მისი ტყეში ყვირილის გამო ისინი არ აიღებდნენ გაუპატიურების მცდელობის განზრახვაზე ხელს;

მსჯავრდებულ მ. პ-იანის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ს. კ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განაჩენის გაუქმებას მისი დაცვის ქვეშ მყოფის, მსჯავრდებულ მ. პ-იანის მიმართ და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას, რადგან, კასატორის მოსაზრებით, საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით; სასამართლო გამოძიება არ არის ჩატარებული სრულყოფილად; მოსამართლემ განაჩენში გაითვალისწინა მხოლოდ ბრალდების მხარის ვარაუდები, ხოლო მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეულ იქნა სასამართლო სხდომაზე და ადასტურებენ მ. პ-იანის ქმედებაში საქართველოს სსკ-ის მე-19,137-ე მუხლის III ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არარსებობას, სასამართლოს მიერ დაუსაბუთებლად არ იქნა გაზიარებული; მსჯავრდებულმა მ. პ-იანმა აღიარა ის რაც ჩაიდინა, კერძოდ, მან განაცხადა, რომ მ. მ-იანთან, რ. ო-იანთან და რ. ხ-იანთან ერთად 2007 წლის 6 სექტემბერს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩაიდინა ყაჩაღური თავდასხმა ისრაელის მოქალაქეებზე - ნ. 3-ერზე, ნ. ო-ერზე, ზ. შ-მანსა და ი. კ-ერზე, ხოლო რაც შეეხება ბრალდების ვარაუდს, თითქოს ყაჩაღობის დამთავრების შემდეგ მან მ. მ-იანთან ერთად გადაწყვიტა ნ. 3-ერის გაუპატიურება, არ შეესაბამება სინამდვილეს და არ მტკიცდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით; სასამართლო პროცესზე უნდა დაიკითხონ დაზარალებულები, ვინაიდან სასამართლოში არ დამტკიცებულა განაჩენში მოყვანილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები; სასამართლო განხილვა ჩატარდა არასრულად და ცალმხრივად; სასამართლომ გაითვალისწინა მხოლოდ ბრალდების ვარაუდები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, სარევიზიო წესით შეამოწმა საქმის მასალები, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ მ. პ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. კ-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ მ. მ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულების - მ. მ-იანის, მ. პ-იანის, რ. ო-იანისა და რ. ხ-იანის ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებებით; დაზარალებულების - ი. კ-ერის, ზ. შ-მანის, ნ. ო-ერისა და ნ. 3-ერის ჩვენებებით; მოწმეების - ნ. ა-ოვასა და ნ. მ-იანის ჩვენებებით; შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით; ჩხრეკის ოქმებით; ექსპერტიზის დასკვნით; ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმებით უდავოდ დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულებმა - მ. მ-იანმა, მ. პ-იანმა, რ. ო-იანმა და რ. ხ-იანმა ჩაიდინეს ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, სადგომში უკანონო შეღწევით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება ყაჩაღობის მსჯავრდების ეპიზოდში განაჩენის გაუქმებას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულების - მ. პ-იანისა და მ. მ-იანის განმარტებებს იმასთან დაკავშირებით, რომ მათ არ ჩაუდენიათ გაუპატიურების მცდელობა, რადგან საქმეში არსებულ შემდეგ მტკიცებულებათა ერთობლიობით: დაზარალებულების - ი. კ-ერის, ზ. შ-მანის, ნ. ო-ერისა და ნ. 3-ერის ჩვენებებით; ამოღების ოქმითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებათა ერთობლიობით უდავოდ დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულებმა - მ. მ-იანმა და მ. პ-იანმა ჩაიდინეს გაუპატიურების მცდელობა, კერძოდ:

დაზარალებულ ნ. 3-ერის ჩვენებიდან ირკვევა, რომ ერთ-ერთმა თავდამსხმელმა მოჰკიდა ხელი და წაიყვანა ტყის მასივის სიღრმეში, წინააღმდეგობას ვერ უწევდა, რადგან შიშობდა, რომ ზსთვის რაიმე ზიანი არ მიეყენებინათ. ტყის სიღრმეში იმ ბიჭმა, რომელმაც გაიყვანა, მიწაზე წააქცია და ცდილობდა შარვლის გახსნას, მაგრამ მალევე თავი დაანება და წავიდა დანარჩენებთან, რის შემდეგაც ის იარაღიანი კაცი მივიდა სხვა ბიჭებთან ერთად. თოფიანი თავზე დაადგა, ხოლო მეორე ბიჭმა დაუწყო შარვლის გახსნისას "ჯიკაობა", რა დროსაც შარვალი გაუხია პატარა შესაკრავიდან ელვა შესაკრავიდან მარცხნივ. იმ ბიჭს შარვალი უკვე ნაწილობრივ ჰქონდა ჩაწეული და ცდილობდა მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებას, ამ ყველაფერმა შეაშინა და დაიწყო კვილი, რის შემდეგაც ის ბიჭი, რომელიც ცდილობდა მისთვის შარვლის გახდას, შეეშვა, წამოდგა ფეხზე,

ხოლო თვითონ წავიდა თავის მეგობრებთან. დანამდვილებით შეუძლია თქვას, რომ ვინც გაუპატიურებას უპირებდა და შარვალი ჰქონდა ჩაწეული, არ იყო არც მუსლიმანი და არც ებრაელი, რადგან ცეცხლის შუქზე დაინახა, რომ მას ასო არ ჰქონდა წინდაცვეთილი, თან ჯიკაობისას ხელიც მოეკიდა.

დაზარალებულ ი. კ-ერის ჩვენებით ირკვევა, რომ სამმა პირმა ნ. გაიყვანა დაახლოებით 5-10 მეტრის მოცილებით. ის მათ ვერ ხედავდა, მაგრამ ესმოდა ნ-ის ხმა, რომელიც იმახდა, ძალადობენ ჩემზეო. ისინი ვერ მიეხმარნენ, რადგან ერთი ბიჭი ადგა თავზე თოფით. როდესაც ნ. მათთან დააბრუნეს, მას ტანსაცმელი და "კოლგოტი" დახეული ჰქონდა.

დაზარალებულ ნ. ო-მერის ჩვენებით ირკვევა, რომ, როდესაც ყაჩაღები უკან მობრუნდნენ, მივიდნენ მასთან და ნ-სთან, მოქაჩეს თმით და დაუპირეს წაყვანა. იგი ჩაეჭიდა ზ-ს. მას თავი დაანებეს და ნ-ის ჩასჭიდეს ხელი, თან ზ-ს დაადეს შუბლზე იარაღი. მათ შეეშინდათ სისხლის დაღვრის და ნ. იძულებული გახდა, მათ გაჰყოლოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გაიგონეს ნ-ს ყვირილი. მათ ჰკითხეს ნ-ს, თუ რა ხდებოდა. ნ-მა უთხრა, რომ უნდოდათ მისი გაუპატიურება.

დაზარალებულ ზ. შ-მანის ჩვენებით ირკვევა, რომ იარაღიანი ბიჭი დარჩა მასთან და დაადო თოფი თავზე. კიდევ ერთი ბოროტმოქმედი ცდილობდა ნ.-ს წაყვანას, მაგრამ ის მას ჩაეჭიდა და არ გაჰყვა. ამ დროს ტყიდან შემოესმა ნ-ს კვილი, რომელიც ებრაულად იმახდა, გაუპატიურებას მიპირებნო.

საქმეში არსებული ამოღების ოქმით ირკვევა, რომ ნ. ჰ-ერის მიერ წარმოდგენილ შარვალს წინა, მარცხენა მხარეს, ელვამესაკრავთან აქვს 46 სმ სიგრძის განარღვევი.

ამასთან, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენში მოყვანილ მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში, გაუპატიურების მცდელობის სტადიაზე, მსჯავრდებულებს დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელი არ აუღიათ, რადგან მსჯავრდებულთა მხრიდან დანაშაულის შეწყვეტა გამოწვეულია არა ნებაყოფლობით, არამედ - დაზარალებულის აქტიური წინააღმდეგობით, რაც ასევე გაზიარებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ.

საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დაზარალებულ ნ. ჰ-ერის მხრიდან გაწეული ფიზიკური წინააღმდეგობა და ყვირილი არ შეიძლება ჩაითვალოს იმ ობიექტურ ხელის შემშლელ გარემოებებად, რომელთა არსებობის შემთხვევაში მსჯავრდებულები თავიანთ განზრახვას სისრულეში ვერ მოიყვანდნენ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში მოხდა დამთავრებული მცდელობის სტადიაზე დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება, რაც საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის "ო" ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულებს - მ. პ-იანსა და მ. მ-იანს გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოერიცხოთ საქართველოს სსკ-ის მე-19, 137-ე მუხლის III ნაწილის "გ" ქვეპუნქტი და ბრალდების ამ ნაწილში მათ მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

მსჯავრდებულ მ. პ-იანს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლითა და 3 თვით და ჯარიმა - 1000 ლარი.

მსჯავრდებულ მ. მ-იანს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლითა და 3 თვით.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ ერთ-ერთი მსჯავრდებული, საქმეში არსებული დაბადების მოწმობის თანახმად, არის რ. ოვ-იანი და არა - რ. ო-იანი, როგორც ეს მოხსენიებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ნაცვლად რ. ო-იანისა, უნდა მიეთითოს რ. ოვ-იანი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის "ო" ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით, 568-ე, 567-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ მ. კ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

მსჯავრდებულ მ. მ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულებს - მ. კ-იანსა და მ. მ-იანს გასაჩივრებული განაჩენიდან ამოერიცხით საქართველოს სსკ-ის მე-19,137-ე მუხლის III ნაწილის "გ" ქვეპუნქტი და ბრალდების ამ ნაწილში მათ მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

მსჯავრდებულ მ. კ-იანს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლითა და 3 თვით და დამატებითი სასჯელი ჯარიმა - 1000 ლარი, მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2007 წლის 8 სექტემბრის 00.40 საათიდან.

მსჯავრდებულ მ. მ-იანს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლითა და 3 თვით, რომლის მოხდა დაეწყოს 2007 წლის 8 სექტემბრის 3.10 საათიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამატებითი სასჯელის ამორიცხვა

განჩინება

#1416-აპ-08

17 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ქ-ვისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ს-ვის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 სექტემბრის განაჩენით ნ. ქ-ვი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 110-ე მუხლის პირველი ნაწილით (1960 წლის რედაქცია) და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა - 3000 ლარი.

ნ. ქ-ვს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 14 დეკემბრიდან. მასვე, სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა რუსეთის ფედერაციაში დაკავების ვადა - 2007 წლის 18 ივლისიდან 2007 წლის 14 დეკემბრამდე.

მოიხსნა ყადაღა ნ. ქ-ვის საცხოვრებელ მისამართზე გამოგზავნილ საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციებზე.

განაჩენის მიხედვით, ნ. ქ-ვის დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

1998 წლის 9 ივნისს, დაახლოებით 21 საათზე, ნ. ქ-ვი მივიდა თავის საცხოვრებელ ბინაში, რა დროსაც მას თან ახლდა თავისი თანასოფლელი ე. მ-შვილი. მათ დალიეს ალკოჰოლური სასმელი - არაყი, რის შემდეგ ე. მ-შვილი წავიდა, ხოლო ნ. ქ-ვი დარჩა თავის საცხოვრებელ ბინაში. იყო რა მთვრალი, მან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება დაუწყო თავის მეუღლეს - ნ. ჩ-შვილს, რომელსაც ბრალს სდებდა ცოლქმრულ ღალატში. ნ. ქ-ვის დამშვიდება მოახერხეს მისმა შვილებმა - ბ. და თ. ქ-ვებმა, რომლებმაც იგი დააწვინეს საწოლში. დაახლოებით სამ საათზე, ნ. ქ-ვი წამოდგა საწოლიდან და განიზრახა, სხეულის დაზიანება მიეყენებინა თავისი მეუღლისათვის. თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მან აიღო ნაჯახი და მივიდა საძინე-

ბელ ოთახთან, ნ. ჩ-შვილი მიუხვდა თავის მეუღლეს განზრახვას და სცადა გაქცევა, თუმცა ნ. ქ-ვი ქუჩაში დაეწია მას და ნაჯახის ყუის თავში ჩარტყმით მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ნ. ქ-ვი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. ს-ვი საკასაციო საჩივრებით ითხოვენ სასჯელის შემსუბუქებას, კერძოდ, ნ. ქ-ვის მიმართ 1 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას და დაკისრებული ჯარიმის მოხსნას იმ მოტივით, რომ განაჩენი სასჯელის ნაწილში არის უკანონო, დაუსაბუთებელი და არასამართლიანი, ვინაიდან საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ მსჯავრდებული ნ. ქ-ვი არ არის ნასამართლევნი, ხასიათდება დადებითად, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, დაზარალებულს ზიანი მთლიანად აუნაზღაურა და მის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია; დანაშაული, რომელიც მის მიერ იყო ჩადენილი, მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს, ჰყავს მეუღლე და შვილები, ხოლო თავად დაზარალებული არის მისი მეუღლე; მსჯავრდებულმა დაკავების მომენტიდან მთლიანად აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული; ითანამშრომლა გამოძიებასთან; სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 110-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული სანქციის მაქსიმალური სასჯელის დანიშვნა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის - 3 000 ლარის ოდენობით დაკისრება არის უკანონო, რადგან აღნიშნულს არ ითვალისწინებდა საქართველოს სსკ-ის 110-ე მუხლი (1960 წლის რედაქცია).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: დაზარალებულ ნ. ჩ-შვილისა და მოწმეების - დ. ო-შვილის, ე. მ-შვილის, დ. ქ-შვილის, ბ., თ. და დ. ქ-ვების ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #135 დასკვნით უდავოდ დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულმა ნ. ქ-ვმა ჩაიდინა მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულებრივი ქმედება.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

საქართველოს სსკ-ის 110-ე მუხლის I ნაწილით (ძვ. რედაქცია), რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, სასჯელის ზომად განსაზღვრული იყო თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან რვა წლამდე, რის გამოც აღნიშნული ქმედება მიეკუთვნებოდა მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. იმავე ქმედებისათვის ამჟამად მოქმედი სსკ-ის 117-ე მუხლის I ნაწილი სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით სამიდან ხუთ წლამდე, რის გამოც ის წარმოადგენს ნაკლებად მძიმე დანაშაულს, თანახმად საქართველოს სსკ-ის მე-12 მუხლისა. აღნიშნული გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ახალი კანონით შეიცვალა ამ დანაშაულის კატეგორია და, შესაბამისად, შემსუბუქდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის I ნაწილის თანახმად: "სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ნ. ქ-ვის დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაცია საქართველოს სსკ-ის 110-ე მუხლის I ნაწილის სახით (ძვ. რედაქცია), შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 117-ე მუხლის I ნაწილთან, საქართველოს სსკ-ის 110-ე მუხლის I ნაწილის (ძველი რედაქცია) სანქციის მინიმუმის გათვალისწინებით.

საქართველოს სსკ-ის მე-2 მუხლის თანახმად, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს. საქართველოს სსკ-ის 110-ე მუხლის I ნაწილის (ძველი რედაქცია) სანქცია, სასჯელის სახით ჯარიმას არ ითვალისწინებდა. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ძველი რედაქცია არ აკეთებდა დათქმას დამატებითი სასჯელის სახედ ჯარიმის გამოყენების თაობაზე.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ ნ. ქ-ვს უნდა მოეხსნას დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა - 3000 ლარი.

საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს რა ზემოაღნიშნულს, საკასაციო პალატის სახელზე წარმოდგენილ დაზარალებულ ნ. ჩ-შვილის განცხადებას, სადაც იგი აღნიშნავს, რომ მსჯავრდებული არის მისი მეუღლე, რომელთანაც დიდი ხანია შერიგებულია და ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას, ასევე, მსჯავრდებულ ნ. ქ-ვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს, კერძოდ: იმას, რომ იგი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, არ არის ნასამართლევნი, მიყენებული ზიანი

მთლიანად ანაზღაურა, თვლის, რომ მსჯავრდებულ ნ. ქ-ვს დანიშნული სასჯელი უნდა შეუმცირდეს 1 წლითა და 6 თვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ ნ. ქ-ვის დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაცია საქართველოს სსკ-ის 110-ე მუხლის I ნაწილის სახით (ძვ. რედაქცია), შესაბამისობაში მოვიდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 117-ე მუხლის I ნაწილთან. ნ. ქ-ვს მოსახდელად განესაზღვროს 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდაც დაეწყოს 2007 წლის 14 დეკემბრიდან.

მსჯავრდებულ ნ. ქ-ვს მოეხსნას დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა - 3000 ლარი.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას

განჩინება

#1003-აპ-08

3 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. შ-ძის ადვოკატის - ა. ჩ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 აპრილის განაჩენით ნ. შ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლით და სასჯელად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელის იხდის 2007 წლის 27 დეკემბრიდან.

განაჩენით ნ. შ-ძეს მსჯავრი დაედო შემდეგი დანაშაულის ჩადენაში:

2007 წლის 27 დეკემბერს, დაახლოებით 23 საათზე, ქალაქ თბილისში, ნ. შ-ძე შეხვდა თავის მეუღლე ქ. კ-ს და გაემართნენ საცხოვრებელი სახლისაკენ. სახლში მისვლის შემდეგ ნ. შ-ძემ გადაწყვიტა, შეემოწმებინა მასზე გაფორმებული, გლუვლულიანი სანადირო თოფის „იჟექტორი“, რა დროსაც ხელი მოუხვდა სასხლეტზე. მოხდა გასროლა და რადგან ლულა შემთხვევით მიმართული იყო მისი მეუღლის - ქ. კ-კენ, მან მარცხენა მხართან მიიღო დაზიანება, რის გამოც იგი გადაიყვანეს ქალაქ თბილისის ცენტრალურ კლინიკაში. მიუხედავად კვალიფიციური დახმარებისა, ქ. კ-ლი იმავე დღეს გარდაიცვალა, ნ. შ-ძე კი ბრალის აღიარებით გამოცხადდა პოლიციაში.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. ჩ-მა. აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა საქართველოს სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანას იმ მოტივით, რომ მოსამართლემ სასჯელის განსაზღვრისას არ გაითვალისწინა აღნიშნული მუხლის მოთხოვნა, კერძოდ, ის ფაქტი, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავე გამოცხადდა ბრალის აღიარებით, აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას და მსჯავრდებულ ნ. შ-ძეს არ განუ-

საზღვრა საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ვადის სამი მეოთხედი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ნ. შ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის I ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ნ. შ-ძის ადვოკატმა ა. ჩ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ დანიშნული სასჯელი არ შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და ითხოვა ნ. შ-ის დანიშნული სასჯელის ჩათვლა პირობით, ან ალტერნატივის სახით - სასჯელის შემსუბუქება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ნ. შ-ძის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს არც მხარეები ხდიან სადავოდ. რაც შეეხება სასჯელს, პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას სრულად გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ნ. შ-ძე სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შუწყო სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, აღიარა და მოინანია ჩანადენი, რასაც თვით ბრალდების მხარეც ადასტურებს საბრალდებო დასკვნაში. მან პირველი ინსტანციის სასამართლოშიც თავი სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონიერად გამოიყენა საქართველოს სსკ-ის 54-ე მუხლი, რადგან აღნიშნული მუხლის თანახმად: „თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავე გამოცხადდა ბრალის აღიარებით, აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას და არ არსებობს დამამძიმებელი გარემოებანი, სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედს“.

პალატა თვლის, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულ შ. კ-ის - ქ. კ-ის მამის ჩვენებით, მოწმეების: დ. ს-ძის, ს. შ-ძის, ვ. შ-ძის, ზ. წ-ის, ა. ქ-ძისა და თ. გ-ძის ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ამოღების, პირადი ჩხრევის, საცხოვრებელი ბინის ჩხრევის, ნივთიერ მტკიცებულებად ცნობის შესახებ დადგენილებითა და ბრალის აღიარებით გამოცხადების ოქმებით, საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს სასამართლო ბალისტიკური ექსპერტიზის #24/ზ ექსპერტიზის, ქიმიური ექსპერტიზის #რან/41, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #17/13/33 დასკვნებით ნ. შ-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ნ. შ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ა. ჩ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას ნ. შ-ის დანიშნული სასჯელის პირობითი მსჯავრით შეცვლის შესახებ, უსაფუძვლობის გამო, მაგრამ პალატა იზიარებს ადვოკატის ალტერნატიულ მოთხოვნას მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, და იქიდან გამომდინარე, რომ: ნ. შ-ძე პირველად სამართალში, აღიარა და მოინანია დანაშაული, ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი, დაზარალებულ შ. კ-ის - ქ. კ-ის მამის გადმოცემით, მის სიძესა და ქალიშვილს მოსიყვარულე და თბილი ოჯახი ჰქონდათ, მსჯავრდებულის მეზობლებისა და ახლობლების: დ. ს-ძის, ს. შ-ძის, ვ. შ-ძის, ზ. წ-ისა და ქ. კ-ის მეგობრების - ა. ქ-ძის, თ. გ-ძის დადებითი დახასიათებებითა და ჩვენებებით, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ნ. შ-სა და მის მეუღლე ქ. კ-ს უყვარდათ ერთმანეთი და მათი კონფლიქტის შესახებ არასოდეს სმენიათ, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულს საქართველოს სსკ-ის 54-ე მუხლის გამოყენებით შეფარდებული აქვს სსკ-ის 116-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის სამი მეოთხედი.

ლური ვადის სამი მეოთხედის მაქსიმუმი, საკასაციო პალატა შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ნ. შ-ძეს შეფარდებული სასჯელი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს 6 თვით და საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ამდენად, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის განაჩენი ნ. შ-ძის მიმართ უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ნ. შ-ძის ადვოკატის - ა. ჩ-ის საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

ნ. შ-ძეს შეფარდებული სასჯელი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს 6 თვით და საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამატებითი სასჯელის ამორიცხვა

განჩინება

#1437-აპ-08

18 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ჯ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. ხ-ლის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის განაჩენით ა. ჯ-ძე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 6 წლისა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით. მასვე დაზარალებულის სასარგებლოდ დაეკისრა 14 256 ლარის გადახდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2006 წლის ზაფხულის დასაწყისში ა. ჯ-ძემ განიზრახა, მოტყუებით დაუფლებოდა მ. ჭ-ს კუთნილ თანხას და კომპიუტერებს. ამ მიზნით იგი 2006 წლის ივნისის დასაწყისში, ზუსტი დრო დაუდგენელია, დაუკავშირდა მ. ჭ-ლს და შესთავაზა, რომ დაეწყეთ ერთობლივი ბიზნესი, კერძოდ, დაარწმუნა იგი, რომ, თუ ეს უკანასკნელი უზრუნველყოფდა მას საჭირო თანხით, თავად შეძლებდა საჭირო აპარატურის შეძენას და ვიდეოკასეტების ჩამწერი და სამონტაჟო სალონის გახსნას. ასეთი გზით, მოიპოვა რა მ. ჭ-ს ნდობა, ამ უკანასკნელს გამოართვა 4276 აშშ დოლარი, ანუ 7470 ლარი. მომდევნო დღეებში, ჰქონდა რა განზრახული მოტყუებით დაუფლებოდა მ. ჭ-ს ფულს, ა. ჯ-ძე დაუკავშირდა მას და განუცხადა, რომ ჰყავდა კლიენტი, რომელიც შეღავათიან ფასად შეიძენდა კომპიუტერულ ტექნიკას, ამიტომ სთხოვა, დახმარებოდა ფულადი სახსრებით, რათა შეეძინა კომპიუტერები. მ. ჭ-ი დასთანხმდა და საკუთარი სახსრებით - 6786 ლარად შეიძინა 6 კომპიუტერი, რომელიც სხვადასხვა დროს გადასცა ა. ჯ-ძეს. ამის შემდეგ ა. ჯ-ძე მიიმალა და თაღლითურად, მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა დაზარალებულის კუთვნილი 7470

ლარი და 6 კომპიუტერი, ღირებული 6786 ლარად, რითიც დაზარალებულს მიაყენა დიდი ოდენობით - 14256 ლარის მატერიალური ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა ე. ხ-მ და ითხოვა ა. ჯ-მის გამართლება.

დაზარალებულმა იშუამდგომლა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად. ამასთან, ა. ჯ-მეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 18 ივნისიდან.

კასატორი - მსჯავრდებულის ადვოკატი ე. ხ-ი თავის საჩივარში მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უკანონოა, რადგან სასამართლომ არასწორად გამოიყენა სისხლის სამართლის კანონი; ა. ჯ-სა და მ. ჭ-ს შორის ურთიერთობა სამოქალაქო სამართლებრივია; ა. ჯ-მე მიეკუთვნება სოციალურად დაუცველთა კატეგორიას, მაგრამ, ამის მიუხედავად, მას მაინც დაეკისრა დამატებითი სასჯელად ჯარიმა; დაზარალებულს ა. ჯ-მისათვის, კომპიუტერების გარდა, თანხა არ გადაუცია; კომპიუტერების ღირებულება და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხარჯი ზუსტად ემთხვევა იმ თანხას, რაც ნოტარიალურად დამოწმებულ ხელშეკრულებაშია მითითებული; გაუგებარია, რატომ არ მიუთითა დაზარალებულმა ხელშეკრულებაში კომპიუტერების ღირებულებაც;

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივს ა. ჯ-მის უდანაშაულობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა უტყუარად დასტურდება საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის - დაზარალებულ მ. ჭ-ს, მოწმეების - დ. რ-ს, მ. ჭ-სა და რ. მ-ს ჩვენებებით.

საქმეში არსებული მტკიცებულებების ანალიზი უდავოდ ცხადყოფს, რომ ა. ჯ-მეს იმთავითვე ამოძრავებდა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი და ეს მტკიცებულებები ობიექტურად და სწორადაა შეფასებული.

ამასთან, გასაჩივრებულ განაჩენში არასწორადაა მითითებული, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულია მხოლოდ ა. ჯ-მის ოჯახის წევრები. შესაბამისი მოწმობით დადგენილია, რომ ამგვარ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია თავად ა. ჯ-მეც.

აღნიშნულის გამო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება ა. ჯ-სათვის დამატებითი სასჯელად ჯარიმის დანიშვნის შესახებ.

სააპელაციო პალატის განაჩენი სხვა ნაწილში, როგორც კანონიერი და სამართლიანი, უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ამასთან, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და ჩადენილი ქმედების სიმძიმეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ა. ჯ-მის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. ხ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენიდან ა. ჯ-მის მიმართ ამოირიცხოს მითითება დამატებითი სასჯელად ჯარიმის - 3 500 ლარის დანიშვნის შესახებ.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქონების ჩამორთმევა

განჩინება

#26-აპ-09

13 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- ზ. მეიშვილი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. ბ-ნის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ზ. რ-შვილისა და ვ. ხ-შვილის, ასევე - აჭარის ა/რ პროკურატურის პროკურორ ა. კ-შვილის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის განაჩენით ჯ. ბ-ნი, ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 16 ოქტომბრიდან. მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 6 ათასი ლარი, ხოლო ავტომანქანა „BMჰ“ უსასყიდლოდ ჩამოერთვა სახელმწიფოს სასარგებლოდ. გარდა ამისა, ჯ. ბ-ნს 5 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული უფლებები.

განაჩენის მიხედვით, ჯ. ბ-ნმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა 2,37 გრამი „ჭეროინი“, რომელიც დააფასოა და შეახვია ქაღალდის 13 პაკეტში. მათგან 3 პაკეტი ჯ. ბ-ნმა შეინახა თავისი შარვლის ჯიბეში, 8 - ავტომანქანა „BMჰ-ში“, ხოლო 2 - თავის საცხოვრებელ ბინაში. აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერება პირადი, ავტომანქანისა და ბინის ჩხრევის შედეგად ამოიღეს პოლიციელებმა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა ვ. ხ-შვილმა. მათ მოითხოვეს სასჯელის 8 წლამდე შემცირება, ჯარიმის მოხსნა და ჩამორთმეული ავტომანქანის დაბრუნება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენით საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ჯ. ბ-ნს მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა; ავტომანქანა „BMჰ-ს“ მოეხსნა ყადაღა და იგი დაუბრუნდა მსჯავრდებულს. სხვა ნაწილში განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორები - მსჯავრდებულის ადვოკატები თავიანთ საჩივარში აღნიშნავენ, რომ ჯ. ბ-ნმა აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, ითანამშრომლა გამოძიებასთან, კერძოდ, საცხოვრებელ სახლში სწორედ მისი მითითებით ამოიღეს პოლიციელებმა ნარკოტიკული საშუალება; სასამართლომ არ გაითვალისწინა მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება და ისე დაუნიშნა სასჯელი. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ადვოკატები - ზ. რ-შვილი და ვ. ხ-შვილი მოითხოვენ სასჯელის მინიმუმის განსაზღვრას და ჯარიმის დანიშვნის ნაწილში განაჩენის გაუქმებას.

პროკურორი ა. კ-შვილი თავის საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ განაჩენი უკანონოა ავტომანქანის საკითხის გადაწყვეტის ნაწილში, ვინაიდან ჯ. ბ-ნი ნარკოტიკულ საშუალებას ინახავდა ავტომანქანის სავარძლის წინამდებარე იატაკსაგების ქვეშ და სავარძლებს შორის არსებულ სათავსში, რითიც დასტურდება, რომ მსჯავრდებული ავტომანქანას იყენებდა დანაშაულის ჩასადენად - ნარკოტიკული საშუალების შესანახად და მის გადასაზიდად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი მოითხოვს, რომ სახელმწიფოს სასარგებლოდ ჯ. ბ-ნს უსასყიდლოდ ჩამოერთვას ავტომანქანა „BMჰ“.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულის ადვოკატების საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პროკურორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

ჯ. ბ-ნის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული საქმეში არსებული მასალებით. დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არც მსჯავრდებული უარყოფს. მან სასამართლოს განუმარტა, რომ მისი პირადი, ავტომანქანის და ბინის ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება შეიძინა პირადი მოხმარების მიზნით, დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულის ქმედება სწორადაა დაკვალიფიცირებული, ხოლო სასჯელი დანიშნული აქვს მისი პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების სიმძიმის შესაბამისად. ეს სასჯელი ზომიერია და მისი შემცირების ან დამატებითი სასჯელისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ ადვოკატების მოთხოვნა უსაფუძვლოა.

პროკურორის საჩივრის მოთხოვნასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 566-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი, მიიღოს მსჯავრდებულის საზიანო გადაწყვეტილება. ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ავტომანქანის მსჯავრდებულისათვის დაბრუნების მოტივად სააპელაციო პალატამ აღნიშნა ის გარემოებები, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ მიუთითა, რაში გამოიხატა დანაშაულის ჩადენა სატრანსპორტო საშუალებით და რატომ მიიჩნია იგი დანაშაულის იარაღად თუ საშუალებად; მხოლოდ ის ფაქტი, რომ ავტომანქანიდან ამოიღეს "ჰეროინი", არ წარმოადგენს ავტომანქანის დანაშაულის საგნად ან საშუალებად მიჩნევის საფუძველს, მით უფრო, რომ ჯ. ბ-ნს ბრალად არ ედებოდა ამ ნარკოტიკის გადაზიდვა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საბრალდებო დასკვნით და სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ჯ. ბ-ნი "ჰეროინის" ნაწილს ინახავდა ავტომანქანაში და იგი პირველი ინსტანციის სასამართლომ მსჯავრდებულს ჩამოართვა სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე, რომლითაც დადგენილია ქონების ჩამორთმევის პირობები და წესი. თავისი მსჯელობით სააპელაციო სასამართლოც ადასტურებს, რომ ავტომანქანა მიჩნეული იყო დანაშაულის საგნად. ჯ. ბ-ნს ავტომანქანა არ ჩამოერთვა მხოლოდ იმის გამო, რომ იქიდან ამოიღეს ნარკოტიკი. მესაკუთრისათვის ამ საგნის დაბრუნებისას სათანადო ყურადღება არ გამახვილდა ცალკეულ, არსებით გარემოებებზე, კერძოდ, 8 ცალად დაფასოებული ნარკოტიკი ამოღებულია ავტომანქანის იატაკსაგების ქვემოდან და სავარძლებს შორის არსებული სათავსოდან.

საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობამ სათანადოდ უნდა იმსჯელოს დადგენილ ყველა ფაქტობრივ გარემოებაზე და მხოლოდ მათი სრულად გათვალისწინებით გადაწყვიტოს ავტომანქანის საკითხი.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ჯ. ბ-ნის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ზ. რ-შვილისა და ვ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

პროკურორ ა. კ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ - გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენი ჯ. ბ-ნის მიმართ, ხოლო საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის შემსუბუქება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გამო

განჩინება

#392-აპ-09

15 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. კ-ძის დამცველის, ადვოკატ რ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ა. კ-ძე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 იანვრის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

ა. კ-ძეს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავეს მიმართ მსხვერპლის მიერ ჩადენილმა მძიმე შეურაცხყოფამ. აღნიშნული დანაშაულის ჩადენა გამოიხატა შემდეგში:

ა. კ-ძის ვაჟიშვილი ი. კ-ძე ბოლო წლების განმავლობაში ნარკოტიკული ნივთიერების აქტიური მომხმარებელი იყო, რის გამოც მამამ - ა. კ-ძემ, არასასურველ მეგობართა წრისგან მისი ჩამოშორების მიზნით, იგი სასწავლებლად კანადაში გააგზავნა. მიუხედავად ამისა, ი. კ-ძე არ დაადაგა გამოსწორების გზას და კვლავ განაგრძობდა ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებას, ა. კ-ძეს ხშირად სთხოვდა ფულს ნარკოტიკების შესაძენად, რასთან დაკავშირებითაც იგი სისტემატურად აყენებდა მას სიტყვიერ შეურაცხყოფას.

2008 წლის 22 სექტემბერს ა. კ-ძე თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დახვდა კანადიდან დაბრუნებულ შვილს ი. კ-ძეს და ისინი ერთად მივიდნენ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირზე მდებარე "სამთო ქიმიის" შენობაში, ა. კ-ძის მიერ ნაქირავებ ოფისში, სადაც ისინი იმყოფებოდნენ მთელი ღამის განმავლობაში და საუბრობდნენ. 2008 წლის 23 სექტემბერს, დილით, ი. კ-ძე ოფისიდან გავიდა და უკან დაბრუნდა იმავე დღეს, დაახლოებით 15.00 საათზე. მან დაბრუნებისთანავე აგრესიული ტონით მოსთხოვა ა. კ-ძეს ნარკოტიკების შესაძენი თანხა, რაზეც მისგან უარი მიიღო. აღნიშნულით განაწყენებულმა ი. კ-ძემ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მამას. ვინაიდან ბოლო წლებში ა. კ-ძეს და მისი ოჯახის წევრებს შვილი სისტემატურად აყენებდა მორალურ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, იგი ჩავარდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში, სამუშაო მაგიდის უჯრიდან ამოიღო თავის სახელზე რეგისტრირებული "თთ-ს" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და ი. კ-ძის მიმართულეებით ორი გასროლა მოახდინა, რითაც მას მიაყენა თავის ქალასა და მარჯვენა მხარის სარტყელის მიდამოს ცეცხლსასროლი, გამჭოლი ჭრილობები, რის შედეგადაც ი. კ-ძე საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ა. კ-ძის დამცველმა, ადვოკატმა რ. კ-შვილმა. აპელანტი თვლიდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენი სასჯელის ნაწილში არის ზედმეტად მკაცრი. სასამართლომ ა. კ-ძის მიმართ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღო სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული გარემოებები, კერძოდ ის, რომ: ა. კ-ძეს ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომელიც მან აღიარა და გულწრფელად მოინანია; იგი პირველად არის სამართალში და მისი წარსული არაფრით არ არის შებღალული; თავად დაზარალებულად ცნობილი თ. კ-ძე მას დადებითად ახასიათებს და მის მიმართ არავითარი პრეტენზია არ გააჩნია. მოცემულ შემთხვევაში, თვით ა. კ-ძეა ყველაზე მეტად დაზარალებული, რადგან მას, აფექტში მყოფს, თავისი ერთადერთი შვილი შემოაკვდა. გარდა ამისა, იგი არის 54 წლის, დაავადებულია გულის უმძიმესი ავადმყოფობით, გადატანილი აქვს გულის ინფარქტი, გულზე გაკეთებული აქვს ოპერაცია - შუნტირება და არის მაღალი რისკის მატარებელი პაციენტი. ა. კ-ძეს, მისი ავადმყოფობიდან გამომდინარე, ესაჭიროება სპეციალური მეთვალყურეობა, კვების რაციონი და მედიკამენტები, რომლის მიღების საშუალებაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში შეუძლებელია. სამედიცინო თვალსაზრისით, ასევე აუცილებელია ნაინფარქტული და გულის შუნტირებაგაკეთებული პაციენტის კორონოგრაფიის მეთოდით გამოკვლევა ყოველ 6 თვეში ერთხელ, რაც ასევე შეუძლებელია მის ამჟამინდელ მდგომარეობაში ყოფნისას. ამდენად, აპელანტის განმარტებით, ა. კ-ძის პატიმრობაში ყოფნის შემთხვევაში სავსებით რეალურია დადგეს უმძიმესი, გამოუსწორებელი შედეგი, რაც არავისთვის არ იქნება მისაღები. შესაბამისად, არსებობს არა მარტო ფორმალურ-სამართლებრივი საფუძველი, არამედ ფაქტობრივი საფუძველებიც მსჯავრდებულ ა. კ-ძის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი საჩივრით ითხოვდა ა. კ-ძის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ დადგენილ განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ ა. კ-ძეს დანიშნული სასჯელი ჩათვლოდა პირობით მსჯავრად.

სააპელაციო საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2009 წლის 19 მარტის განაჩენით, არ დააკმაყოფილა რა აპელანტის მოთხოვნა, მსჯავრდებულ ა. კ-ძის მიმართ უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ა. კ-ძის დამცველმა, ადვოკატმა რ. კ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის შეცვლას მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით, სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის მსჯავრდებულისათვის პირობით ჩათვლას იმავე მოტივების საფუძველზე, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში. ამასთან, კასატორი - მსჯავრდებულ ა. კ-ძის დამცველი, ადვოკატი რ. კ-შვილი, იმ შემთხვევაში, თუ არ დაკმაყოფილდება წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ძირითადი მოთხოვნა, ალტერნატიული მოთხოვნის სახით, შუამდგომლობს შეფარდებული სასჯელის შემსუბუქებას სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ალექსანდრე კვერნაძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის: საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ, საპროცესო ნორმების დაცვით მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულმა ა. კ-ძემ ნამდვილად ჩაიდინა თავისი შვილის - ი. კ-ძის განზრახ მკვლელობა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში, რასაც არც დაცვის მხარე ხდის სადავოდ.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქმედების ჩადენის ვითარების, სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მითითებული პასუხისმგებლობის მრავალი შემამსუბუქებელი გარემოებისა და თვით მსჯავრდებულის პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, ა. კ-ძე რესოციალიზაციისათვის არ საჭიროებს ისეთი სიმკაცრით დასჯას, რაც დადგენილია განაჩენით, რის გამოც მას უნდა შეუმცირდეს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი ისეთ გონივრულ ფარგლებში, რაც იქნება სამართლიანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ა. კ-ძის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. კ-ძის დამცველის, ადვოკატ რ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ ა. კ-ძეს სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 111-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით შეუმცირდეს 1 წლით და მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყოს 2008 წლის 23 სექტემბრიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მიზეზობრივი კავშირი

განჩინება

#110-აპ-09

27 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- ზ. მეიშვილი,
- დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. გ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 ნოემბრის განაჩენით მ. გ-შვილი, - ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით - 7 წლით, 143-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 2 წლით, 151-ე მუხლით - 6 თვით, ხოლო 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულს განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2008 წლის 26 ივლისიდან.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის ივლისში, მ. გ-შვილი თავის სრულწლოვან შვილს - ლ. გ-შვილს უმიზეზოდ - სახლში დაგვიანებით მისვლის გამო აუხირდა და თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში არსებულ ბოძზე თოკით მიაბა, იმავდროულად შეუკრა ხელებიც და არ მისცა თავისუფლად გადაადგილების საშუალება, გარდა ამისა, მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. თვით ლ. გ-შვილის და ოჯახის სხვა წევრების მცდელობის მიუხედავად, მ. გ-შვილმა არც თვითონ გაათავისუფლა და არც სხვებს მისცა საშუალება, გაეთავისუფლებინათ ლ. გ-შვილი, რის გამოც მას თავისუფლება აღკვეთილი ჰქონდა ოთხსაათნახევრის განმავლობაში. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მ. გ-შვილს ჩაეძინა, ლ. გ-შვილი გაათავისუფლა დედამისმა;

იმავე წლის 20 ივლისს, არაფხიზელი მ. გ-შვილი უმიზეზოდ აუხირდა მეუღლეს - ლ. გ-შვილს, რომლის ორსულობის შესახებ იცოდა, მაგრამ მაინც სცემა - რამდენჯერმე ფეხი ჩაარტყა სხეულის სხვადასხვა ადგილზე, მათ შორის, მუცელში, რასაც შედეგად მოჰყვა ორსულობის შეწყვეტა. ცემის შედეგად ლ. გ-შვილმა მიიღო სხვა დაზიანებებიც, რასაც ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა არ მოჰყოლია;

მანვე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და ხარაგაულის რაიონის სოფელ ც-ში მდებარე საკუთარ საცხოვრებელ სახლში შეინახა საბრძოლო მასალა - ქარხნული წესით დამზადებული "რგდ-5" ტიპის ხელყუმბარა საბრძოლო ფალით. 2008 წლის 25 ივლისს, სადამოს, მთვრალი მ. გ-შვილი მივიდა თავის სახლში, სადაც მას დახვდნენ: დედა - ი. გ-შვილი, მეუღლე - ლ. გ-შვილი და შვილები - ლ.ა და ი. გ-შვილები. მსჯავრდებული უმიზეზოდ აუხირდა მათ და მეუღლეს - ლ. გ-შვილს, დააბრალა რა ღალატი, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის შემდეგ შევიდა სახლში, გამოიტანა აღნიშნული ხელყუმბარა და ოჯახის წევრებს დაემუქრა აფეთქებით და სიცოცხლის მოსპობით, აგრეთვე, რესტორან „საკალმახეს" აფეთქებით. ამის გამო ლ. გ-შვილმა გამოიძახა პოლიციელები და მათ ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ხელყუმბარა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა და მოითხოვა გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 14 იანვრის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორები - მსჯავრდებული და მისი ადვოკატი საჩივარში აღნიშნავენ, რომ სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა იგნორირებით, არ მომხდარა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა; განაჩენი დადგენილია ვარაუდის, დაზარალებულის ცრუ ჩვენებებისა და იმ ნივთმტკიცების საფუძველზე, რომელიც მსჯავრდებულს არასდროს ჰქონია; ურთიერთსაწინააღმდეგოა დაზარალებულ ლ. გ-შვილის ჩვენებები; სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეზიარებინა დაცვის მხარის პოზიცია, რომ ორსულობის შეწყვეტა არ გამოუწვევია თითქოსდა ფიზიკურ ზემოქმედებას. მოწმის სახით დაკითხული მეან-გინეკოლოგი ვ. ა-ძე მიუთითებს, რომ ალბათობის მაღალი ხარისხით, ორსულობის შეწყვეტა შესაძლოა გამოეწვია წაქცევას, ნერვულ სტრესს ან რაიმე

სხვას. იგი ასევე მიუთითებს, რომ დაზარალებულის სხეულზე სისხლნაჟღენთი არ შეუნიშნავს; ბრალდების მხარის მთავარი მტკიცებულება - ექსპერტიზის დასკვნაც მეტყველებს, რომ მ. გ-შვილს არ ჩაუდენია მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება. ექსპერტი არაორაზროვნად მიუთითებს, რომ ორსულობის თვითნებურად შეწყვეტა შესაძლებელია ნერვული სტრესის შედეგად; დაუჯერებელია, რომ მ. გ-შვილმა, იცოდა რა პოლიციის გამოძახების შესახებ, ხელყუმბარა შეინახა საწოლში; დაზარალებულებმა მოგვიანებით შეიტყვეს, რომ ამოღებული ნივთი იყო ხელყუმბარა და შეუძლებელია მათ გასჩენოდათ მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უსაფუძვლოა კასატორის მითითება, თითქოს ლ. გ-შვილს სხეულზე დაზიანებები არ აღენიშნებოდა. მოწმეები - ა. ბ-ძე და ნ. ლ-ძე, ასევე - ექსპერტი მ. გ-ია მიუთითებენ, რომ დაზარალებულს სხეულზე აღენიშნებოდა სისხლნაჟღენთები.

ლ. გ-შვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ იყო ფეხმძიმედ, რაც მისმა მეუღლემაც იცოდა, მაგრამ ფეხებით სცემა და აწუხებდა ტკივილები. მეორე დღეს მივიდა სოფლის საბჭოში, შეხვდა უბნის ინსპექტორსაც და სახლში დაბრუნებისას გონება დაჰკარგა. იგი გადაიყვანეს საავადმყოფოში. მანვე მიუთითა, რომ მ. გ-შვილი ხშირად ღებულობდა ალკოჰოლურ სასმელს და ექვიანობდა. მან თავისი შვილი მეტალის ბოძზე თოკით მიაბა და დაახლოებით 4 საათის განმავლობაში ამ მდგომარეობაში ჰყავდა. დაზარალებულის განმარტებით, მთვრალმა მ. გ-შვილმა ოთახიდან გამოიტანა ხაკისფერი, მრგვალი ნივთი და ოჯახის წევრებს აფეთქებით ემუქრებოდა. ამის გამო გამოიძახეს პოლიცია.

ანალოგიური ჩვენებები მისცეს მსჯავრდებულის დედამ - ი. გ-შვილმა და შვილებმა - ლ. და ი. გ-შვილებმა.

უდავოა, რომ დაზარალებულებს გაუჩნდათ მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, რაზეც მათ მიერ პოლიციის გამოძახებაც მეტყველებს და ამასთან დაკავშირებით კასატორის მოტივი უსაფუძვლოა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი არ არსებობს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში სათანადოდ არ გარკვეულა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება, რის გარეშეც შეუძლებელია საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, კერძოდ:

ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილებით, სხვა საკითხებთან ერთად უნდა გარკვეულიყო, რამ გამოიწვია ნაყოფის დაკარგვა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ადგილი ჰქონდა ორსულობის შეწყვეტას, მაგრამ ამის მიზეზი დასკვნაში არ არის მითითებული. აქვე აღნიშნულია, რომ საბოლოო დასკვნის გაცემა სასურველია ჰისტოპათომორფოლოგიური დიაგნოზის მიღების შემდეგ.

აღნიშნული დასკვნის ერთ-ერთმა ავტორმა - მ. გ-იამ სასამართლოს განუმარტა, რომ ორსულობის შეწყვეტა შეიძლება განვითარდეს როგორც ფიზიკური ტრავმის, ასევე ნერვული სტრესის დროს. მანვე აღნიშნა, რომ ექიმს უნდა მიეთითებინა, სად ჰქონდა სისხლნაჟღენთები დაზარალებულს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს მიზეზობრივი კავშირის უტყუარად დადგენას მსჯავრდებულის ქმედებასა და დამდგარ შედეგს - ორსულობის შეწყვეტას შორის, რასაც საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას სათანადო ყურადღება არ მიექცა. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ დაზარალებულის ჩვენებით, მას ორსულობა შეუწყდა მეუღლესთან მომხდარი ინციდენტის მომდევნო დღეს.

საკასაციო პალატა აქვე განმარტავს, რომ ორსულობის შეწყვეტას, როგორც მართლსაწინააღმდეგო შედეგს, ითვალისწინებს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, თუ ორსულისათვის მიყენებული მძიმე დაზიანება სხვა შედეგში არ გამოიხატა. მოცემულ შემთხვევაში ექსპერტის ჩვენებით დადგენილია, რომ ლ. გ-შვილისათვის მიყენებული დაზიანებები მსუბუქი ხარისხისაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს მისი გამომტანი სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც ჯეროვნად უნდა გაარკვიოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. გ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ პ. კ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 იანვრის განაჩენი მ. გ-შვილის მიმართ, ხოლო საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

არაერთგზისი დანაშაული

განჩინება

#222-აპ-09

29 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- პ. სილაგაძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქუთაისის რაიონული პროკურორის მოადგილის - გ. გ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 იანვრის განაჩენზე მსჯავრდებულ გ. მ-ძის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 ივლისის განაჩენით გ. მ-ძე - ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტებით თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, აგრეთვე - ჯარიმა - 3500 ლარი; საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტებით - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე გ. მ-ძეს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის ზომად ჯარიმა - 3500 ლარი.

განაჩენის მიხედვით, გ. მ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის ნოემბერში, ზუსტი თარიღი დაუდგენელია, გ. მ-ძემ გადაწყვიტა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებოდა სხვის ქონებას. დანაშაულებრივი განზრახვის განსახორციელებლად წინასწარ შეარჩია ქ. ტყიბულში მცხოვრები მ. რ-ძე, რომელსაც ცოლის შერთვის მიზნით სთხოვა ოქროს სამკაულები და მოიპოვა რა მისი ნდობა, მოტყუებით გამოართვა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თაღლითურად დაეუფლა მის კუთვნილ, 550 აშშ დოლარად ღირებულ ოქროს სამკაულებს, რითაც ამდენივე ოდენობის ზიანი მიაყენა დაზარალებულს.

გ. მ-ძემ, არაერთგზის, ჩადენილი ჰქონდა რა სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება ფარულად და მოტყუებით, კვლავ განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდა სხვის ნივთს. 2006 წლის ნოემბერში, ზუსტი თარიღი დაუდგენელია, იგი იმყოფებოდა ქ. თბილისში, ... გამოიზრზე არსებულ ნაქირავებ ბინაში მ. შ-ძესთან ერთად. მან განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა მ. შ-ძის კუთვნილ, 300 აშშ დოლარად ღირებულ ბრილიანტისთვლიან ოქროს ბეჭედს. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გ. მ-ძემ გახსნა მ. შ-ძის კუთვნილი ხელჩანთა, საიდანაც ფარულად დაეუფლა დასახელებულ ოქროს ბეჭედს, რითაც დაზარალებულს მიაყენა 300 აშშ დოლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. მომხდარი ფაქტის შესახებ მოგვიანებით ცნობილი გახდა მ. შ-ძისათვის და მისი კატეგორიული

მოთხოვნის საფუძველზე გ. მ-მემ დანაშაულებრივი გზით დაუფლებული ნივთი დაუბრუნა მის კანონიერ მფლობელს.

მანვე, არაერთგზის, ჩადენილი ჰქონდა რა წინათ სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება ფარულად და მოტყუებით, კვლავ განიზრახა სხვისი ნივთის დაუფლება. 2006 წლის ნოემბრის ბოლოს იგი იმყოფებოდა ქ. თბილისში, ... გამხიზრებულ ნაქირავებ ბინაში მ. შ-მესთან ერთად. გ. მ-მემ მ. შ-მეს მოტყუებით გამოართვა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თაღლითურად დაეუფლა მის კუთვნილ, 300 აშშ დოლარად ღირებულ ბრილიანტისთვლიან ოქროს ბეჭედს და 1,9 გრამ ოქროს ძეწვეს, ღირებულს 40 ლარად, რითაც დაზარალებულს სულ მიაყენა 300 აშშ დოლარისა და 40 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

მანვე, არაერთგზის, ჩადენილი ჰქონდა რა წინათ სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება ფარულად და მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, 2007 წლის 14 თებერვალს ისარგებლა ნაცნობის, ი. ბ-მის ნდობით და თაღლითურად დაეუფლა მის კუთვნილ, 40 ლარად ღირებულ "სიმენსი-A64" მოდელის მობილური ტელეფონის აპარატს, რითაც დაზარალებულს მიაყენა 40 ლარის მატერიალური ზიანი. აღნიშნული დანაშაულების ჩადენის შემდეგ იგი მიიმალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. მ-მემ, რომელიც სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 ივლისის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ ბრალდება ემყარება ცრუ ჩვენებებს, გამოძიებას არ გააჩნია საკმარისი მტკიცებულებები, რითაც დაადასტურებდა მის მიერ დანაშაულის ჩადენას.

სააპელაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა გ. მ-მემ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა ი. შ-მამ შეცვალეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, მსჯავრდებულმა გ. მ-მემ ბრალდების ყველა ეპიზოდში თავი ცნო დამნაშავედ და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 იანვრის განაჩენით მსჯავრდებულ გ. მ-მისა და მისი დამცველის დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 ივლისის განაჩენში როგორც კვალიფიკაციის, ასევე სასჯელის ნაწილში, შევიდა ცვლილება, კერძოდ, გ. მ-მეს გასაჩივრებული განაჩენიდან ამოერიცხა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" და იმავე კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტების საფუძველზე შერაცხული ბრალდება როგორც ზედმეტად წარდგენილი. ამასთან, გ. მ-მისათვის სასჯელის ზომის განსაზღვრისას სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა დანაშაულის ჩადენის დროისათვის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლითა და 177-ე მუხლის შენიშვნით, ვინაიდან დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი გარემოება - არაერთგზისობა - მოიცავდა წინა დანაშაულებებსაც, მათ შორის - ქურდობასაც და გ. მ-მეს ქურდობის ჩადენის ერთი და თაღლითობის ჩადენის სამი ეპიზოდისათვის განუსაზღვრა ერთი სასჯელი - უფრო მკაცრი, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის სანქციის ფარგლებში, რის შედეგადაც გ. მ-მეს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" და იმავე კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის "გ" ქვეპუნქტების საფუძველზე განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა - 3500 ლარი. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე ქუთაისის რაიონული პროკურორის მოადგილემ - გ. გ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 იანვრის განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად. კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი. აღნიშნული კი გამოიხატა იმაში, რომ ერთმანეთისგან ხარისხობრივად განსხვავებული, სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ქმედებები (ქურდობა და თაღლითობა) შეაფასა ერთი მუხლით, რითაც წინააღმდეგობაში მოვიდა როგორც სააპელაციო სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ განაჩენებთან, ისე - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის მიერ ანალოგიურ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები გაგა მესხორამის მსჯავრდების თაობაზე და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ, მართალია, იხელმძღვანელა დანაშაულის ჩადენის დროისათვის მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლითა და 177-ე მუხლის შენიშვნით, ასევე გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გ. მ-მეს წარდგენილი ჰქონდა საქართველოს სსკ-

ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება არაერთგზის თაღლითობის ჩადენის თაობაზე, მაგრამ არასწორად ჩათვალა, რომ დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი გარემოება - არაერთგზისობა - მოიცავდა წინა დანაშაულებებსაც, მათ შორის - ქურდობასაც, რის გამოც გ. მ-მეს ქურდობის ჩადენის ერთი და თაღლითობის ჩადენის სამი ეპიზოდისათვის უნდა განსაზღვროდა ერთი - ყველაზე უფრო მკაცრი სასჯელი, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის სანქციის ფარგლებში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის ადრე მოქმედი რედაქციის შესაბამისად, არაერთგზისი დანაშაული ნიშნავდა ერთი (და არა სხვადასხვა) მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას, ხოლო სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზისად, თუ ამის შესახებ მითითებულია შესაბამის მუხლში, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც არაერთგზისობით ქმედების კვალიფიკაცია ვერ მოიცავს წინათ ჩადენილ სსკ-ის სხვა მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას.

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 177-ე-186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზისად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ მუხლებითა და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა. ეს მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ სსკ-ის 177-186-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა უნდა დაკვალიფიცირდეს არაერთგზისობითაც, თუ მას წინ უსწრებდა ზემოაღნიშნული, სხვა რომელიმე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. ამდენად, თვისებრივად განსხვავებული და სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ქმედებები - თაღლითობა და ქურდობა - არ შეიძლება ერთმანეთს მოიცავდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს სისხლის სამართლის კანონის არასწორ გამოყენებასთან, რაც, საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტისა და იმავე კოდექსის 564-ე მუხლის თანახმად, განაჩენის გაუქმების საფუძველია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენით გ. მ-მე ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" და იმავე კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტებით, შესაბამისად, მას სასჯელი უნდა დაენიშნოს 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტისა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

საკასაციო პალატის დასკვნით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 იანვრის განაჩენი გ. მ-მის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს განჩინებაში მითითებული დარღვევები და როგორც მატერიალური სისხლის სამართლის, ისე საპროცესო ნორმების სწორი გამოყენებით მოცემულ საქმეზე მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

პროკურორ გ. გ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 იანვრის განაჩენი გ. მ-მის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი სასამართლო განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

არაერთგზისი დანაშაული

განჩინება

#365აპ-09

4 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. გ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 11 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 9 დეკემბრის განაჩენით დ. გ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ე" ქვეპუნქტებით და მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ განესაზღვრა 13 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 17 აპრილიდან. მასვე 5 წლით ჩამოერთვა "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში მითითებული უფლებები.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. გ-ძემ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვა, იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, რაც კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 10 იანვარს დ. გ-ძე გაასამართლა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ და სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიუსაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც მსჯავრდებულს ჩაეთვალი პირობით 4 წლის გამოსაცდელი ვადით. მიუხედავად ამისა, არ იგი დაადგა გამოსწორების გზას და დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა და შეინახა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. 2008 წლის 17 აპრილს, ქ. ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩაზე დ. გ-ძის პირადი ჩხრეკის შედეგად პოლიციელებმა ამოიღეს დაფასოებული მოყვითალო ნივთიერება, რომელიც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით წარმოადგენს კუსტარული წესით დამზადებულ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინის“ ნარევს, საერთო წონით 1,92 გრამი, მასში არსებული 0,96 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველობით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა მ. თ-ძემ. მათ მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 მარტის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული დ. გ-ძე საჩივარში აღნიშნავს, რომ ამოღებული ნარკოტიკი მას არ ეკუთვნოდა; მოთხოვნის მიუხედავად, არ ჩატარდა ექსპერტიზა შეფუთული ნარკოტიკის გარეკანზე თითის ანაბეჭდების არსებობის საკითხის გასარკვევად; უსაფუძვლოდ არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა დაცვის მხარის მოწმისა და კითხვისა და ბრალდების მხარის მოწმეთა ხელახლა დაკითხვის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს მისი ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივს მისი უდანაშაულობის შესახებ, რადგან ამ უკანასკნელის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა უტყუარად დასტურდება საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებებით, პირადი ჩხრეკის ოქმით და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით. საგულისხმოა, რომ დაკავების შემდეგ შემოწმებისას დ. გ-ძეს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ დაცვის მხარეს სასამართლოში არ მოუთხოვია მოწმეთა დაკითხვა და ამასთან დაკავშირებით კასატორის მითითება უსაფუძვლოა.

პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები გამოკვეთილი და შეფასებულია სრულად და ობიექტურად. ამასთან, არასწორადაა გამოყენებული მატერიალური კანონი, კერძოდ:

დ. გ-ძის ქმედება სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტით დაკვალიფიცირდა იმის გამო, რომ იგი ადრე ნასამართლევ იყო ამავე მუხლით. საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია, რომ წინათ ნასამართლევ პირის მიერ იმავე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა წარმოადგენს არაერთგზის დანაშაულს. სსკ-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტი გულისხმობს კოდექსის ამავე თავში მითითებული სხვა, ნებისმიერი დანაშაულის ჩადენას, გარდა 260-ე მუხლით გათვალისწინებულისა. ამდენად, დ. გ-ძის ქმედება სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტზე.

გარდა ამისა, დ. გ-ძეს დანიშნული სასჯელის ვადაში მოხდილად უნდა ჩათვალოს წინა განაჩენით დადგენილი დანაშაულისათვის პატიმრობაში ყოფნის დრო - 2005 წლის 17 თებერვლიდან იმავე წლის 20 თებერვლამდე, რაზეც სათანადო ყურადღება არ გამახვილდა.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერია, ხოლო სასჯელი - სამართლიანი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. გ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის განაჩენი შეიცვალოს: დ. გ-ძის ქმედება სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტზე;

დ. გ-ძის ქმედება საბოლოოდ დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტებით;

დ. გ-ძეს სასჯელის ვადაში მოხდილად ჩათვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო - 2005 წლის 17 თებერვლიდან 2005 წლის 20 თებერვლამდე - 3 დღე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის - მსჯავრდებულისათვის სასჯელის დანიშვნის ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობის დროს

განჩინება

#654-აპ-09

12 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- ლ. მურუსიძე,
- მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ზ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 აპრილის განაჩენით გ. ზ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 5 წელი და განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დადგენილი გარემოებების შესაბამისად, 2008 წლის 19 თებერვალს მცხეთის რაიონულმა სასამართლომ გ. ზ-ე დამნაშავედ ცნო სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაუთვალა პირობით, ამავე ვადით.

2008 წლის 20 ნოემბერს გ. ზ-ე იმყოფებოდა დღეში მცხოვრები თავისი მეგობრის - მ. ა-ს სახლში, სადაც ასევე იმყოფებოდნენ ა. დ-ი, გ. ა-ი და გ. ხ-ი. ამ უკანასკნელსა და გ. ზ-ს შორის სუფრასთან დაწყებული კამათი ჩხუბში გადაიზარდა. იქ მყოფნი ცდილობდნენ მოჩხუბართა გაშვებებს. მ. ა-ა და სხვებმა გ. ზ-ე მოშორებით გაიყვანეს, ხოლო გ. ხ-ი სუფრასთან მარტო დარჩა. გ. ზ-ს დაწყნარება ვერ მოხერხდა და იგი კვლავ გამოხატავდა აგრესიას. გ. ხ-ი გავიდა ეზოში, მივიდა გ. ზ-ს და სიმშვიდისკენ მოუწოდა. ამ უკანასკნელმა ჯიბიდან ამოიღო დანა, გ. ხ-ს მიმართულებით რამდენჯერმე მოიქნია და სხეულის სხვადასხვა ადგილზე მიაყენა დაზიანებები, მათ შორის - გულმკერდის მარცხენა ნახევარში და ამის გამო დაზარალებულმა დაკარგა გონება. იგი გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შედეგად შეუნარჩუნდა სიცოცხლე.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა დამცველმა. მათ მოითხოვეს სასჯელის შემცირება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 ივნისის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული გ. ზ-ე ითხოვს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებასა და სასჯელის შემცირებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეშია საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული არაერთი უტყუარი მტკიცებულება, რომლებიც ობიექტურად შეფასდა და გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია. გარდა მსჯავრდებულის ჩვენებისა, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ობიექტურობაზე მეტყველებს არაერთი პირის, მათ შორის - დაზარალებულის ჩვენება და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით გ. ხ-ს ჭრილობები აღენიშნებოდა მარჯვენა ხელის მტევნის და მარცხენა ლოყის მიდამოში, ასევე - გულმკერდის მარცხენა ნახევარში, ილიის შუა ხაზზე. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

ამასთან საქმეშია ოქმი, რომლის მიხედვით წინა დანაშაულისათვის გ. ზ-ე დააკავეს 2008 წლის 19 თებერვალს. იმავე დღეს მის მიმართ გამოტანილია განაჩენი და მსჯავრდებული გათავისუფლდა პატიმრობიდან.

საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა, რომ სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს უნდა დამატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, ამ შემთხვევაში - 4 წელი, 11 თვე და 29 დღე. გარდა ამისა, სსკ-ის 124-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, დაზარალებულის კუთვნილი ყველა ნივთი და დოკუმენტი უბრუნდება მესაკუთრეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს ნივთმტკიცებათა განკარგვის ნაწილშიც.

რაც შეეხება სასჯელს, იგი დადგენილია გ. ზ-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით და არ არსებობს მისი შემსუბუქების როგორც სამართლებრივი, ასევე - ფაქტობრივი საფუძველი.

ამდენად, გარდა ზემოაღნიშნულისა, სხვა ნაწილში სააპელაციო პალატის განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. ზ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 4 ივნისის განაჩენი შეიცვალოს: გ. ზ-ს სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლით დანიშნულ სასჯელს - 8 წლით თავისუფლების აღკვეთას მთლიანად მიემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი

ნაწილი - 4 წელი, 11 თვე, 29 დღე და გ. ზ-ს საბოლოოდ განესაზღვროს 12 წლით, 11 თვით და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა;

ნივთმტკიცებები - დაზარალებულ გ. ხ-ს კუთვნილი ლურჯი ჯინსის შარვალი და სპორტული წითელი მოსასხამი - დაუბრუნდეს მესაკუთრეს, ხოლო გ. ზ-ს თეთრი ჯემპერი და ყავისფერი ნაჭრის ქურთუკი - მსჯავრდებულის ოჯახის რომელიმე წევრს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განგრძობადი დანაშაული

განჩინება

#548-აპ-09

11 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ი. ტყემელაშვილი**

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ კ. ქ-არისა და მისი დამცველის, ადვოკატ მ. ფ-აიას, აგრეთვე, მსჯავრდებულ ზ. ს-ძისა და მისი დამცველის, ადვოკატ ნ. დ-იას საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 იანვრის განაჩენით კ. ქ-არი ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ორი ეპიზოდისათვის: თითოეულ ეპიზოდში - თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 9 თვის ვადით, მას ასევე დაენიშნა დამატებითი სასჯელი - ჯარიმა თითოეულ ეპიზოდში 4000 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილთან - 3 წლით თავისუფლების აღკვეთასთან ერთად, რის გამოც კ. ქ-არს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 14 წლისა და 6 თვის ვადით, აგრეთვე დამატებით სასჯელად შეეფარდა ჯარიმა - 8000 ლარის ოდენობით;

ზ. ს-ძე, ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ორი ეპიზოდისათვის: თითოეულ ეპიზოდში - თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ ზ. ს-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით;

ზ. გ-ძე, ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ორი ეპიზოდისათვის: ერთ ეპიზოდში - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, მეორე ეპიზოდში კი - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, მას ასევე დაენიშნა დამატებითი სასჯელი - ჯარიმა, თითოეულ ეპიზოდში 1000 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ ზ. გ-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, აგრეთვე ჯარიმა - 2000 ლარი.

განაჩენით კ. ქ-არსა და ზ. ს-ძეს მსჯავრი დაედოთ ქურდობისათვის, ჩადენილი ორ ეპიზოდად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ხოლო ზ. გ-ძეს იმავე განაჩენით მსჯავრი დაედო წინასწარი შეცნობით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენისათვის, ჩადენილი ორ ეპიზოდად, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის ივნისის ბოლოს, ზუსტი თარიღი დაუდგენელია, ღამით, ზ. ს-ძემ და პირობით მსჯავრდებულმა კ. ქ-არმა, დაუდგენელ პირთან ერთად, ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედის კულტურის სახლის შენობის სახურავიდან ფარულად მოხსნეს და მართლსაწინააღმდეგოდ მი-

ისაკუთრეს 50 ცალი თუნუქის ე.წ. "გოფირებული" ფირფიტა, საიდანაც 5 ცალი 2008 წლის 29 ივნისს ჩააბარეს სოფელ შემოქმედში მდებარე ჯართის მიმდებ პუნქტში, ხოლო დარჩენილი ფირფიტები, წინასწარი შეთანხმებისამებრ, 2008 წლის 6 ივლისიდან 8 ივლისამდე პერიოდში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, სახლში მიუტანეს და მიჰყიდეს სოფელ ... მცხოვრებ ზ. გ-ძეს. ამ უკანასკნელმა, სურდა რა თავისი საცხოვრებელი სახლის გადასახურად იაფად შეეძინა თუნუქის ფირფიტები, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო კ. ქ-არის მიერ ამ ფირფიტების დანაშაულებრივი გზით მოპოვების შესახებ, გადაუხადა მას (კ. ქ-არს) შეპირებული თანხა - 500 ლარი და შეიძინა ისინი. აღნიშნული ქმედებით დაზარალებულს - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას მიადგა 400 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

მათვე (ზ. ს-ძემ და კ. ქ-არმა) 2008 წლის 10 ივლისს, ღამით, დაახლოებით 23 საათიდან 4 საათამდე დროის შუალედში, დაუდგენელ პირებთან ერთად, ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში მდებარე კულტურის სახლის შენობის სახურავიდან ფარულად მოხსნეს და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს 58 ცალი თუნუქის ე.წ. "გოფირებული" ფირფიტა, რომლის ნაწილიც, წინასწარი შეთანხმებისამებრ, იმავე ღამეს სახლში მიუტანეს ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში მცხოვრებ ზ. გ-ძეს. ამ უკანასკნელმა, სურდა რა თავისი საცხოვრებელი სახლის გადასახურად იაფად შეეძინა თუნუქის ფირფიტები, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო კ. ქ-არის მიერ ამ ფირფიტების დანაშაულებრივი გზით მოპოვების შესახებ, მეორე დღესვე (2008 წლის 11 ივლისს) გადაუხადა მათ შეპირებული თანხა - 300 ლარი. აღნიშნული ქმედებით დაზარალებულს - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას მიადგა 464 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა - კ. ქ-არმა, ზ. ს-ძემ და მათმა დამცველმა ადვოკატებმა - მ. ფ-აიამ და ნ. დ-იამ, აგრეთვე - მსჯავრდებულმა ზ. გ-ძემ.

აპელანტი, ზ. ს-ძე და მისი დამცველი, ადვოკატი ნ. დ-ია თავიანთი დაზუსტებული სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ გასაჩივრებული განაჩენით დანიშნული სასჯელის - თავისუფლების აღკვეთის - ზომის შემცირებას შესაბამისი მუხლის სანქციით გათვალისწინებულ ფარგლებში.

აპელანტი, კ. ქ-არი და მისი დამცველი, ადვოკატი მ. ფ-აია თავიანთი სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ მსჯავრდებულის ქმედების დაკვალიფიცირებას, ნაცვლად ქურდობისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილით, ვინაიდან თვლიდნენ, რომ კ. ქ-არმა ჩაიდინა წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა, ამასთან, ეს დანაშაული მან ჩაიდინა მხოლოდ ერთხელ.

მსჯავრდებული ზ. გ-ძე თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა მისი მსჯავრდების ნაწილში გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მისთვის შერაცხულ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნობასა და გამართლებას.

სააპელაციო საჩივრები განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2009 წლის 6 მაისს განაჩენით, არ დააკმაყოფილა რა დაცვის მხარის საჩივრები, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს განაჩენში შეიტანა შემდეგი ცვლილებები: კ. ქ-არისა და ზ. ს-ძის მსჯავრდებიდან ამორიცხა მითითება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე, როგორც მსჯავრდების ზედმეტად შერაცხულ ნაწილზე, ვინაიდან იგი მოცული იყო იმავე მუხლის უფრო მძიმე ნაწილით, რომლითაც მსჯავრდებულ იქნენ ისინი. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ იმავე განაჩენით მსჯავრდებულ ზ. გ-ძეს მისთვის შერაცხული დანაშაულის ერთ ეპიზოდში დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით - შეუმცირა 6 თვით და საბოლოოდ მას ძირითად სასჯელად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ნაცვლად 1 წლისა და 6 თვისა. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულების მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა კ. ქ-არმა და მისმა დამცველმა, ადვოკატმა მ. ფ-აიამ, აგრეთვე, მსჯავრდებულმა ზ. ს-ძემ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა ნ. დ-იამ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები - კ. ქ-არი და მ. ფ-აია თავიანთი საჩივრით ითხოვენ მსჯავრდებულ კ. ქ-არის ქმედების საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან იმავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველ ნაწილზე გადაკვალიფიცირებას და მის მსჯავრდებას ამ დანაშაულის ერთი ეპიზოდისათვის შემდეგი მოტივებიდან გამომდინარე:

სააპელაციო სასამართლომ არასწორი კვალიფიკაცია მისცა კ. ქ-არის მიერ ჩადენილ ქმედებას, რადგან ცალმხრივად და არაობიექტურად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რამაც გამოიწვია ზედმეტად მკაცრი სასჯელის დანიშვნა; განაჩენი არის დაუსაბუთებელი და არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობიდან; სასამართლომ თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო მხოლოდ დაუდასტურებელი ეჭვი და ვარაუდი; სასამართლომ განაჩენის დადგენისას მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ მსჯავრდებული ზ. ს-ძე კატეგორი-

ულად უარყოფს კ. ქ-არის მონაწილეობას ქურდობის ჩადენაში; ფაქტობრივად დაუდგენელია, ობიექტიდან თუნუქის რამდენი ფირფიტა არის მოპარული; მსჯავრდებულებს შორის მიმდინარე სატელეფონო საუბრების ფარული ჩანაწერებით კი მათი ბრალეულობა არ დგინდება.

კასატორები - მსჯავრდებული ზ. ს-ძე და მისი დამცველი, ადვოკატი ნ. დ-ია თავიანთი საჩივრით ითხოვენ ზ. ს-ძის მიმართ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის შემცირებას და მისთვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ზომის დანიშვნას შემდეგი მოტივებით:

სააპელაციო სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას არაჯეროვნად შეაფასა მსჯავრდებულ ზ. ს-ძის პიროვნება და არ გაითვალისწინა ის შემამსუბუქებელი გარემოებები, რომლებიც, კანონის თანახმად, უნდა ყოფილიყო სასჯელის შემსუბუქების საფუძველი, კერძოდ, ზ. ს-ძე პირველად არის სამართალში, მან აღიარა და გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული; ზ. ს-ძეს ჰყავს ოთხი არასრულწლოვანი შვილი, აგრეთვე, მეორე ჯგუფის ინვალიდი და, რომელიც საჭიროებს მუდმივ მკურნალობასა და მეთვალყურეობას და რომელსაც ზ. ს-ძის გარდა სხვა არავინ ჰყავს მზრუნველი; ამასთან, ერთ-ერთი შვილიც ავადმყოფი და მისახედა; გარდა ამისა, თვით ზ. ს-ძე ხასიათდება დადებითად, აქვს შეუბღალავი წარსული; გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოპარული თუნუქის ფირფიტები დაუბრუნდა დაზარალებულ ორგანიზაციას და ფაქტობრივად მას ზ. ს-ძის ქმედებით ზარალი არ მიუღია.

საკასაციო პალატის სხდომაზე განხილვისას კასატორებმა - კ. ქ-არის დამცველმა, ადვოკატმა მ. ფ-აიამ, მსჯავრდებულმა ზ. ს-ძემ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა ნ. დ-იამ მხარი დაუჭირეს თავიანთი საკასაციო საჩივრების მოთხოვნას. აღნიშნულ საჩივრებში მითითებული მოტივების საფუძველზე ადვოკატმა მ. ფ-აიამ იშუამდგომლა პალატის წინაშე იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ კ. ქ-არის სასიკეთოდ, კერძოდ, მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან (ორი ეპიზოდი) გადაკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველ ნაწილზე და სასჯელი დაენიშნოს შესაბამისი სანქციის ფარგლებში.

მსჯავრდებულმა ზ. ს-ძემ და ადვოკატმა ნ. დ-იამ იშუამდგომლეს პალატის წინაშე იმის თაობაზე, რომ განაჩენი შეიცვალოს სასჯელის ნაწილში და, მათ მიერ მითითებული შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, ზ. ს-ძეს ჩადენილი ქმედებისათვის განესაზღვროს კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ზომა.

პროცესში მონაწილე პროკურორმა ა. ს-შვილმა მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივრების მოთხოვნებს, ვინაიდან ისინი მიიჩნია უსაფუძვლოდ. მან აღნიშნა, რომ ზ. ს-ძე რეალურად არ აღიარებს დანაშაულს, რადგან ბრალდების მიხედვით, მან ქურდობა ჩაიდინა კ. ქ-ართან ერთად, რაც დადასტურებულია საქმის მასალებით. მიუხედავად ამისა, ზ. ს-ძე კატეგორიულად უარყოფს კ. ქ-არის მონაწილეობას ქურდობაში. სასამართლომ გაითვალისწინა მისი მძიმე ოჯახური მდგომარეობა და ისე განუსაზღვრა შედარებით მსუბუქი სასჯელი კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორ ა. ს-შვილის აზრით, არ არსებობს მსჯავრდებულ ზ. ს-ძის მიმართ სასჯელის შემსუბუქების კანონიერი საფუძველი. რაც შეეხება მსჯავრდებულ კ. ქ-არს, დაცვის მხარის პოზიცია იმის თაობაზე, რომ მას არ ჩაუდენია ქურდობა, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, რადგან ზ. ს-ძესთან ერთად ქურდობაში მისი მონაწილეობა დადასტურებულია საქმეში არსებული მასალებით. ამასთან, დაცვის მხარე ვერ უთითებს, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება გასაჩივრებული განაჩენის დაუსაბუთებლობა, ანდა სასამართლოს მიერ მტკიცებულებების ცალმხრივად შეფასება. არასწორია დაცვის მხარის მითითება იმის თაობაზე, რომ ჩადენილია დანაშაულებრივი ქმედების ერთი და არა - ორი ეპიზოდი, რადგან თვით მსჯავრდებულების ჩვენებებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ დანაშაული მათ ორჯერ ჩაიდინეს. საქმეში არსებული ის მტკიცებულებები, რომლებსაც დაეყრდნო სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას, მათ შორის - სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, მოპოვებულია კანონიერი გზით და ამ მხრივ განაჩენი არის დასაბუთებული, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განაჩენის მსჯავრდებულ კ. ქ-არის სასარგებლოდ შეცვლის საფუძველი.

საბოლოოდ პროკურორმა ა. ს-შვილმა, მის მიერ წარმოდგენილი მოტივებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის წინაშე იშუამდგომლა იმის თაობაზე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მაისის განაჩენი მსჯავრდებულების - ზ. ს-ძისა და კ. ქ-არის მიმართ დარჩეს უცვლელად, ხოლო კასატორებს უარი ეთქვათ თავიანთი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრების მოტივების საფუძველიანობა და მოუსმინა მხარეებს, მიიჩ-

ნია, რომ მსჯავრდებულ კ. ქ-არისა და მისი დამცველის, ადვოკატ მ. ფ-აიას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, მსჯავრდებულ ზ. ს-ძისა და მისი დამცველის, ადვოკატ ნ. დ-იას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ მოიპოვება საფუძველი მსჯავრდებულ კ. ქ-არისა და მისი ადვოკატის დაცვითი პოზიციის გასაზიარებლად. ისინი თავიანთ საჩივარში მიუთითებენ, რომ კ. ქ-არს ქურდობა არ ჩაუდენია, მან მხოლოდ დანაშაულებრივი გზით (ქურდობით) მოპოვებული თუნუქის ფურცლები შეიძინა, რომლებიც შემდეგ მიჰყიდა ზ. გ-ძეს, ამასთან, ასეთი ქმედება კ. ქ-არმა ჩაიდინა მხოლოდ ერთხელ. დაცვის ამგვარი პოზიციის საწინააღმდეგოდ სისხლის სამართლის საქმეში მოიპოვება საკმარისი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ კ. ქ-არმა ნამდვილად ჩაიდინა ქურდობა ზ. ს-ძესთან ერთად. აღნიშნულზე მიუთითებს საქმეში არსებული სატელეფონო საუბრების ფარული ჩანაწერების კრებითი მასალა, რომელიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით და რომლებიც ააშკარავენ კ. ქ-არის, ზ. ს-ძისა და ზ. გ-ძის მონაწილეობას განაჩენით მათთვის შერაცხულ დანაშაულთა ჩადენაში. კ. ქ-არის ბრალეულობას ნაწილობრივ ადასტურებს აგრეთვე მსჯავრდებულ ზ. გ-ძის ჩვენებები და საქმეში არსებული სხვა მასალები. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები კ. ქ-არის მიერ არა ქურდობის, არამედ - სხვა, უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენის ვერსიის დასამტკიცებლად, მოკლებულია რეალურ მტკიცებით საფუძველს და არ გამოდინარეობს წინასწარი და სასამართლო გამოძიებით სარწმუნოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას შეუძლებლად მიაჩნია მსჯავრდებულ კ. ქ-არისა და მისი დამცველის მიერ შემოტანილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

რაც შეეხება მსჯავრდებულ ზ. ს-ძის ბრალეულობას იმ ქმედების ჩადენაში, რომელიც მას განაჩენით ბრალად შეერაცხა, იგი დადასტურებულია მისი აღიარებითი ჩვენებებით, ნაწილობრივ მსჯავრდებულების - კ. ქ-არისა და ზ. გ-ძის ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმებით, ამოღებული ნივთმტკიცებულებითა და სხვა მტკიცებულებებით. მსჯავრდებულ ზ. ს-ძისა და მისი ადვოკატის - ნ. დ-იას საკასაციო საჩივრის მოთხოვნა მისთვის განაჩენით დანიშნული სასჯელის შემსუბუქებისა და კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმის დანიშვნის თაობაზე შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ ნაწილობრივ, ვინაიდან სასამართლომ ზ. ს-ძის მიმართ სასჯელების განსაზღვრისას მაქსიმალურად გაითვალისწინა მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, ამასთან, მან დანაშაული ჩაიდინა სხვა პირებთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, რომლებსაც ის არ ამხელს დანაშაულში; მისი აღიარებითი ჩვენებები არ არის ბოლომდე გულწრფელი, რის გამოც არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი მისთვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმის შეფარდებისათვის.

ამვე დროს საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე განაჩენის დადგენისას არ დაიცვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილითა და იმავე კოდექსის 496-ე მუხლის მე-2-3 ნაწილებით დადგენილი მოთხოვნები, რის გამოც არასწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა მსჯავრდებულების - კ. ქ-არისა და ზ. ს-ძის მიერ ჩადენილ ქმედებებს, რომლებიც დადგინდა სასამართლო გამოძიებით. საკასაციო პალატას მხედველობაში აქვს შემდეგი გარემოება: მართალია, კ. ქ-არმა და ზ. ს-ძემ სხვადასხვა დროს ორჯერ მოხსნეს ობიექტის სახურავიდან თუნუქის გოფირებული ფირფიტები და ასევე ეს ფირფიტები მათ ორჯერ მიჰყიდა ზ. გ-ძეს, მაგრამ საქმეში არსებული მასალებით უდავოდაა დადგენილი ისიც, რომ ორივე ეპიზოდი მოცული იყო მათ მიერ ერთხელ მიღებული გადაწყვეტილებით, ესე იგი თავიდანვე არსებობდა ერთიანი განზრახვა ობიექტის ნაწილ-ნაწილ ხელყოფის თაობაზე, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში ჩადენილია არა ორი დანაშაული ანუ ქურდობის ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ეპიზოდი, არამედ სახეზეა ერთი განგრძობადი დანაშაული ორ ეპიზოდად. ამიტომ იგი უნდა შეფასებულიყო როგორც ერთი დანაშაული - ქურდობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. განხილული გარემოებების გათვალისწინებით, მსჯავრდებულების - კ. ქ-არისა და ზ. ს-ძის მიერ ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ერთ დანაშაულად და მათ სასჯელებიც ასეთი კვალიფიკაციის საფუძველზე უნდა განესაზღვროთ. შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება მათი ქურდობის ორ ეპიზოდში დამნაშავედ ცნობის, თითოეული ეპიზოდისათვის სასჯელების ცალ-ცალკე დანიშვნისა და ამ სასჯელების შეკრების თაობაზე.

საკასაციო პალატამ გასაჩივრებული განაჩენი სარევიზიო წესით შეამოწმა სრული მოცულობით, მათ შორის - ზ. გ-ძის მსჯავრდების ნაწილშიც, რომელსაც განაჩენი არ გაუსაჩივრებია. მის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება - წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებუ-

ლი ნივთის შექმნა - სარწმუნოდ არის დადასტურებული უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობით, რომელიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით. ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ ზ. გ-ძის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციისას დაუშვა იგივე უზუსტობა, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, კერძოდ: სასამართლო გამოძიებით უტყუარად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ზ. გ-ძის მიერ დანაშაული ორჯერ კი არ არის ჩადენილი, არამედ მას ჩადენილი აქვს ერთი განგრძობადი დანაშაული. მართალია, მან ორჯერ შეისყიდა კ. ქ-არისაგან ამ უკანასკნელისა და ზ. ს-ძის მიერ ქურდობით მოპოვებული თუნუქის ფირფიტები, მაგრამ მისი მხრივ ორივე ეპიზოდი მოცული იყო ერთიანი განზრახვით, რაც იმით დასტურდება, რომ ზ. გ-ძე თავიდანვე შეუთანხმდა კ. ქ-არს მისგან 80 ცალი თუნუქის ფირფიტის შექმნის თაობაზე, რაც განხორციელდა ორ ეპიზოდად, ნაწილ-ნაწილ. აღნიშნულის გათვალისწინებით - ზ. გ-ძის მიერ ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილით, როგორც ერთი დანაშაული, ხოლო გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება ორი დანაშაულისათვის მისი მსჯავრდების, დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის სასჯელის ცალ-ცალკე დანიშვნისა და ამ სასჯელების შეკრების თაობაზე. გარდა ამისა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, ამ ქმედების შედეგების, აგრეთვე მისი პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ზ. გ-ძეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის ძირითადი სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა - 15 000 ლარი. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ ზ. გ-ძე 2009 წლის 8 იანვრიდან იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, საკასაციო პალატას შესაძლებლად მიაჩნია, საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, იგი მთლიანად გათავისუფლდეს დაკისრებული ჯარიმის მოხდისაგან, რის შედეგადაც ზ. გ-ძე უნდა ჩაითვალოს სასჯელმოხდილად და გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ კ. ქ-არის, ზ. ს-ძისა და ზ. გ-ძის მსჯავრდებისას დაუშვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა, რამაც გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე და რაც მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მაისის განაჩენის მსჯავრდებულების - კ. ქ-არის, ზ. ს-ძისა და ზ. გ-ძის სასიკეთოდ შეცვლის საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 567-ე და 568-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ. ქ-არისა და მისი დამცველის, ადვოკატ მ. ფ-აიას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ ზ. ს-ძისა და მისი დამცველის, ადვოკატ ნ. დ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მაისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებული კ. ქ-არი ცნობილ იქნეს ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთი დანაშაულის ჩადენაში და ამ დანაშაულისათვის მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 9 თვის ვადით. მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნოს ჯარიმა - 4000 ლარის ოდენობით. აღნიშნულ სასჯელებს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად - განაჩენთა ერთობლიობის წესით, დაემატოს წინა განაჩენით კ. ქ-არისათვის დანიშნული მოუხდელი სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და მსჯავრდებულ კ. ქ-არს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 9 თვის ვადით და ჯარიმა - 4000 ლარის ოდენობით.

გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება კ. ქ-არის ქურდობის ორ ეპიზოდში დამნაშავედ ცნობის, თითოეული ეპიზოდისათვის მის მიმართ სასჯელების ცალ-ცალკე დანიშვნისა და ამ სასჯელების შეკრების თაობაზე;

მსჯავრდებული ზ. ს-ძე ცნობილ იქნეს ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთი დანაშაულის ჩადენაში და ამ დანაშაულისათვის მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება ზ. ს-მის ქურდობის ორ ეპიზოდში დამნაშავედ ცნობის, თითოეული ეპიზოდისათვის სასჯელების ცალ-ცალკე დანიშვნისა და ამ სასჯელების შეკრების თაობაზე;

მსჯავრდებული ზ. გ-მე ცნობილ იქნეს ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთი დანაშაულის ჩადენაში და ამ დანაშაულისათვის მას სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 15 000 ლარის ოდენობით, ხოლო, წინასწარ პატიმრობაში მისი ყოფნის ვადის გათვალისწინებით, იგი მთლიანად გათავისუფლდეს აღნიშნული სასჯელის მოხდისაგან.

მსჯავრდებული ზ. გ-მე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან, როგორც სასჯელმოხდილი.

გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება ზ. გ-მის საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ორი ეპიზოდისათვის მსჯავრდების, თითოეული ეპიზოდისათვის სასჯელების ცალ-ცალკე დანიშვნისა და ამ სასჯელების შეკრების, აგრეთვე მის მიმართ დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის - 2000 ლარის დანიშვნის თაობაზე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულების - კ. ქ-არის, ზ. ს-მისა და ზ. გ-მის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო

განჩინება

#528-აპ-09

18 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ო. მ-იას ინტერესების დამცველი ადვოკატების - ზ. ქ-ვასა და მ. ბ-ვას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 დეკემბრის განაჩენით ო. მ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 109-ე მუხლის „ი“ პუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) და 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა, შენახვა და ტარება; ასევე - მკვლელობა ანგარებით და ყაჩაღობა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, რაც გამოიხატა შემდეგში:

ზუგდიდის რაიონის სოფელ ... მცხოვრებმა ო. მ-იამ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი, ტექნიკურად გამართული და დანიშნულებისამებრ გასროლისათვის ვარგისი, „ტტ-ს“ სისტემის პისტოლეტი და საბრძოლო მასალა - დასახელებული პისტოლეტისათვის განკუთვნილი საბრძოლო ვაზნები, რომლებსაც ასევე უკანონოდ ინახავდა და ატარებდა.

1998 წლის ოქტომბერში, რიცხვი დაუდგენელია, ო. მ-ია დაუკავშირდა სხვა პირს. ისინი შეთანხმდნენ, სხვისი პირადი ქონების დაუფლების მიზნით ჩაედინათ ყაჩაღური თავდასხმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში მცხოვრებ ე. და ნ. მ-ებზე. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 1998 წლის 18 ოქტომბერს ო. მ-ია შეიარაღდა უკანონოდ შექმნილი და შენახული პისტოლეტით, ხოლო სხვა პირი - ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით და 8 საათზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ..., სახეზე ნიღბაფარებულები, ყაჩაღურად თავს დაესხნენ „ვაზ-2106“ მარკის ავტომანქანას, რომელსაც მართავდა ე. მ-ა და რომელშიც, ამ უკანასკნელის გარდა, ისხდნენ მისი მეუღლე ნ. მ-ა-ლ-ავა, უ. მ-ავა და მ. მ-ავა. სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით თავდამსხმელებმა აიძულეს ე. და ნ. მ-ები, გადამსხდარიყვნენ ავტომანქანის უკანა სალონში,

დაეუფლენ ავტომანქანას და წავიდნენ სოფელ ... მიმართულებით. გზაში მათ ნ. მ-ას მიმართ გამოიყენეს ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა - ჩაართვეს ავტომანქანის კონდახი და წართვეს 100 ლარი, რის შემდეგაც საჭესთან მჯდომმა ო. მ-იამ სოფელ დიდინეძის ტერიტორიაზე შეაჩერა ავტომანქანა და უბრძანა მანქანაში მსხდომ პირებს მისი დატოვება, რა დროსაც თანაქონი პისტოლეთიდან გასროლით მხარში დაჭრა ე. მ-ა, ხოლო ნ. ლ-ავა-მ-ას მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა გულმკერდის არეში. ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს ე. მ-ას კუთვნილი ავტომანქანა, რომელიც ერთი კილომეტრის გავლის შემდეგ დატოვეს გზაზე და მიიმალნენ.

აღნიშნული ქმედებისათვის ო. მ-იას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 1 წლით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით - 2 წლით, 109-ე მუხლის „ი“ პუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) - 12 წლით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულს საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 20 წლის ვადით (1960 წლის სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად), რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 26 ივნისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - ზ. ქ-ვამ და მ. ბ-ვამ და მოითხოვეს ო. მ-იას გამართლება, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 25 მარტის განაჩენით არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ო. მ-იას ინტერესების დამცველი ადვოკატები - ზ. ქ-ვა და მ. ბ-ვა საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, არ ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას; საქმეზე წინასწარი და სასამართლო გამოძიება წარმოებულია ცალმხრივად, ტენდენციურად, მხოლოდ გამამტყუნებელი მიმართულებით; სრულად და ობიექტურად არ გამოკვლეულა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; სასამართლო დასკვნები შეუსაბამოა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან; არ აღმოფხვრილა წინააღმდეგობა მტკიცებულებათა შორის; სასამართლოს არ გაუთვალისწინებია საქმის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, რის გამოც კასატორები ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და ო. მ-იას მიმართ საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები მოპოვებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო საქმის გარემოებები გამოკვლეულია ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. როგორც ირკვევა, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად დაცვის მხარის მიერ გაცხადებული ყველა შუამდგომლობა დააკმაყოფილეს და უსაფუძვლოა საქმის სასამართლო ან წინასწარი გამოძიების ცალმხრივად, მხოლოდ გამამტყუნებელი მიმართულებით წარმოების შესახებ მითითება.

დაზარალებულმა ე. მ-ამ სასამართლოს კატეგორიულად განუცხადა, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი სწორედ ო. მ-ია იყო, რომელმაც ესროლა პისტოლეთიდან. მანვე მიუთითა, რომ ო. მ-იას სახე დაინახა მას შემდეგ, რაც თავდამსხმელებმა გატაცებული ავტომანქანა მოაბრუნეს და თავდაპირველი მიმართულების საპირისპირო მხარეს მიიმალნენ, რა დროსაც ნიღბები არ ეკეთათ. ე. მ-ამ ასევე მიუთითა, რომ ო. მ-ია ამოიგნო გამორჩეული ხმითაც.

გარდა იმისა, რომ ე. მ-ას ჩვენებათა ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, მის მიერ გადმოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს ადასტურებენ შემთხვევის უშუალო შემსწრე სხვა დაზარალებულებიც, კერძოდ, უ. და მ. მ-ავები თავიანთ პირველივე ჩვენებებში მიუთითებენ, რომ ბოროტმოქმედები გატაცებული ავტომანქანით გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ მობრუნდნენ და დაზარალებულებს დაახლოებით 5 მეტრის მანძილზე ჩაუარეს. მ. მ-ავა ასევე მიუთითებს, რომ უკან დაბრუნებისას თავდამსხმელებს ნიღბები არ ეკეთათ და მათი დანახვა ძნელი არ იყო. გარდა ამისა, უ. და მ. მ-ავები თავიდანვე გარკვევით აღნიშნავენ, რომ ავტომანქანის გაჩერების შემდეგ მოხდა ორი გასროლა და ერთ-ერთი ტყვიით დაიჭრა ე. მ-ა. ამ უკანასკნელის განმარტებით, შეუძლებელია, მას და თავის მეუღლეს ერთი ტყვია მოხვედროდა. მ. მ-ავაც აღნიშნავს, რომ ე. მ-ას მიმართულებით ნასროლი ტყვია ავტომანქანაში მყოფ ნ. მ-ას ვერ მოხვდებოდა.

მოწმე ი. ტ-უას განმარტებით, გატაცებულ ავტომანქანაში უნიღბოდ იჯდა ორი პირი, მათგან დაბალი - საჭესთან.

ო. მ-იას დამცველთა შუამდგომლობით სააპელაციო სასამართლოში დაიკითხა მოწმე რევაზ აკობია, რომელმაც განმარტა, რომ მასთან საუბრისას ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა აღიარა პისტოლეტით შეიარაღებულ ო. მ-იასთან ერთად ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით სააპელაციო პალატამ დაადგინა დასაბუთებული განაჩენი, რომლის გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, ო. მ-იას მიერ სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებები ჩადენილია 1998 წლის 18 ოქტომბერს, ხოლო ამ დანაშაულისათვის იგი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულია 2007 წლის 13 ივლისს. საბრალდებო დასკვნაშიც მითითებულია, რომ ძებნილი ო. მ-ია ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემული იყო ადრე მოქმედი სსკ-ის მხოლოდ 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი პუნქტითა და 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტით. სსკ-ის 71-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა ექვსი წელი ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ო. მ-ია წარდგენილ ბრალდებაში თავს არ ცნობდა და არ ცნობს დამნაშავედ, იგი უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან, სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ე" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე და, შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება სსკ-ის 42-ე მუხლზე (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციით).

პირველი ინსტანციის სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილად მიიჩნია ო. მ-იას მიერ სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის "ი" ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული ქმედების ჩადენაც, განსასჯელი დამნაშავედ ცნო და სასჯელი დაუნიშნა მხოლოდ ამავე კოდექსის 109-ე მუხლის "ი" ქვეპუნქტით.

საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია, რომ ერთი ქმედებით ჩადენილი მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობისათვის, შედეგიდან გამომდინარე, პირის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს შესაბამისი ორი მუხლით, მაგრამ დაინიშნოს ერთი სასჯელი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, როგორც კანონიერი და სამართლიანი, უნდა დარჩეს უცვლელად.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ე" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-6 ნაწილით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ო. მ-იას ინტერესების დამცველი ადვოკატების - ზ. ქ-ვასა და მ. ბ-ვას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განაჩენი შეიცვალოს: ო. მ-ია გათავისუფლდეს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან, სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ე" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე;

გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება საქართველოს 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სსკ-ის 42-ე მუხლზე;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და ო. მ-იას საბოლოოდ განესაზღვროს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები

განჩინება

#751-აპ-09

14 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ პ. დ-უას ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. გ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 9 თებერვლის განაჩენით პ. დ-უა ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ არაერთგზის ჩაიდინა ყაჩაღობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 14 მაისის განაჩენით პ. დ-უა ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, ამავე გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 5 000 ლარი.

2008 წლის 16 ნოემბერს პ. დ-უამ განიზრახა, ყაჩაღურად თავს დასხმოდა რომელიმე ტაქსის მძღოლს. ამისათვის მან ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირზე გააჩერა გ. ტ-შვილის მართვის ქვეშ მყოფი, „ოპელ-ვექტრას“ მარკის ტაქსი, საფასურზე მოურიგდა მძღოლს და გაემგზავრნენ. ავტომანქანით მსვლელობისას პ. დ-უა ყაჩაღურად თავს დაესხა გ. ტ-შვილს, ერთი ხელით ამოიღო წინასწარ მომარჯვებული დანა, ხოლო მეორით - დაზარალებულს მიუშვირა იარაღის მაგვარი საგანი და მოსთხოვა ფულისა და ფასეული ნივთების გადაცემა. შეშინებულ მძღოლს თავდამსხმელისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. პ. დ-უა ამ გზით დაეუფლა მობილურ ტელეფონს, 12 ლარსა და ავტომანქანის აუდიომაგნიტოფონს, რის შემდეგ მიიმალა.

აღნიშნული ქმედებისათვის პ. დ-უას მიესაჯა 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 5 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა 14 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2008 წლის 28 ნოემბრიდან; მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა წინა განაჩენით დადგენილი დანაშაულისათვის პატიმრობაში ყოფნის დრო - 2005 წლის 6 აგვისტოდან 2005 წლის 8 აგვისტოს ჩათვლით. დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელი და მსჯავრდებულს დაზარალებულ ზ. ს-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 340 ლარის გადახდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულის ადვოკატებმა - ნ. ც-შვილმა და მ. გ-ძემ, რომლებმაც ითხოვეს განაჩენის გაუქმება და პ. დ-უას გამართლება, რაც არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა მხოლოდ ნივთმტკიცების ნაწილში.

კასატორი - მსჯავრდებულ პ. დ-უას ადვოკატი მ. გ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, რამაც გამოიწვია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა და რაც განაჩენის გაუქმებისა და მსჯავრდებულის გამართლების საფუძველია; სასამართლომ განაჩენი დაადგინა დაზარალებულისა და მოწმეების ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებზე დაყრდნობით; ყურადღებით და ობიექტურად არ გამოიკვლია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი; საექვოა ძაღლის მიერ აღებული სუნი და კვალი; სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად, არგუმენტების გარეშე დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი; საქმის განხილვა იყო ცალმხრივი და არასრული.

კასატორის აზრით, სასამართლომ არაობიექტურად იმსჯელა მოწმე მაკა შათირიშვილის ჩვენებებზე, რომლითაც დგინდებოდა, რომ გატაცებული ტელეფონი მისმა შვილმა - ნ. დ-უამ იპოვა სამარშრუტო ტაქსიში; მოწმე ასევე მიუთითებდა პოლიციაში ზეწოლის ფაქტებზე მის და თავის არასრულწლოვან შვილთან მიმართებით, რაც სასამართლომ არ შეაფასა. სასამართლომ გვერდი აუარა იმ მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც ადასტურებენ პ. დ-უას უდანაშაულობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და პ. დ-უას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ საქმის გარემოებები გამოიკვლეულია ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. როგორც ირკვევა, პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკმაყოფილდა დაცვის მხარის მიერ გაცხადებული და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა შუამდგომლობა, ხოლო სააპელაციო სასამართლოში შუამდგომლობა არ გაცხადებულა. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში, რასაც სააპელაციო პალატა ეთანხმება, მითითებულია იმ მოწმეთა ჩვენებებიც, რომლებზეც კასატორი აპელირებს. სასამართლომ მათზეც იმსჯელა და ობიექტურად შეაფასა. ამასთან, ერთი მტკიცებულების მიღება და მეორის უარყოფა სასამართლოს არაობიექტურობაზე არ მეტყველებს, თუკი განაჩენში ამის მოტივიც აღნიშნულია.

კასატორის მტკიცების საპირისპიროდ, დაზარალებულ გ. ტ-შვილის ჩვენებები თანმიმდევრული და დამაჯერებელია. მან საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას კატეგორიულად განაცხადა, რომ თავდამსხმელი პ. დ-უა იყო. გარდა ამისა, გატაცებული ტელეფონი მსჯავრდებულის ძმის შვილს აღმოაჩნდა და ამოღებულ იქნა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული არაერთი უტყუარი მტკიცებულება უდავოდ ადასტურებს პ. დ-უას მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენას და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ობიექტურია.

ამასთან, ორივე ინსტანციის სასამართლომ პ. დ-უას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მისი წარსული ნასამართლობა მიიჩნია, თუმცა სწორედ ამ ნასამართლობის გამო დაკვალიფიცირდა მსჯავრდებულის ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით. სასჯელთან დაკავშირებით სააპელაციო პალატის აღნიშნული მითითება ეწინააღმდეგება სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნას და იგი გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულს უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი. გარდა ამისა, პ. დ-უას დაზარალებულ ზ. ს-შვილის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 300 ლარის გადახდა. საბრალდებო დასკვნით სწორედ ამ თანხით განისაზღვრა გატაცებული აუდიო მაგნიტოფონის ღირებულება, ამასთან, დაზარალებული გ. ტ-შვილიც აღნიშნავს, რომ მაგნიტოფონი 300 ლარი ღირდა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერი და დასაბუთებულია, რის გამოც უნდა დარჩეს უცვლელად.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ პ. დ-უას ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. გ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ივლისის განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება პ. დ-უას ნასამართლობაზე, როგორც მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებაზე;

პ. დ-უას დაზარალებულ ზ. ს-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს 300 ლარის გადახდა;

პ. დ-უას სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 6 თვით და განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და პ. დ-უას საბოლოოდ განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქონების ჩამორთმევა

განჩინება

#662-აპ

23 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. კ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. გ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 დეკემბრის განაჩენით:

ი. კ-ძეს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება, რადგან აღნიშნულს მოიცავს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტი.

ი. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 25 ივლისიდან.

მასვე, სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა - 20 000 ლარი.

"ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ი. კ-ძეს 15 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ი. კ-ძის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული თანხა - 7950 ლარის, 1000 აშშ დოლარისა და 50 ევრო, როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული, უნდა გადაეცეს სახელმწიფო ბიუჯეტს; ასევე გამოძიების მიერ ამოღებული, ი. კ-ძის კუთვნილი ა/მანქანა "ფორდ-სკორპიო", როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფასეულობა, მიქცეულ უნდა იქნეს სახელმწიფო საკუთრებაში.

ნივთმტკიცება - ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", წონით 0,111 გრამი, ერთ პაკეტად, "ჰეროინი", წონით 1,356 გრამი და "ბუპრენორფინი", წონით 0,4954 გრამი, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ი. კ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ი. კ-ძემ უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის შემცველი აბის ნატეხები, საერთო წონით 0,5554 გრამი, რომელსაც შემდგომში გასაღების მიზნით უკანონოდ ინახავდა თავისსავე საცხოვრებელ ბინაში: თბილისი, ... ქ. #26-ში. მანვე უკანონოდ შეიძინა "ჰეროინის" შემცველი ნივთიერება დიდი ოდენობით - 1,507 გრამი, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" რაოდენობა შეადგენს 0,7535 გრამს და რასაც შემდგომში ასევე გასაღების მიზნით უკანონოდ ინახავდა თავისსავე საცხოვრებელ სახლში.

2008 წლის 24 ივლისს, დაახლოებით 19 საათზე, თბილისში, ვარკეთილი 3-ის, მე-2 მ\რ-ის, 28-ე კორპუსის ტერიტორიაზე, ი. კ-ძემ თავის ნაცნობ თ. ქ-ლზე 200 ლარის საფასურად უკანონოდ გაასალა თავის მიერ უკანონოდ შეძენილი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" შემცველი ნივთიერება, წონით 0,131 გრ, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" რაოდენობა შეადგენდა 0,0655 გრამს.

2008 წლის 24 ივლისს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-8 განყოფილების თანამშრომლებმა, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ჩაატარეს თბილისში, ... ქ. #26-ში არსებული ი. კ-ძის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა, რის შედეგადაც ბინიდან ამოღებულ იქნა 8 ცალად დაფასოებული, მოყვითალო-მოყავისფრო, ფხვნილისებური ნარკოტიკული საშუალება - "ჰეროინის" შემცველი ნივთიერება, საერთო წონით 1,376 გრამი, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" რაოდენობა შეადგენს 0,688 გრამს. ასევე ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებულ

იქნა ქარხნულად დამზადების ნიშნების მქონე, თეთრი ფერის "ბუპრენორფინის" შემცველი აბის 3 ნატეხი, საერთო წონით 0,5554 გრამი, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" საერთო რაოდენობაა 0,111 გრამი. ამ ნარკოტიკულ საშუალებებს ი. კ-მე ინახავდა უკანონოდ.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივნისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ი. კ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. გ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო; არსებითად იქნა დარღვეული სათანადო სამართლებრივი პროცედურა, რაც არ გამოუვლენია არც 1-ლი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებს; თ. ქ-ლის ჩვენების გარდა, სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რაც დადასტურებდა ი. კ-ძის მიერ ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის ფაქტს; საქმის ახალი სასამართლო განხილვისას ი. კ-ძეს უნდა ამოერიცხოს ნარკოტიკული საშუალების გასაღება, უნდა გაუქმდეს მისთვის დაკისრებული ჯარიმა, დაუბრუნდეს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული თანხა და ა/მანქანა, ხოლო სასჯელის სახით - განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: მსჯავრდებულ ი. კ-ძის ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების ჩვენებებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმით, ასევე, საქმეში არსებული სხვა მასალებით უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულ ი. კ-ძის მიერ ნარკოტიკული საშუალების შექმნა-შენახვის ფაქტი.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ ი. კ-ძეს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს თ. ქ-ლზე 2008 წლის 24 ივლისს ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი, კერძოდ: საქმეში თ. ქ-ლის ჩვენების გარდა, არ მოიპოვება რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს ი. კ-ძის მიერ ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" გასაღების ფაქტზე. ბრალდების მხარეს არ წარმოდგენია და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუკვლევიათ აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. საქართველოს სსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. კანონის მითითებულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, თ. ქ-ლის ჩვენების გარდა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ი. კ-ძეს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს 2008 წლის 24 ივლისს თ. ქ-ლზე ნარკოტიკული საშუალების გასაღების ეპიზოდი. მას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს მითითება საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილ, საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებულ თანხაზე - 7950 ლარზე, 1000 აშშ დოლარსა და 50 ევროზე, როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ფულზე, ასევე გამოძიების მიერ ამოღებულ, ი. კ-ძის კუთვნილ ა/მანქანა "ფორდ-სკორპიოზე", როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ფასეულობაზე.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: "ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ანდა იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამოიზნული ნივთის ანდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას".

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არსებული მასალებით, ასევე პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენებით არ არის დადგენილი, რომ მსჯავრდებულ ი. კ-ძის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა - 7950 ლარი, 1000 აშშ დოლარი და 50 ევრო, ასევე, გამოძიების მიერ ამოღებული, ი. კ-ძის კუთვნილი ა/მანქანა "ფორდ-სკორპიო", არის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული. საქმეში არ მოიპოვება ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, ამიტომ მსჯავრდებულ ი. კ-ძეს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული თანხა - 7950 ლარი, 1000 აშშ დოლარი და 50 ევრო, ასევე, გამო-

მიების მიერ ამოღებული, ი. კ-ძის კუთვნილი ა/მანქანა "ფორდ-სკორპიო", უნდა დაუბრუნდეს მისი ოჯახის წევრებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ ი. კ-ძეს განაჩენიდან ამოერიცხოს ნარკოტიკული საშუალების გასაღება.

მსჯავრდებულ ი. კ-ძეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე, სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა - 20 000 ლარი.

"ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ი. კ-ძეს 15 წლის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილი, ი. კ-ძის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული თანხის - 7950 ლარი, 1000 აშშ დოლარისა და 50 ევროს, ასევე, გამოძიების მიერ ამოღებული, ი. კ-ძის კუთვნილი ა/მანქანა "ფორდ-სკორპიოს", სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე.

მსჯავრდებულ ი. კ-ძის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული თანხა - 7950 ლარი, 1000 აშშ დოლარისა და 50 ევრო, ასევე, გამოძიების მიერ ამოღებული, ი. კ-ძის კუთვნილი ა/მანქანა "ფორდ-სკორპიო", დაუბრუნდეს მისი ოჯახის წევრებს.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები

განჩინება

#1005-აპ-09

28 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- ზ. მეთევილი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 ივლისის განაჩენით გ. გ-ძე ნასამართლევი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით (ბრალდების 5 ეპიზოდი) იმაში, რომ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის იყო რა ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული და ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 3 დეკემბერს ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის გ. გ-ძე დაჯარიმდა 500 ლარით. 2008 წლის 23 მაისს იგი გაასამართლა თბილისის საქალაქო სასამართლომ

და სსკ-ის 273-ე მუხლით მიუსაჯა 1 წლით თავისუფლების, რაც ჩაუთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. ამავე სასამართლოს 2008 წლის 27 ნოემბრის დადგენილებით, აღნიშნული სასჯელი განაჩენდა და გ. გ-ძეს განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

2008 წლის 5 სექტემბერს გ. გ-ძე იმყოფებოდა ქ. თბილისში. იგი დააკავეს და გადაიყვანეს საექსპერტო დაწესებულებაში, სადაც შემოწმების შედეგად იგი აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ.

იმავე წლის 11 ნოემბერს და 10 დეკემბერს გ. გ-ძეს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება "მეტამფეტამინის" მიღების ფაქტი.

2009 წლის 17 თებერვალს გ. გ-ძეს დაუდგინდა "მეტამფეტამინისა" და "ამფეტამინის", ხოლო 7 მარტს - "მეტამფეტამინის" მიღების ფაქტი.

ამ ქმედებებისათვის გ. გ-ძეს სსკ-ის 273-ე მუხლით (2008 წლის 5 სექტემბრის ეპიზოდი) მიესაჯა ჯარიმა - 2000 ლარი, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის საფუძველზე გაუნაჩევრდა და განესაზღვრა ჯარიმა - 1000 ლარი. ამავე მუხლით (2008 წლის 11 ნოემბრის ეპიზოდი) მსჯავრდებულს განესაზღვრა ჯარიმა - 2000 ლარი. ბრალდების დანარჩენ სამ ეპიზოდში გ. გ-ძეს მიესაჯა თითო წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 6 თვე და საბოლოოდ განესაზღვრა 3 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 3000 ლარი. მასვე 3 წლით ჩამოერთვა "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში მითითებული უფლებები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მოითხოვა სასჯელის შემსუბუქება, რაც არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულის ადვოკატი ვ. ქ-შვილი საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი მეტისმეტად მკაცრია, რაც უთანასწორდება ადამიანის წამებას და განზრახ სიცოცხლის მოსპობას, ვინაიდან გ. გ-ძე დაავადებულია მძიმე სენით - ქრონიკული ვირუსული "ჩ" ჰეპატიტით. ამ გარემოებაზე სასამართლოებს არ უმსჯელიათ. სასჯელადსრულების დაწესებულებაში გ. გ-ძე მოკლებულია მკურნალობის შესაძლებლობას და დამხმარეც არავინ ჰყავს. მის კმაყოფაზე იყო 80 წლის დეიდა. ამასთან, თავად მსჯავრდებული არ სარგებლობს ცუდი რეპუტაციით და არც საზოგადოებისათვის წარმოადგენს საშიშროებას.

კასატორის აზრით, ყოველივე აღნიშნულით დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მე-40, 42-ე, ასევე - ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის მე-5 და მე-6 მუხლების მოთხოვნები, რის გამოც ითხოვს მსჯავრდებულისათვის არასაპატიმრო სასჯელის შეფარდებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

გ. გ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა ერთვის საკასაციო საჩივარს. ამ საკითხზე არც მსჯავრდებულსა და მის დამცველს გაუმახვილებიათ ყურადღება საქმის პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში და, შესაბამისად, მის გაუთვალისწინებლობაზე მითითება უსაფუძვლოა.

მოცემულ შემთხვევაში სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული არაერთი ქმედების ჩადენისათვის (რაც უტყუარადაა დადასტურებული საქმის მასალებით), გ. გ-ძეს ბრალდების ორ ეპიზოდში სასჯელად დანიშნული აქვს ჯარიმა. გარდა ამისა, საბოლოო სასჯელი განსაზღვრულია განაჩენთა ერთობლიობით და ამის გამოც პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოთხოვნას არასაპატიმრო სასჯელის შეფარდების შესახებ.

ამასთან, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა გ. გ-ძის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნიეს მისი სასამართლობა.

საქართველოს სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებას, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება. ამიტომ გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება გ. გ-ძის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად სასამართლობის მიჩნევის შესახებ.

მაგრამ, აღნიშნული გარემოებისა და მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, შერაცხული ეპიზოდების რაოდენობისა და ხასიათის, ასევე - გ. გ-ძის პიროვნების გათვალისწინებით, დანიშნული სასჯელი არ არის მეტისმეტად მკაცრი და, შესაბამისად - აშკარად უსამართლო.

ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია. იგი უნდა შეიცვალოს მხოლოდ "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებისა და მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებულს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით (ბრალდების სამი ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე - წინა განაჩენით განსაზღვრული სასჯელის - 6 თვით თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, ამავე კანონის მეორე მუხლის მე-2 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. გ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ნოემბრის განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება გ. გ-ძის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ნასამართლობის მიჩნევის შესახებ;

"ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გ. გ-ძეს გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით (ბრალდების სამი ეპიზოდი) დანიშნული სასჯელის მოსახდელი ნაწილი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და მიესაჯოს 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გ. გ-ძეს გაუნახევრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 27 ნოემბრის დადგენილებით დანიშნული სასჯელის - 6 თვით თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი და განესაზღვროს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და გ. გ-ძეს საბოლოოდ განესაზღვროს 1 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა - 3000 ლარი.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. მკვლელობა

განზრახ მკვლელობა

განჩინება

#711-აპ-08

3 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- პ. სილაგაძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ ი. ბ-ძისა და მისი დამცველის, ადვოკატ გ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ბ-ძე - თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 აპრილის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით.

განაჩენით ი. ბ-ძეს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობის ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2002 წლის ივნისში, რიცხვი დაუდგენელია, ბ. ზ-მემ თავის ნაცნობ ი. ბ-მისაგან, პირადი საჭიროების გამო, ისეხა 400 აშშ დოლარი, რომელიც უნდა დაებრუნებინა რამდენიმე დღეში, მაგრამ ბ. ზ-მემ თანხის დაბრუნება ვერ შეძლო, რაზედაც ი. ბ-მესა და ბ. ზ-მეს შორის წარმოიშვა უთანხმოება. 2002 წლის აგვისტოში, რიცხვი დაუდგენელია, ი. ბ-მე გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად მეტროს სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვდა ბ. ზ-მეს, რომელიც იმყოფებოდა მეგობარ დ. გ-შვილთან ერთად. შეხვედრაზე ი. ბ-მემ კატეგორიულად მოსთხოვა ბ. ზ-მეს ნასესხები თანხის მომდევნო დღისათვის დაბრუნება, ხოლო თანხის არდაბრუნების შემთხვევაში დაემუქრა ფიზიკური განადგურებით. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ბ. ზ-მე თავს არიდებდა ი. ბ-მისათვის თანხის დაბრუნებას, ხოლო თავად ი. ბ-მე უშედეგოდ ცდილობდა ბ. ზ-მესთან დაკავშირებას, რადგანაც იგი მას ემალებოდა.

2002 წლის 22 სექტემბერს, დაახლოებით 21.00 საათისათვის, ბ. ზ-მე მეგობარ დ. გ-შვილთან ერთად იმყოფებოდა ქალაქ თბილისში, საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე. დ. გ-შვილმა გადაკვეთა ქუჩა სიგარეტის საყიდლად, ხოლო ბ. ზ-მე იქვე დარჩა. ამ მომენტში ბ. ზ-მე ქუჩაში შეხვდა ი. ბ-მეს, რომელიც იმყოფებოდა გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად. ი. ბ-მემ ბ. ზ-მე სასაუბროდ გაიხმო საცხოვრებელი კორპუსის ეზოს უკანა მხარეს, სადაც მათ შორის წარიმართა დამაბული საუბარი, ნასესხები თანხის დაუბრუნებლობასთან დაკავშირებით, რაც გადაიზარდა ურთიერთჩხუბში. ჩხუბის დროს ი. ბ-მემ თანაქონი დანით, განზრახ მოკვლის მიზნით, ბ. ზ-მეს რამდენიმეჯერმე გულ-მკერდისა და ზურგის არეში მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება, რამაც გამოიწვია მწვავე სისხლნაკლებობა, განვითარებული გულ-მკერდის მიდამოს მრავლობითი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობითა და შინაგანი ორგანოების დაზიანებით გამოწვეული სისხლდენის შედეგად, რაც გახდა ბ. ზ-მის სიკვდილის მიზეზი. ი. ბ-მე თანხლებ პირთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ხოლო ბ. ზ-მე მიყენებული ჭრილობების შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სახელმწიფო ბრალმდებელმა, პროკურორმა ზ. ს-იამ და მსჯავრდებულმა ი. ბ-მემ.

აპელანტი ზ. ს-ია სააპელაციო საჩივრით ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში, სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანას მსჯავრდებულის საუარესოდ, კერძოდ, მისთვის სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას 13 წლის ვადით, ვინაიდან აპელანტს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ი. ბ-მისათვის განსაზღვრული სასჯელი მიაჩნდა მეტისმეტად ლმობიერად.

მსჯავრდებული სააპელაციო საჩივრით ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას, რის საფუძველდაც მიუთითებდა იმას, რომ გამამტყუნებელი განაჩენი არ არის დადგენილი უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით, რომელიც ემყარება მხოლოდ დაზარალებულის უფლებამონაცვლის - ე. ჭ-მისა და არაპირდაპირი მოწმეების მიერ მიცემულ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს, აგრეთვე - დ. გ-შვილის გამოქვეყნებულ ჩვენებებს, რომელიც არის ერთადერთი პირდაპირი მოწმე და იგი გამოძიებამ დაკითხა სასჯელის მოხდის პერიოდში. დ. გ-შვილი სასამართლოში არ - დაკითხულა, ხოლო მოწმე ტ. ჯ-შვილმა სასამართლო სხდომაზე დაადასტურა, რომ სახელი და გვარი ი. ბ-მე მისთვის პირველად ცნობილი გახდა გარდაცვლილ ბ. ზ-მის ოჯახის წევრებისაგან და არა - მოწმე დ. გ-შვილისაგან.

სააპელაციო საჩივრები განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2008 წლის 14 მარტის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტების მოთხოვნები, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენი მსჯავრდებულ ი. ბ-მის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ი. ბ-მის დამცველმა, ადვოკატმა გ. ბ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ი. ბ-მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით შერაცხული ქმედება. კასატორი თავის მოთხოვნას ასაბუთებს შემდეგი მოტივებით: განაჩენი არ არის კანონიერი და დასაბუთებული, იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციით, ასევე საპროცესო ნორმებით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით და არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, ხოლო ი. ბ-მის ბრალდების საქმის განხილვისას არ იყო დაცული საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, რამაც განაპირობა უკანონო განაჩენის გამოტანა; ამ განაჩენით გაურკვეველია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, სად, როდის და რა ვითარებაში მოხდა დანაშაულის ჩადენა; მთელი საქმე და განაჩენი ძარითადად ემყარება ერთადერთი ცრუ მოწმის - დ. გ-შვილის მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემულ საეჭვო ჩვენებებს, ხოლო სასამართლოში იგი არ ყოფილა წარმოდგენილი და

სასამართლო დაკმაყოფილდა მხოლოდ მისი ჩვენებების გამოქვეყნებით; რაც შეეხება სხვა მოწმეების ჩვენებებს, ისინი არიან წინააღმდეგობრივი და არ შეიძლება, საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს.

საკასაციო პალატის სტადიაზე განხილვისას მსჯავრდებულმა ი. ბ-მემ და მისმა დამცველმა მხარი დაუჭირეს თავიანთ საკასაციო საჩივარს. ადვოკატმა გ. ბ-შვილმა ვრცლად წარმოადგინა საკასაციო საჩივარში მოცემული არგუმენტები და დასაბუთება მსჯავრდებულ ი. ბ-მის უდანაშაულობის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ დ. გ-შვილი ცრუ მოწმეა, რომელიც პოლიციამ დაინტერესების გამო დაუპირისპირა ი. ბ-მეს, რათა დანაშაული გაუხსნელი არ დარჩენილიყო. მოწმე დ. გ-შვილის განმარტებით, მან მკვლელობიდან ერთი თვის შემდეგ მისცა ჩვენება გამოძიებას, რითაც ი. ბ-მეს ამხელდა დანაშაულში. ეს უკანასკნელი კი ერთი წლის შემდეგ დააკავეს, მანამდე დანაშაული გაუხსნელი იყო. საბოლოოდ ადვოკატმა გ. ბ-შვილმა მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულ ი. ბ-მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა. მსჯავრდებული ი. ბ-მე დაეთანხმა თავისი დამცველის მოთხოვნას.

პროცესში მონაწილე პროკურორმა გ. შ-მემ მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივარს და კასატორის მოთხოვნა მიიჩნია უსაფუძვლოდ შემდეგი მოტივებით: საქმეში არსებობს უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა მოწმეების - დ. გ-შვილის, ე. ჭ-მის, ა. ნ-მისა და ტ. ჯ-შვილის ჩვენებების, აგრეთვე - სასამართლო ექსპერტიზის დასკვნების სახით, რომლებიც ქმნიან დასაბუთებულ საფუძველს ი. ბ-მის მსჯავრდებისათვის. რაც შეეხება წინასწარი გამოძიების სტადიაზე დაშვებულ ხარვეზებს, რაც გამოწვეული იყო გამომძიებლის დაუდევრობით, მათ არსებითი გავლენა არ მოუხდენიათ საქმის შედეგზე. სახელმწიფო ბრალმდებლის დასკვნით, გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი და დასაბუთებულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მან იშუამდგომლა პალატის წინაშე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მარტის განაჩენი მსჯავრდებულ ი. ბ-მის მიმართ დარჩეს უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ი. ბ-მის მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა და მოუსმინა მხარეებს, მიიჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე ძირითად მტკიცებულებებს, რომლებითაც ბრალდების მხარე ამხელს ი. ბ-მეს დანაშაულში და რომლებსაც ეყრდნობა პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ ი. ბ-მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები, წარმოადგენს მოწმე დ. გ-შვილისა და დაზარალებულ ე. ჭ-მის მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემული ჩვენებები, აგრეთვე მოწმეების - ა. ნ-მისა და ტ. ჯ-შვილის მიერ წინასწარი გამოძიებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე მიცემული ჩვენებები.

მოწმე დ. გ-შვილს თავისი ჩვენებები წინასწარი გამოძიებისათვის მიცემული აქვს ბ. ზ-მის მკვლელობიდან ერთ წელზე მეტი ხნის შემდეგ, რაც სრულიად სარწმუნო საფუძველს იძლევა ვარაუდისათვის, რომ ამ დროის განმავლობაში მას ყველაფერი უნდა აღედგინა მეხსიერებაში, რისი გახსენებაც კი შეიძლებოდა, ვინაიდან იგი აცხადებდა, რომ იყო მომხდარი დანაშაულის თვითმხილველი. მიუხედავად ამისა, მის მიერ სხვადასხვა დროს მიცემულ ჩვენებებს შორის არსებობს როგორც ფაქტობრივი, ისე - ლოგიკური წინააღმდეგობები, რომლებიც არც პროკურორის მიერ სასამართლოში წარმოთქმულ საბრალდებო სიტყვაშია ახსნილი და არც - სასამართლოების მიერ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენებში. 2003 წლის 7 ნოემბერს გამოძიებისათვის მიცემულ პირველ ჩვენებაში დ. გ-შვილი აღნიშნავს, რომ, როდესაც მან ნახა დაჭრილი ბ. ზ-მე, მაშინვე მიატოვა შემთხვევის ადგილი და მხოლოდ მეორე თუ მესამე დღეს გაიგო რომელიღაც ახლობლისგან, რომ ბ. ზ-მე გარდაიცვალა. იქვე აღნიშნავს, რომ მომხდარის შესახებ მას არ განუცხადებია, რადგან ეშინოდა, თავისი ან ოჯახის წევრების სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაეგდო და მხოლოდ ერთი თვის შემდეგ გამოცხადდა პოლიციაში და მისცა ჩვენება. იმავე წლის 27 ნოემბერს დ. გ-შვილი დამატებითი დაკითხვისას აღნიშნავს, რომ მომხდარი შემთხვევიდან მეორე დღეს, დილით, ე.ი. 2003 წლის 23 ნოემბრის დილას მივიდა ბ. ზ-მის საერთო ნაცნობ ქალთან - ტ. ჯ-შვილთან და უთხრა, რომ მოკლეს ბ. ზ-მე, რომ იგი წინა ღამით მოკლა... ხოლო მკვლელის გვარი ან სახელი უთხრა თუ არა ტ. ჯ-შვილს, არ ახსოვს.

აქ წინააღმდეგობა მდგომარეობს შემდეგში: წინა ჩვენების მიხედვით, დ. გ-შვილს 23 ნოემბერს, დილით, ჯერ კიდევ არ უნდა სცოდნოდა, ბ. ზ-მე იყო თუ არა მკვდარი. ამიტომ იგი ტ. ჯ-შვილს ვერ ეტყოდა, რომ წინა საღამოს ბ. ზ-მე მოკლეს. გარდა ამისა, არსებობს ლოგიკური წინააღმდეგობებიც: პირველ ჩვენებაში დ. გ-შვილი მკვლელობის მოტივად ასახელებს იმ გარემოებას, რომ ბ. ზ-მეს ი. ბ-მისგან 400 აშშ დოლარი ჰქონდა ნასესხები და ვერ უბრუნებდა, რის გამოც ი. ბ-მე იყო ძლიერ განაწყენებული და მას დაჭრით ემუქრებოდა. მეორე ჩვენებაში კი

დ. გ-შვილი დაბეჯითებით აღნიშნავს: როგორც ბ. ზ-ძისგან გაიგო, ი. ბ-მე იყო მისი ყოფილი მეუღლის ძმა და მას ადრინდელი წყენა ჰქონდა ბ. ზ-ძის მიმართ მის დასთან თანაცხოვრების გამო. ისმება სრულიად ლოგიკური და საქმის მასალებით პასუხგაუცემელი კითხვა - თუკი ი. ბ-მეს დიდი ხნის განმავლობაში ასეთი დიდი წყენა გააჩნდა ბ. ზ-ძის მიმართ, რატომ უნდა ესესხებინა მისთვის საკმაოდ სოლიდური თანხა? ასეთ პირობებში სასამართლო მაინც დადგენილად მიიჩნევს, რომ მკვლელობის მოტივი იყო ვალის არსებობა. ამასთან, ჩნდება სხვა აუხსნელი გარემოებაც, კერძოდ: თუ დ. გ-შვილს მომხდარი ფაქტის გამხელისა ძალიან ეშინოდა, რომ ამით პირადად თავისი და ასევე ოჯახის წევრების სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაეგდო, რატომ გაუმხილა მან ტ. ჯ-შვილს მომხდარი ფაქტის თაობაზე, ხოლო თუ გამხელას აპირებდა, რატომ არაფერი უთხრა თავისი გარდაცვლილი მეგობრის - ბ. ზ-ძის ოჯახის წევრებს, თუ ვინ მოკლა იგი?

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ მსგავსი ფაქტობრივი და ლოგიკური წინააღმდეგობები არსებობს არა მხოლოდ მოწმე დ. გ-შვილის ჩვენებებს შორის, არამედ - დ. გ-შვილის ჩვენებებსა და ბრალდების სხვა მოწმეთა ჩვენებებს შორისაც, მაგალითად, საქმეზე დაზარალებულად ცნობილი ე. ჭ-მე მომხდარი შემთხვევიდან მეორე დღეს, დაკითხვისას, საკმაოდ დეტალურად უყვება გამოძიებას მისი ქმრის - ბ. ზ-ძის მიერ შეძენილ ავტომანქანასთან დაკავშირებით ამ უკანასკნელსა და მევალეებს შორის არსებულ დამაბულ ურთიერთობებსა და კონფლიქტებზე, ხოლო გამომძიებლის მიერ დასმულ პირდაპირ შეკითხვაზე - სხვა ფაქტებიც ხომ არ არსებობდა სხვა პირებთან, ბ. ზ-ძის დამაბული ან კონფლიქტური ურთიერთობების შესახებ, ე. ჭ-მე დაბეჯითებით პასუხობს, რომ ასეთი რამ მისთვის ცნობილი არ არის, თუმცა მოწმე ტ. ჯ-შვილის ჩვენების მიხედვით, სწორედ იმ დილით შეატყობინა მან ე. ჭ-მეს ბ. ზ-ძის მკვლელის ვინაობა. ერთი წლის შემდეგ მიცემულ ჩვენებაში ე. ჭ-მე მოულოდნელად იხსენებს, რომ მის ქმარს - ბ. ზ-ძეს ვინმე ი-ს ვალი - 100 აშშ დოლარი ჰქონდა და რომ ბ. ზ-ძის მკვლელის ვინაობა შეიტყო ტ. ჯ-შვილისაგან ბ-ს გარდაცვალებიდან მეორე დღეს, დილით. მართალია, ერთი წლის შემდეგ, მეორე ჩვენებაში ე. ჭ-მე აღნიშნავს, რომ პირველი დაკითხვისას დეპრესიაში იყო და ამიტომ ვერ გაიხსენა მოწმე ტ. ჯ-შვილის ნათქვამი, მაგრამ პასუხგაუცემელია კითხვა: როგორ შეძლო მან, გაეხსენებინა ბევრად უფრო ადრე მომხდარი ფაქტები, თანაც - საკმაოდ დეტალურად, მაშინ, როცა ვერ გაიხსენა იმავე დილით მომხდარი ფაქტი, რომელიც მისი მეუღლის მკვლელის ვინაობას შეეხებოდა?

დაზარალებულ ე. ჭ-ძისა და მოწმე დ. გ-შვილის ჩვენებების სარწმუნოების თვალსაზრისით, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ბრალდების მხარემ ისინი ვერ წარმოადგინა სასამართლოში, რათა უშუალოდ შემდგარიყო მათი დაკითხვა და გარკვეულიყო მათ ჩვენებებს შორის არსებული წინააღმდეგობები. ბრალდების მხარეს სასამართლოსათვის არ წარუდგინა რაიმე დოკუმენტი იმის თაობაზე, თუ რატომ ვერ მიიყვანეს მოწმე დ. გ-შვილი სასამართლოში, უფრო მეტიც: სასამართლოს გამოტანილი ჰქონდა დადგენილება მოწმე დ. გ-შვილის იძულებით მიყვანის თაობაზე, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო ეს სასამართლო გადაწყვეტილება არ იქნა სისრულეში მოყვანილი, რამაც ხელი შეუშალა სასამართლოს საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილ გამოკვლევასა და ჭეშმარიტების დადგენაში. ამ უკანასკნელზე გავლენა მოახდინა ასევე მოწმეების - ტ. ჯ-შვილისა და ა. ნ-ძის მიერ წინასწარი გამოძიებისას და სასამართლოში მიცემულ ჩვენებებს შორის არსებულმა ფაქტობრივი ხასიათის წინააღმდეგობებმა. მაგალითად, თუკი ტ. ჯ-შვილი წინასწარი გამოძიების სტადიაზე აცხადებდა, რომ ი. ბ-ძის ვინაობის თაობაზე მან შეიტყო მოწმე დ. გ-შვილისაგან, სასამართლოში დაკითხვისას აღნიშნა, რომ ი. ბ-ძის ვინაობა მან შეიტყო არა დ. გ-შვილისგან, არამედ - ბ. ზ-ძის ოჯახის წევრებისაგან, თუმცა მან კვლავ შეცვალა ჩვენება და ფაქტობრივად ბუნდოვანი გახდა როდის, ვისგან და რა შეიტყო მან მომხდარი ფაქტის შესახებ.

ამასთან ერთად, სრულიად აუხსნელია შემდეგი გარემოებაც: თუკი მოწმე დ. გ-შვილმა მომხდარი მკვლელობიდან ერთი თვის შემდეგ ყოველივე აცნობა პოლიციასა და გამოძიებას, როგორც თვითონ მიუთითებს თავის ჩვენებაში, ასევე მკვლელობის მეორე დღეს გარდაცვლილი ბ. ზ-ის ოჯახის წევრებმა უკვე იცოდნენ მკვლელის ვინაობა და, როგორც სასამართლოში განაცხადა მოწმე ა. ნ-მემ, ამის შესახებ იცოდა პოლიციის მთელმა შემადგენლობამ, მაშინ რატომ ითვლებოდა აღნიშნული დანაშაული გაუხსნელად მომხდარი შემთხვევიდან თითქმის ერთი წლის განმავლობაში და რატომ არ ხორციელდებოდა საგამომძიებო მოქმედებები ი. ბ-ძის მიმართ? ეს ვერ აიხსნება მხოლოდ ერთი გამომძიებლის გულგრილობით თავისი სამსახურებრივი მოვალეობის მიმართ.

აღნიშნულ პირობებში, როდესაც საქმის მასალებში არსებობს მრავალი გამოურკვეველი წინააღმდეგობრივი მომენტი, რომლებიც საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ აყენებს სასამართლოს დასკვნებს მსჯავრდებულის ბრალეულობის თაობაზე, არ შეიძლება დადგენილად და სარწმუნოდ იქნეს მიჩნეული, რომ ი. ბ-მემ ნამდვილად ჩაიდინა ის დანაშაული, რომელიც მას განაჩენით შეერაცხა.

ამრიგად, ის ძირითადი მტკიცებულებები, რომლებიც საფუძვლად დაედო ი. ბ-მის ბრალდებას, საკასაციო პალატის აზრით, მოკლებულია უტყუარობასა და დამაჯერებლობას, ხოლო მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი სასამართლოში არსებითად არ გამოკვლეულა. თუმცა, მიუხედავად ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ და სააპელაციო სასამართლომ ისინი საკმარისად მიიჩნიეს ი. ბ-მის მსჯავრდებისათვის. რაც შეეხება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს (სასამართლო ექსპერტთა დასკვნები და სხვა), ისინი ი. ბ-მეს არ ამხელენ შერაცხული დანაშაულის ჩადენაში.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ბრალდების მხარემ ვერ წარადგინა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები ი. ბ-მის ბრალდების დასადასტურებლად, ხოლო სააპელაციო სასამართლომ სრულად არ დაიცვა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლითა და მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენის თვალსაზრისით, რაც, თანახმად საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილისა, წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს.

იმის გათვალისწინებით, რომ რეალურად არ არსებობს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები მსჯავრდებულ ი. ბ-მისათვის შერაცხული ბრალის დასადასტურებლად, ამასთან, ფაქტობრივად ამოწურულია დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობები, საკასაციო პალატა მივიდა შემდეგ დასკვნამდე: ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, ეჭვი იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულმა ი. ბ-მემ ჩაიდინა ბ. ზ-მის განზრახ მკვლელობა, არ არის უტყუარად დადასტურებული კანონით დადგენილი წესით, ეს ეჭვი უნდა გადაწყდეს მის სასარგებლოდ, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მარტის განაჩენი, რომლითაც მსჯავრდებულ ი. ბ-მეს ბრალი დაედო განზრახ მკვლელობის ჩადენაში, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსსკ-ის 108-ე მუხლით, უნდა გაუქმდეს, ხოლო ი. ბ-მის მიმართ, საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ის ქმედება, რომელიც გასაჩივრებული განაჩენით შერაცხა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. ბ-მისა და მისი დამცველის, ადვოკატ გ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მარტის განაჩენი ი. ბ-მის მსჯავრდების თაობაზე გაუქმდეს და მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობის მცდელობა

განჩინება

#917-აპ-08

3 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

განიხილა მსჯავრდებულ ზ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ა-შვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 თებერვლის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლითა და 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით.

განაჩენით ზ. ა-შვილს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 21 ნოემბერს, დაახლოებით 18.30 საათზე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი, წარსულში ნასამართლევ ზ. ა-შვილი გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად იმყოფებოდა თბილისში, ერთ-ერთ მაღაზიასთან. ამ დროს მაღაზიიდან გამოვიდა მისი მეპატრონე ვ. ც-ძე, რომელსაც იქვე მდგარ მისისავე ავტომანქანაში ელოდებოდა მისი მეუღლე - ნ. ბ-ია ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად. ვ. ც-ძემ დააპირა ავტომანქანაში ჩაჯდომა, რა დროსაც მას მიუახლოვდა და ირონიული ტონით გამოელაპარაკა ზ. ა-შვილი გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად. ვ. ც-ძემ უცნობებს მოუწოდა სახლში წასულიყვნენ, თუმცა მათ ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, ხოლო შემდეგ გაიწიეს დაზარალებულზე თავდასხმისათვის. ვ. ც-ძე შეეცადა უცნობების მოგერიებას, რა დროსაც ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ზ. ა-შვილმა განიზრახა ვ. ც-ძის მოკვლა. თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მან სწრაფი მოძრაობით მარცხენა წინა მხარის არეში დანით მიაყენა ჭრილობა ვ. ც-ძეს, რომელმაც დაჭრის შემდეგ შეძლო ზ. ა-შვილის რამდენიმე დარტყმის აცდენა. მხოლოდ ავტომანქანიდან მეუღლის დასახმარებლად და მშველელთა მოსახმობად გადმოსული ნ. ბ-იას მიერ ყვირილის დაწყების შემდეგ მიიმალა ზ. ა-შვილი შემთხვევის ადგილიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ზ. ა.შვილმა და მისმა დამცველმა, ადვოკატმა მ. ვ-ამ, რომლებიც ითხოვდნენ მის გამართლებას განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებაში შემდეგი მოტივებით: საქმეში არ არსებობს ზ. ა-შვილის ბრალეულობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, მისი ამოცნობა ჩატარდა არასწორად, განაჩენი დაეყრდნო მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებას, რომელიც არასარწმუნოა, საქმეზე წინასწარი გამოძიება მიმდინარეობდა ცალმხრივად.

სააპელაციო საჩივრები განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც არ დააკმაყოფილა აპელანტთა მოთხოვნა, ვინაიდან მიიჩნია უსაფუძვლოდ, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენი მსჯავრდებულ ზ. ა-შვილის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ზ. ა-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, რომლითაც, იმავე მოტივებით, რაც მითითებული იყო სააპელაციო საჩივრებში, ითხოვს აღნიშნული განაჩენის გაუქმებასა და მისი ბრალდების საქმის თბილისის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნებას ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის სხდომაზე განხილვისას მსჯავრდებულმა ზ. ა-შვილმა და მისმა დამცველმა, ადვოკატმა მ. ვ-ამ მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ საქმეზე წინასწარი და სასამართლო გამოძიება ჩატარებულია არაჯეროვნად, საპროცესო ნორმებით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით, არ დაკითხულა არადაინტერესებული მოწმეები. მომხდარი შემთხვევის დროს ზ. ა-შვილი იმყოფებოდა საავადმყოფოში, რადგან ფეხი ჰქონდა მოტეხილი, რის გამოც მას არ შეეძლო მისთვის შერაცხული დანაშაულის ჩადენა. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო აღნიშნული გარემოება, რომელიც ადასტურებს ზ. ა-შვილის უდანაშაულობას. საბოლოოდ მსჯავრდებულმა ზ. ა-შვილმა ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის დაბრუნებას თბილისის სააპელაციო სასამართლოში ობიექტური და სრულყოფილი განხილვისათვის, რათა დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, რასაც დაეთანხმა მისი დამცველი, ადვოკატი მ. ვ-ა.

პროცესში მონაწილე პროკურორმა ქ. ჩ-შვილმა მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივარს. მან კასატორის მოთხოვნა მიიჩნია უსაფუძვლოდ და აღნიშნა: უსაფუძვლოა მსჯავრდებულის განცხადება მისი ბრალდების საქმის წარმოებისას მისი უფლების დარღვევის თაობაზე, რადგან საქმის მასალები ამას არ ადასტურებს; დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ალიბი მომხდარი შემთხვევის დროს ზ. ა-შვილის საავადმყოფოში ყოფნის შესახებ არ არის დადასტურებული რაიმე სარწმუნო მტკიცებულებით; საქმეში არსებობს საკმარისი და სარწმუნო მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება ზ. ა-შვილის დანაშაულის ჩადენის ადგილზე ყოფნის ფაქტი; დაზარალებულ ვ. ც-ძის ჩვენებები არის დეტალური და თანმიმდევრული, ზუსტად აღწერს მსჯავრდებულის გარეგნობას და ასახელებს ამ უკანასკნელის ბიოგრაფიულ მონაცემებს, რის გამოც არ არსებობს საფუძველი დაზარალებულის ჩვენებების სისწორეში ეჭვის შეტანისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პრო-

კურორმა ქ. ჩ-ში პალატის წინაშე იშუამდგომლა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის განაჩენი ზ. ა-შვილის მსჯავრდების შესახებ, როგორც კანონიერი და დასაბუთებული, დარჩეს უცვლელად, ხოლო კასატორს უარი ეთქვას მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მოუსმინა მხარეებს, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით არ დგინდება, რომ მსჯავრდებულ ზ. ა-შვილის ბრალდებასთან დაკავშირებით სისხლის სამართალწარმოების განხორციელებისას დაშვებული იყო რამე არსებითი საპროცესო დარღვევები ანდა შელახულ იქნა ზ. ა-შვილის უფლებები, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე მისი კანონიერი ინტერესების საზიანოდ. ზ. ა-შვილის მიერ განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედების ჩადენა სარწმუნოდ არის დადასტურებული საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებებით.

დაზარალებულ ვ. ც-ძისა და მოწმე ნ. ბ-იას დეტალური და თანმიმდევრული ჩვენებების, ზ. ა-შვილის ამოცნობის ოქმებისა და საქმის სხვა მასალების სახით არსებობს დასაბუთებული საფუძველი ზ. ა-შვილის მსჯავრდებისათვის მისთვის წარდგენილი ბრალდების შესაბამისად. ამდენად, მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი არის კანონიერი. რაც შეეხება დაცვის მხარის მიერ საკასაციო ინსტანციაში წარმოდგენილ დოკუმენტს – ცნობას ზ. ა-შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 2007 წლის 21 ნოემბრისათვის, რომელიც გაცემულია სამედიცინო დაწესებულების მიერ, უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდებულის ალიბის თვალსაზრისით, იგი არ შეიცავს ისეთ მონაცემებს, რაც შეიძლება გახდეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველი. ამრიგად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ ზ. ა-შვილის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელი არის ზედმეტად მკაცრი და იგი უნდა შემცირდეს იმ ზომამდე, რომელიც იქნება აუცილებელი და საკმარისი მსჯავრდებულზე გამასწორებელი ზემოქმედების მოსახდენად. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატას მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ ზ. ა-შვილის მიერ ჩადენილია დანაშაულის მცდელობა, ხოლო ამ ქმედებით არ არის გამოწვეული მძიმე შედეგი. ამის გათვალისწინებით საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს მსჯავრდებულ ზ. ა-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ზ. ა-შვილის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ზ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ზ. ა-შვილის მიმართ დანიშნული სასჯელის - 10 წლით თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდეს 2 წლით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.